

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

"ცივილი ომი" სიტუაციის

A7



დაზიანებული დიდი თამაგი

A8



ნიკოლა სარკოზის უპოვო პოლიტიკური ინიციატივები

A10



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ობამას სტრატეგია

"დასავლეთს არ აქვს საქართველოს დაკარგვის უფლება"

დინიტრი ავალიანი

საქართველოსთან და უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმება ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ საკუთარი უფლებამოსილების ვადის მიწურულს გადაწყვიტა. ამერიკის ახალარჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ინაუგურაცია 20 იანვარს შედგება. ამის შემდეგ დანამდვილებით გახდება ცნობილი მომავალი ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები. როგორ პოლიტიკას გაატარებს აშშ საქართველოს მიმართ? საქართველოს ხელისუფლებას და ექსპერტებს იმედი აქვთ, რომ ვაშინგტონი თბილისის მხარდაჭერას კვლავაც გააგრძელებს. საქართველოს მნიშვნელობაზე ყურადღებას თავად ობამას გუნდის წევრები ამბვილებდნენ.

ბარაკ ობამა A3 გვერდზე



AFP - 2009

"ინტიფადადან" „კოლოკოსტაში"

დევიდ მორგანტარნი სპეციალურად "24 საათისათვის" შექმნილია

რამდენიმე დღის წინ სამუელ ჰანტინგტონი გარდაიცვალა, "Clash of Civilizations"-ის ავტორი და დიდი მოაზროვნე. ბევრს სძულდა, მაგრამ ყველა პატივს სცემდა. მის სტატიას ისეთივე ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ფრენსის ფუკუიამას შესანიშნავად დანერგულ, მაგრამ ჩანასახშივე უტოპიურ ილუზიას. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ისევ პეტუალური გახდა ძია სემი. თურმე "ცივილიზაციათა შეჯახება" არ ყოფილა უტოპია. უსამა ბინ შაითანი, უკაცრავად, ბინ ლადენი, და მისი მანიაკი დამკაშები ოთხი მილიონი ამერიკელის, მათ შორის ერთი მილიონი ბავშვის, სიკვდილით იმუქრებოდნენ. ეს ჟურნალი იყო. კინო მერე დაიწყო. დემოკრატიულად არჩეულმა აშშ-მ დაიწყო რამდენჯერმე განაცხადა, ისრაელი არ უნდა არსებობდეს და ებრაელები ხმელთაშუა ზღვაში უნდა "გადავხვეტოთ". ჰოო, ვინმე ჭკუას-უსტს სადმე ყავახანაში რომ ეთქვა, კიდევ ჰო, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტმა უნდა მოზომოს ხოლმე, რას ამბობს.

ბარაკ ობამა A4 გვერდზე



ისრაელის არმია სახმელეთო შეტევას აგრძელებს.

AFP - 2009

თბილისი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გვიან ღამით წმინდა სამების საკათედრო ტაძარში საახალწლო წირვა-ლოცვა აღავლინა. **მედიაინუსი**

თბილისი. გუშინ დილით მეხანძრეებმა ლვოვის ქუჩაზე პოლანდიის ელჩის რეზიდენციაში ხანძარი ჩააქრეს. **მედიაინუსი**

თბილისი. თელავში მცხოვრები ეკა ჯანდიერი თელავის მე-5 საჯარო სკოლის დირექტორ ნინო ვაყელიშვილს შრომით ტრეფიკინგში ადანაშაულებს. **მედიაინუსი**

თბილისი. გუშინ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში მისაღები გამოცდების პირველი ტური ჩატარდა. **მედიაინუსი**

თბილისი. საქართველოს სომეხ-ვეტერანთა კავშირი გამოთქვამს კატეგორიულ პროტესტს საქართველოს პარლამენტის დეპუტატ ჯონდი ბარათურას გამონათქვამების გამო, რომლებიც შეეხება სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, სომხეთის და საქართველოს სხვა ოფიციალური პირების მიერ საქართველოში მდებარე, ეგრეთ წოდებულ სადავო ეკლესიათა სიაში შესულ სომხური ეკლესიის მონახულების ფაქტს. **მედიაინუსი**

თბილისი. თიბისი ბანკმა ანაბრების აქციის გამარჯვებულს - 25 წლის დეა ღვთაძეს 1 მილიონი ლარი გადასცა. **მედიაინუსი**

თბილისი. რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ტყეშელაშვილი რუსთაველი იმყოფებოდა. მინისტრმა ქალაქში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. **მედიაინუსი**

თბილისი. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამა აცხადებს კონკურსს, რომლიც მიზანია განსახლების ადგილებში ადაპტაციისთვის დევნილი ახალგაზრდების ხელშეწყობა. **მედიაინუსი**

თბილისი. გუშინ დილმის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია ესტუმრა. მინისტრმა ბავშვებს ხუთი კომპიუტერი, მუსიკალური ცენტრი, სარეცხი მანქანა და ტექნიკური მიუტანა. **მედიაინუსი**

თბილისი. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 დეკემბრის №239 დადგენილებით, სოხუმის უნივერსიტეტს სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა. **მედიაინუსი**

თბილისი. რადიო „უცნობის“ ახალი პროექტი „პოლიტიკური“ საკაბელო არხ „მაესტროს“ ეთერში 19 იანვარს გავა. **მედიაინუსი**

თბილისი. ათასწლეულის ფონდი სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის საჯარო განხილვას მოაწყობს. **მედიაინუსი**

ანკარა. თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიის „ტრტ“-ს ბაზაზე, შესაძლოა, ლაზური ტელევიზია გაიხსნას. **მედიაინუსი**

გრიგოლ ვაშაძე ე.წ. „თეთრი წიგნის“ შექმნის ინიციატივით გამოდის

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე გამოდის ინიციატივით, რომ პარლამენტმა ე.წ. „თეთრი წიგნის“ მომზადება ითავოს. როგორც მინისტრმა ანტიკორუპციული საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, „თეთრი წიგნი“ ყველა ის დანაშაულებრივი ქმედება აღინუსხება, რომლებიც რუსეთის მარიონეტულმა რეჟიმებმა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩაიდინეს. „თეთრი წიგნი“ საკმაოდ მიღებული ფორმაა, როცა ფაქტობრივი მასალა დოკუმენტში სისტემატიზებულიად იდება.“ - აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ და დასძინა, რომ აღნიშნული იდეა მან დეპუტატებს სწორედ ანტიკორუპციული საბჭოს სხდომაზე გააცნო.

მედიაინუსი

თელავის გამგებელმა გაჭირვებულ ოჯახს შემით დახმარებაზე უარი უთხრა

თელავში ჭადრის ქუჩაზე მცხოვრები მაცვალა ზვიადაური თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელ ზურაბ ბუცხრიკიძეს უყურადღებობაში ადანაშაულებს და მის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს. ზვიადაურის თქმით, ის უმძიმეს პირობებში იმყოფება და გამგებელმა შემით დახმარებაზე უარი განუცხადა, - იუწყება რადიო „ჭერეთი“.

„ჭერეთი“ კომენტარისთვის თელავის გამგებელს დაუკავშირდა. ზურაბ ბუცხრიკიძე აცხადებს, რომ „ზვიადაურის ოჯახი სათბობ მასალას მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს, რაც კახეთის სატყეო დეპარტამენტი ჩამოწერილ შემას გამგეობას გადასცემს.“

მედიაინუსი

თამარ ხორბალაძე

საქართველოს ხელისუფლების მიერ ენგურჰესის შესახებ რუსულ ენერჯოკომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმი მწვავე პოლიტიკური განხილვების თემად რჩება. ამ საკითხზე სასაუბროდ საქართველოს სათბობ-ენერჯეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური გუშინ პარლამენტში გამოცხადდა. კითხვები მინისტრისა და ზოგადად ხელისუფლების მისამართით როგორც პარლამენტში, ასევე მის მიღმა ისმოდა.

საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე ედპ-ს წარმომადგენელი, პარლამენტის წევრი გურამ ჩახვაძე დაინტერესდა, თუ რატომ არ მიიწვიეს მემორანდუმის შესახებ გამართულ მოლაპარაკებებში მესამე მხარე, რატომ მიმდინარეობდა მემორანდუმის გაფორმება საზოგადოებისგან ფარულად და რატომ არ იყვნენ ინფორმირებულნი პარლამენტარები. ლევან ვეფხვაძე კი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დარღვევაზე საუბრობს და ინტერესდება, იყო თუ არა მოლაპარაკების მიმდინარეობისას მთავრობის თანხმობა, რასაც სწორედ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი ითხოვს. ჯონდი ბალათურია აღშფოთებულია იმ ფაქტის გამო, რომ საქართველომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ობიექტთან დაკავშირებით მემორანდუმი ოკუპანტ ქვეყანასთან გააფორმა. მისივე აზრით, ასეთი გადაწყვეტილება საზოგადოებაში ბევრ ეჭვს გააჩენს და ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს. პაატა დავითაიამ კომიტეტის სხდომაზე ქრონოლოგიურად გაიხსენა რუსეთის ინტერესები ენგურჰესთან მიმართებაში და ისაუბრა უფრო მეტ მოსალოდნელ პროვოკაციებზე, ვიდრე ეს მემორანდუმის გაფორმებამდე იქნებოდა შესაძლებელი. მისი თქმით, ეტაპობრივად, მაგრამ საბოლოოდ, ენგურჰესი მაინც რუსეთის მფლობელობაში გადავა.

ენგურჰესის შესახებ განხორციელებული გარიგების მიმართ კიდევ უფრო მკაცრია არასაპარლამენტო ოპოზიციის პოზიცია. სალომე ზურაბიშვილი

საპარლამენტო ოპოზიციის ინიციატივები

დათო ბაიბოსონია

საპარლამენტო უმცირესობა უმადლესი საკანონმდებლო ორგანოსთვის "დაკარგული უფლებების დასაბრუნებლად" ბრძოლას იწყებს. გუშინ ფრაქცია "ძლიერი საქართველო" ერთ-ერთი ლიდერმა ვია ცაგარეიშვილმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის გამარტივება მოითხოვა. პარლამენტარის თქმით, "კონსტიტუციის ამჟამინდელი რედაქციით, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა საკმაოდ გართულებულია, ამის გამო მისი განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. დღეისთვის

დებატები

ენგურჰესის ირგვლივ

ეჭვს გამოთქვამს, რომ ამ გარიგებას მოჰყვება ენგურჰესის გასხვისება "ისეთივე სქემით", როგორც შევარდნაძის მმართველობის დროს თბილისის ენერჯოგამანაწილებელი ქსელის "თელასის" გაყიდვისას მოხდა.

"ეს არის დანაშაული, რადგან ეს არის ჩვენი ბოლო და ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული რესურსის გასხვისება, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა, - **ეს არის დიდი დანაშაული აფხაზეთის მიმართ - ჩვენ თუ ვაპირებთ, რომ ამ რეგიონთან ჩვენი ურთიერთობები ოდესმე დავარეგულიროთ, არ შეიძლება აფხაზეთს თავიანთი ნაწილი დენი წავართვათ და რუსებს გადავცეთ."**

"რესპუბლიკური პარტია" მოითხოვს, შესწავლილ იქნეს მემორანდუმი და მისი გაფორმების მიზეზები. **"ჩადენილია დანაშაული და ამას გამოძიება სჭირდება. გაუგებარია, რატომ უშვებს ხელისუფლება ასეთ კორიპს, რომელიც აფხაზეთთან გვაქვს,"** - განაცხადა "რესპუბლიკელების" წარმომადგენელმა ლევან ბერძენიშვილმა.

"ლეიბორისტების" შეფასებით, ხელისუფლებამ ამ გარიგებით ქვეყნის ენერჯოკომპანია დეზობობას მიაყენა დარტყმა. **"საკაპვილიმა რუსეთს გადასცა, აჩუქა ენგურჰესი, რითიც უდიდესი დარტყმა მიაყენა პოლიტიკურ ინტერესებს, ამით ენერჯოკომპანიის დამოუკიდებლობა და მთავრდა,"** - განაცხადა "ლეიბორისტმა" გიორგი გუგავამ.

"კონსერვატორთა" წარმომადგენელ კახა უკუაგას აზრით კი, **"ეს არის სამხედრო კაპიტულაციის ერთ-ერთი ნაწილი - ეკონომიკური კაპიტულაცია."**

როგორც ცნობილია, მემორანდუმი საქართველოსა და რუსულ ენერჯოკომპანია "ინტერრაო-ს" შორის 2008 წლის 28 დეკემბერს გაფორმდა. მემორანდუმის დეტალებზე გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის სხდომაზე სათბობ-ენერჯეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა ისაუბრა. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ:

- მემორანდუმი თანახმად, ენგურჰესის აქციათა 100 პროცენტი დარჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

- ერთობლივი მართვის მიზნით შეიქმნება პარიტეტულ საწყისზე დაფუძნებული ერთობ-

ლივი საბჭო.

- "ინტერ რაო" გადაიხდის იმ ელექტროენერჯის საფასურს, რომლის მიწოდებაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ ჰესის საშუალებით ხდება (15 მილიონამდე ლარი ყოველწლიურად).

- ზაფხულში, ჭარბი წყლის არსებობის პერიოდში, ჰესის დაუკონტრაქტებელ ელექტროენერჯიას შეიძენს "ინტერ-რაო" (25 მლნ ლარი ყოველწლიურად).

- "ინტერ რაო" განახორციელებს ელექტროენერჯის ტრანზიტს რუსეთიდან თურქეთის მიმართულებით.

რუსულმა კომპანიამ "ინტერრაო" ენერჯეტიკის სამინისტროსთან ენგურჰესის შესახებ გაფორმებულ მემორანდუმი სამართლებრივ გარანტიად კომპანია "თელასის" აქციათა პაკეტი და გარდაბის მეცხრე და მეათე ენერგობლოკები ჩადო.

მინისტრის თქმით, სატარიფო პოლიტიკა და ტარიფების განსაზღვრა იყო, არის და დარჩება მარეგულირებელი კომისიის გამგებლობის ქვეშ. ერთობლივად შექმნილი მმართველთა საბჭო ვერ შეცვლის ჰესის მენეჯმენტს ენერჯეტიკის სამინისტროსთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში. მმართველთა საბჭო და მართვლი კომპანია, მისი თქმით, ვერანაირად ვერ განკარგავს ენგურჰესის ქონებას.

"აგვისტოს მოვლენების შემდეგ სეპარატისტებს გაუჩნდათ მოთხოვნა, რომ ენგურჰესი მათი საკუთრებაა, გაფორმებული მემორანდუმი კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ენგურჰესი საქართველოს საკუთრებაა და ჩვენი საკუთრების საყოველთაო აღიარებას წარმოადგენს," - განაცხადა ენერჯეტიკის მინისტრმა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გამოსვლისას.

მინისტრის განცხადებით, რაც შეეხება მხარეებს შორის საბოლოო ხელშეკრულებას, მასზე მუშაობა გრძელდება და ამ პროცესში საქართველოს მთავრობაც მონაწილეობს. აქვე ალექსანდრე ხეთაგური ეთანხმება ოპოზიციის იმ შენიშვნას, რომ რუსეთი, მართალია, არაპროგნოზირებადი პარტნიორია, თუმცა აცხადებს, რომ **"დამატებითი გარანტიები რომ გქონდეს, თუნდაც ასეთ პარტნიორთან,**

სჯობს მსგავსი გარანტიების საერთოდ არქონას."

გუშინ დღის ბოლოს ენგურჰესის საკითხზე სპეციალური ბრიფინგი გამართა ეკონომიკის მინისტრმა ლაშა ჟვანია.

"საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ენგურჰესის ერთობლივ მართვასთან დაკავშირებით დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი რუსეთის სახელმწიფო კომპანია "ინტერ რაოსა" და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს შორის გაფორმდა. ეს ნიშნავს, რომ რუსული სახელმწიფო კომპანია აღიარებს საქართველოს იურისდიქციას ენგურჰესზე," - განაცხადა ლაშა ჟვანია.

მისივე თქმით, აღნიშნული მემორანდუმი არ ეწინააღმდეგება "ოკუპაციის შესახებ" კანონს, რადგან ამ კანონის მეორე მუხლი ცალსახად განმარტავს, რომ თუ რაიმე ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებში შედის, ამა თუ იმ კომპანიას საქართველოს თანხმობის შედეგად შეუძლია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობა განახორციელოს.

"ინტერ-რაოსთან" გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი კომპანია იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს იმ ელექტროენერჯის საფასური, რომლის მიწოდებაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ხორციელდება, ასევე კომპანია იყიდის ზაფხულის წყალდიდობის პერიოდში ჰესის დაუკონტრაქტებელ ელექტროენერჯიას, რომელიც აქამდე წყლის სახით იღვრებოდა და სახელმწიფო ბიუჯეტში არანაირი შემოსავალი არ შექმნოდა," - განაცხადა ლაშა ჟვანია.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე მემორანდუმი განერიდო საკითხებზე შეთანხმდა, გაფორმდება ხელშეკრულება, რომლის შემდეგაც შემოსავალი, რომელიც თანხობრივად 25 მლნ დოლარს შეადგენს, მთლიანად ენგურჰესის ბიუჯეტში შევა. **"ენგურჰესის" დირექტორს ქართული მხარე დანიშნავს. ამასთან, ჰესზე განხორციელებული ნებისმიერი საკადრო ცვლილება თბილისის მხრიდან იქნება მიღებული და რაც ყველაზე მთავარია, "ენგურჰესზე" მომუშავე არცერთი ადამიანი სამუშაო ადგილს არ დაკარგავს,"** - დასძინა ჟვანია.

თავან 10-15 ოჯახი აგვისტოს ომის შედეგად არის დაზარალებული. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ "ქრისტიან-დემოკრატებს" გუშინვე უპასუხა. სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ **"კატეგორიულად მიუღებელია ნებისმიერ შემთხვევაში დევნილთა შეჭრა. უკრ სრულდება ცხინვალის რეგიონიდან დაზარალებულთა ბინებით უზრუნველყოფა. პროცესის დასრულებისთანავე დაიწყება აფხაზეთიდან დევნილების საცხოვრებელი დაკმაყოფილება. ეს პროცესი 2009-2010 წლების განმავლობაში განხორციელდება,"** - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ყინვების გამო სიღნაღელებს გადაადგილების პრობლემა შეექმნათ

ძლიერი ყინვების გამო სიღნაღის მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა შეექმნა.

განსაკუთრებით უკმაყოფილებას ქალაქში ფეხით მოსიარულეები გამოთქვამენ. ისინი აცხადებენ, რომ "ქალაქის მთავარი მოედანი, ასევე ქუჩების დიდი ნაწილი სქელი ყინულითაა დაფარული და ამის გამო ფეხით გადაადგილება შეუძლებელია." ადგილობრივები სიღნაღის გამგეობას დახმარებას სთხოვენ.

მედიაინუსი

სომხეთისთვის გაზის მინოდება აღდგა

საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსული გაზის ტრანზიტის სომხეთში უკვე აღდგა.

სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტის 9 იანვარს დილით ტექნიკური მიზეზების გამო შეწყდა. გარდაბნის რაიონში 1000-მილიმეტრიან გაზსადენზე ოთხი მონაკვეთი დაზიანდა, რაც კოროზირებულ გაზსადენში წნევის აწევას უკავშირდება.

გაზსადენის აღდგენით სამუშაოებს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის თანამშრომლები ახორციელებდნენ.

მედიაინუსი

გალის რაიონიდან გატაცებულ შიროვნებაში 10 ათას დოლარს ითხოვენ

გუშინ დილით გალის რაიონის სოფელ ზემო ბარლებიდან გატაცებული გოჩა ჭაავას გამტაცებლები მისი ოჯახის წევრებს დაუკავშირდნენ და ჭაავას გათავისუფლების სანაცვლოდ 10 ათასი დოლარი მოითხოვეს. გატაცებულის ახლობლების თქმით, ჭაავას ოჯახს ამდენი თანხის გადახდის საშუალება არ აქვს. 39 წლის გოჩა ჭაავა საუთარი სახლიდან შეიარაღებულმა პირებმა ოთხი დღის წინ გაიტაცეს და გამოსასყიდის სახით 50 ათას დოლარს ითხოვდნენ. გუშინ დილით კი გამტაცებლებმა გამოსასყიდის რაოდენობა შეამცირეს. გალის ლეგიტიმური ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გაერო-ს მისიას და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს დახმარება უკვე სთხოვეს.

მედიაინუსი

"გერმანია საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დასაახლოებლად აქტიურად მუშაობს"

გერმანია საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დასაახლოებლად აქტიურად მუშაობს. ამის შესახებ გერმანიის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ თომას კოსენდაიმ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, საქართველოსა და გერმანიას შორის მჭიდრო მეგობრობა არსებობს. "საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე თქვენი ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე ვისაუბრეთ. აქტიურად ვმუშაობთ, რათა საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან კიდევ უფრო მეტად დავახლოოთ," - განაცხადა კოსენდაიმ. მისი თქმით, ევროკავშირის კომისია საქართველოში მუშაობას აქტიურად გააგრძელებს.

ჯი-ეიჩ-ენი

ბაგაფშმა აფხაზურ პარლამენტში თავის წარმომადგენლად შამბა დანიშნა

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც მის წარმომადგენლად ე.წ. აფხაზურ პარლამენტში დიმიტრი შამბა დანიშნა. უკანასკნელ დრომდე დიმიტრი შამბა ე.წ. აფხაზეთის პრეზიდენტის სამართლისა და ეკონომიკის განყოფილების სექტორის ხელმძღვანელი იყო, - იუწყება სააგენტო "იუგარუ". სააგენტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის ოფიციალურ წარმომადგენელს ქრისტიანა ბუაიას ეყრდნობა.

ცნობისათვის - 2008 წლის ნოემბერში სეპარატისტების ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა მოსკოვში აფხაზეთის რესპუბლიკის საელჩოს დაწესების ბრძანებულებას მოაწერა ხელი. მეორე ბრძანებულებით რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად იგორ ახბა დანიშნა.

ჯი-ეიჩ-ენი

„ინტიფადან“ „ჰოლოკოსტამდე“

პირველი გვერდი

ენას გადაცდენილ სიტყვას ქამანდითაც ვერ დაიბრუნებო, უთქვამს ბრძენს. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი: ასეთი რიტორიკა ადოლფ ჰიტლერს ახასიათებდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ჰიტონი აპმადინეჯადი ჰიტლერს არასოდეს დაემსგავსება, და რაც თქვა, უბრალოდ წამოსცდა. Errare humanum est!

ამის მერე ტერორისტულმა ორგანიზაცია "ჰამასმა" პალესტინაში არჩევნები მოიგო. მართლა მოიგო. ისე, მსოფლიოს ამ მხარეში ელექტორატის გაბრუნება-მანუპულირებაში ფრიად დახელოვებული ტერორისტები ბოგინობენ. "ჰესბოლამაც" არ აჩვენა ცუდი შედეგი ლიბანის არჩევნებში.

"ჰესბოლას" ჰასან ნასრალა ვაჟაკი და ნაკითხი კაციაო, ამბობენ. ჰოდა, ნაკითხ ნასრალას ასასინების შესახებაც ექნება ნაკითხული. თუ ბავშვების ხოცვის მუქარა გააგრძელა, ვერავინ გამოიცხავს, რომ დილას გაღვიძებულს ბალიშში კოხტად ჩარჭობილი ხანჯალი არ დახვდება. ასასინები მეორე გაფრთხილებას არ იძლევიან ხოლმე. ალფ-არსლანმა ეს, სამწუხაროდ, არ იცოდა. რას იზამ, მე-11 საუკუნე იყო და ინტერნეტი მაშინ არ არსებობდა.

ებრაელები, თურმე, ქრისტიანი ბავშვების სისხლით ამზადებენ მაცას. ჰმ, ჩემს ებრაელ მეგობრებზე ჯერ არ შემომჩნევია გრძელი ეშვები. ერთი მათგანი საბავშვო ბაღის მასწავლებელია ვენაში. მეორე პედიატრია, ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, დაფასებული ექიმი, და უბრალოდ ძალიან კარგი ადამიანი. ისე ძმები კენედებიც ებრაელებმა მოკლეს, ჩიკაგოს ხანძარიც ებრაელებმა გააჩაღეს და, რა თქმა უნდა, მასონებიც ხომ ებრაელები არიან, ფლემინგის თამადაობით, იმ ფლემინგისა, პენიცილინი რომ გამოიგონა, და მილიონობით ბავშვი ნამებთ სიკვდილს გადაარჩინა. თურმე ვუ იტყვი, სლომონ ბრძენთან მისულან სიონისტი ბრძენკაცები და უთქვამთ, როცა მასონური გველი დედამიწას წრეს დაარტყამს და კუდს პირში მოიგდებს, კაცობრიობაზე ვიბატონებოთ. მოკლედ, ჩემო არისტარქოს სამოსელო, მართალია კოპერნიკს კი აჯობე 15 საუკუნით, მაგრამ შენზე 9 საუკუნით ადრე აღმოუჩინა მავან რაბინს, დავარქვათ იცხაკი, რომ დედა-მინა მრგვალია.

აიათოლებს და შეიხებს დიდი პატივისცემით ვურჩევ, ყურანი ყურადღებით იკითხოთ. დოგმას და დემოკრატის ერთი დიდი მსგავსება აქვთ: არც ერთი არაა ქოთანი, რომ ყურები სურვილისამებრ მიაბა. სირცხვილია, არამაჰმადიანი მიუთითებდეს მაჰმადიანს საკუთარ წმინდა წიგნზე. ისე, ფრიად საინტერესო საკითხავია და ძალიან მომწონს. რომის პაპსაც ძალიან მოსწონდა, იოანე პავლე II-ს, მისი სამაგიდო წიგნი იყო.

წმინდა წიგნის ფრაზების შეჩვენებით ციტირება მკრეხელობაა. ამ ლოგიკით ბიბლიაში ისეთი ფრაზებია, კონტექსტიდან თუ ამოგადე, თმები ყალყზე დაგიდგება. ბატონი ტარკვემადა 15,000 ნამებულს კოცონზე სულ წმინდა წერილს უკითხავდა, მაგრამ ამის გამო სახარების ავ-

ტორებს ვერავინ დაადანაშაულებს. ე.წ. "მეომრული" თავების გარდა, ყურანში იმდენი ჰუმანიზმი, ამბროზ ბირსი და ფიოდორ დოსტოევისკი ბლოკნოტს უნდა იღებდნენ უკვე. მარტო ის ფრაზა რად ღირს: "ერთი ადამიანის მოკვლით შენ მთელს კაცობრიობას ხოცავ!" იქნებ მორწმუნე ნასრალამ, ხალიდ მაშალმა და მათმა თანამებრძოლებმა არ იციან, რომ ჯეჰენა დიდია და მათაც დაიტევს?

ბრძენმა თქვა: "ემშაკი არ არსებობს?! აბა ვინ იყო ის ინკვიზიტორი, ათასებს რომ წვავდა კოცონზე?" მარტო ჩემი საყვარელი მსახიობი რონ პერლმანი არ უნდა იხერხავდეს რქებს, ზოგ-ზოგიერთებს რეალურ ცხოვრებაშიც არ აწყენდათ მსგავსი შოკური თერაპია.

მაჰმადიანური სამყაროს ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი, ქურთი სალაჰ-ადინი ღირსეული ადამიანი იყო. ფილმ "ზეციურ სამეფოში" გაიდებულა, მაგრამ რეალობაშიც არ იყო დიდად უარესი. როცა აკრას ალყა შემოარტყა, მეციხოვნე ჯვაროსნების მეთაურმა, მგონი მეფემ, ღვინო და ტკბილეული გაუგზავნა: "დღეს ჩემი ქალიშვილის ქორწილია, და ეს ჩვენგან საჩუქრადო." გნებავთ სალადინის პასუხი? "მარჯვნივ პატარძლის სანთობო, რათა ლოდსაქორცნები არ ვესროლოო!" ხალიდ მაშალი ვერასოდეს გახდება სალადინი, ამიტომაცაა დალუპული ის საქმე, რომლისთვისაც იბრძვის. ოდესღაც ტერორისტმა არაფატიმაც კი იმდენი კაცობა გამოიჩინა, რომ საკუთარი სისხლი გაიღო 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაჭრილებისთვის. მოხუცი და ავადმყოფი კაცის მიერ სისხლის გაღება იგივეა, რაც მავანისათვის ამბრაზურაზე გადაფარება. სისხლისმმელი მკვლელები კი მიხვდა, რომ ომს მხოლოდ ომი მოაქვს და მეტი არაფერი.

არეულ შარონს ცოდვების ერთი ტომარა ჰკიდა. მაგრამ იგივე შარონმა ებრაელი ახალ-მოსახლეების ნაოფლარით და ნასისხლარით ნამენები სოფლები დაანგრია და ზოგი ჯიუტი ებრაელი სეცრაზმის დახმარებით ძლიეს გამოიყვანა იქიდან.

"ცახალი", იგივე ისრაელის არმია, ყველა მეზობელს მოუგებს ომს. ცალ-ცალკეც და ყველას ერთადაც. მოიგებს ამ ომსაც, ერთი მარტივი მიზეზის გამო: სამოქალაქო პირების სიცოცხლის დაცვა, ეროვნების და კონფესიის განურჩევლად, ახლანდელი ომის ერთ-ერთი უმთავრესი და ხშირად დეკლარირებული კომპონენტია. როდესაც შარონმა საკუთარი თავით ვნახე, როგორ გამოჰყავდა იერუსალიმის არაბული ნაწილიდან კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი არაბი ბავშვი ებრაულ რეანომობილს და ებრაულ კლინიკაში მიჰყავდა, მაშინ პირველად ვიფიქრე, რომ ამ ქალაქისათვის ნამდვილად ღირს ბრძოლა და, თუ საჭირო გახდა, სიკვდილიც.

ტერორის გამართლება არ აქვს. არასოდეს. წერტილი. ლოზუნგების მოყვარულ ვაიმომიტინგებს, სადაც არ უნდა იყვნენ, დიდი სიამოვნებით ვაჩვენებ პალესტინელი არაკაცების მიერ დამზადებული ბომბების შედეგად დახოცილი ადამიანების გულ-მკერდის რენტგენოგრა-

ფილმს. ზღარბი ხომ გინახავთ ზოოპარკში? იგივეა. ლითონის ასობით ფრაგმენტით დაფლეთილი. ისეთ ამაზრზენ რამეებს იგონებენ, თმები ყალყზე მიდგება ამ სტრიქონების ბეჭდვისას.

ქალი და ბავშვი ხელშეუხებელია. ველოსიპედს არ ვიგონებ: მამაკაცის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიქტია, რომ მისი სისხლი და გენი გადარჩეს. მაგრამ იმ ერაყელმა შაჰიდმა ქალმა, რამდენიმე დღის წინ ოცდაათი უდანაშაულო ქალი რომ დაანაკუნა ერთ წამში, ტროტილის ტანზე შემორტყმისას გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი. იმ მომენტიდან იგი არაადამიანი იყო, ცხოველზე უარესი, და არაადამიანების საბოლოო დანიშნულების სამი ადგილი ვიცო: ფსიქიატრიული კლინიკა, ციხე, და მინა, როგორც ამერიკელი სპეცები ამბობენ, "six feet deep."

ტერორიზმი არაა სადაო თემა. აქ ნაცრისფერი არ არსებობს. შესაძლოა დუბროვკის თეატრის და ბესლანის სკოლის არაადამიანებმა ბევრი ტკივილი გადაიტანეს ცხოვრებაში, მაგრამ სხვისი ბავშვის მოკვლით ადამიანი უკვე კარგავს მტერზე მორალურ უპირატესობას; იმის ანარეკლი ხდება, ვინც ზოოლოგიური ზიზლით სძულს. Within Temptation-ის "Angels" ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი სიმღერაა. ასეთი ფრაზაა მასში: "This world may have failed you. It doesn't give you reason why. You could have chosen a different path in life."

ყელში რომ ამოუვიდა სარაკეტო დარტყმები, რამდენიმე დღის წინ ისრაელის არმიამ ინტენსიური საავიაციო დაბომბვები დაიწყო ლაზას სექტორში ბაზირებული ტერორისტების წინააღმდეგ. უნდა დაეწყოს. მერე სახმელეთო ჯარებიც შეიყვანა. ჩემი მოკრძალებული აზრია, რომ "ჰამასს" დიდი დღე არ უნერია. მთელი რეგიონი დაისვენებს. შირაკმა და შრიოდერმა გულზე ხელი დაიდონ და თქვან, რამდენად ეწყინათ ნახევრადშეშლილი ჰუსეინის ჩამოგდება. სადამი მხუთავი გაზით ნამლაგდა საკუთარ მოსახლეობას. ვიცოცხლებს ავადმყოფურმა გონებამ კი ისეთი გაზები შექმნა, ადამიანი კრუნჩხვებით იმტვრევა ხერხემალში. გავარძელო დეტალები?! აბორტის დიდი მონინააღმდეგე ვარ, მაგრამ ასეთები სჯობდა დროზე მოეშორებინათ მშობლებს.

მე არ ვარ ისრაელის აპოლოგეტი. არც სიონისტი. "იზმები" ორგანულად მძულს. საერთოდ, "იზმებმა" მსოფლიო რამდენჯერმე უფსკრულთან მიიყვანა. იქნებოდა ეს ნაციზმი, ლენინიზმი თუ სტალინიზმი. საქართველოს პირველი პრეზიდენტი "იზმებმა" დალუპა, გარკვეულწილად - მივარეც. ძალიან მიხარია, რომ მესამე საკმარისი პოლიტიკური ალლო აღმოაჩნდა და "იზმი" ვერ მოერია.

მეტიც, მე არ ვარ ებრაელი. რამდენიმე ებრაელი არაკაციც შემხვედრია ცხოვრებაში. წამითაქებია კიდევ ყურის ძირში. მაგრამ ვინც არაკაცის სახლში შევარდება და მის ცოლ-შვილზე გაიწევს, ის უარესი არაკაცია. ბოლობრები, საულ ტრასელი პავლე მოციქული გახდა; სიურტი ნასიონალი, საფრანგეთის კრიმინალური პოლიცია ყაჩაღ-

მა ვიდოკმა შექმნა; საშა მატროსოვი კი, ამბრაზურას რომ გადაეფარა და ათობით თანამებრძოლი სიკვდილს გადაარჩინა, ერთი ჩვეულებრივი "ქუჩის ბიჭი" და ქურდობაცაა იყო. პავლე ჟურბას "ალექსანდრე მატროსოვი" მშვენიერი წიგნია. გირჩევთ, ნაკითხით.

იყო დრო, როცა უაზრო სისასტიკედ მიმჩნდა ადამიანების გასამართლება ჰოლოკოსტის ეჭვემ დაყენებისთვის. მაგრამ ვინც აუშვიცის კიბებზე ერთხელ მაინც აივლის, იმისათვის ყველაფერი თავის ადგილას დადგება. ეს კიბეები ცაცვეთილია მილიონობით ფეხის მიერ და ეს ფეხები პირდაპირ ცეცხლში შედიოდნენ - [არა]ადამიანების მიერ დედამინაზე შექმნილ ჯოჯოხეთში...

ნიორნბერგის პროცესის დამსწრე ერთმა პიროვნებამ, შემდგომში მწერალმა, მოსწრებულად შენიშნა: პროცესს მეფისტოფელი უყურებდა და შეძრწუნებულმა იკვილა: ეს არამზადები ჯოჯოხეთის წამიბილწავენ. სამოთხეში გაუშვითო! დანტეს ინფერნო ანდერსენის ზღაპარია საკონცენტრაციო ბანაკებთან შედარებით. სკეპტიკოსებს ვურჩევ, საკუთარი თვლით ნახონ.

ერთ პირობიშივე მძაკაცი მყავს. მასაიუკი ვაკამაცუ. ერთად ვსწავლობდით ოსტინის უნივერსიტეტში. მასა პროფესიით აეროკოსმოსის ინჟინერია და დღე-ღამეზე დოქტორის ხარისხს მიიღებს. თავის დარგში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი იქნება. წესით, მასას ამერიკელების მიმართ ზოოლოგიური ზიზლი უნდა ჰქონდეს. პირიქით, მასა ჰიუსტონში ცხოვრობს და NASA-ში მუშაობს. მან კარგად იცის, რომ რევანშიზმმა კაცობრიობა რამდენჯერმე უფსკრულთან მიიყვანა. სხვათა შორის, იაპონურიდან "მასაიუკი" ითარგმნება როგორც "და სამართლიანობა გრძელებოდა."

და მე შევიქმენ სიკვდილი, სამყაროთა შემშუსვრელი," შივა-დამანგრეველის ციტირება მოახდინა შეძრწუნებულმა ოპენჰაიმერმა, როცა ნებრასკას პოლიგონზე საკუთარი ხელით მოწყობილი ჯოჯოხეთი იხილა. კაცობრივის ერთ-ერთი უნიჭიერესი მეცნიერი ერთ წამში იქცა კაცობრიობის დამანგრეველად, ჯალათად, ლამის სატანად. რა მნიშვნელობა აქვს, ნებსით თუ უნებლიედ.

სწორედ იმ წამში გადაწყდა ასიათასობით იაპონელის წამში დაფერფლვა; მილიონების სიკვდილი ნელ-ნელა, ტანჯვა-წამებით, ქუჩაში თუ სუპერთანამედროვე კლინიკებში, დაუდევარი და გულქვა, ან პატიოსანი და შეუპოვარი, მაგრამ ორივე შემთხვევაში უსუსური ექიმების ხელში. მილიონობით რადიაციის მსხვერპლი, დაბადებამდე რომ გააუბედურა ვილაციის ავადმყოფური სურვილებით დამახინჯებულმა ადამიანურმა გენიამ.

სხვათა შორის, 1945 წლის 6 აგვისტოს მზიანი დღე იყო პირობიში. მოედნებზე კურსანტები ვარჯიშობდნენ. ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ...

პოლ თიბეთი სამხედრო პირი იყო. ვეტერანი მფრინავი. ბრძანება შეასრულა. მას ცხოვრების ბოლომდე ურყევად სწამდა, რომ სწორად მოიქცა; დღესაც ვერ

გაბრძობება A5 გვერდი

„ინტიფადან“ „კოლოკოსტადე“

ბიომთა გვარდია

შეთანხმებულან სოლიდური მეცნიერები, სწორად მოიქცა თუ არა აშშ. სერიოზული მკვლევარები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ აშშ-ს მხრიდან სახმელეთო იერიშის მიტანა ციტადელად ქცეულ იაპონიაზე მილიონობით ადამიანს შეინარავდა.

უსამა ბინ ლადენი ყოფილი მოჯაჰედი. ნისქელების ქვა დატრიალებულა მის თავზე. მეომარია, მამაცია და უზარმაზარი ქარიზმა აქვს. სწორედ ავღანეთის ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანსაგან მიკვირს მიზანთროპული, მანიაკალური, პირუტყვეული მუქარა, ოთხი მილიონი ამერიკელის, მათ შორის ერთი მილიონი ბავშვის მკვლელობის შესახებ. ეს მისმა პრეს-სპიკერმა გამოაცხადა ტელევიზიით.

ნარმოიდგინეთ ბინ ლადენის ხელში ბირთვული იარაღი და მიხვდებით, რატომ არის ისრაელის საქციელი სწორი და სამართლიანი. ერთმა ექსპერტმა ცოტა ხნის წინ ინტერვიუში აღნიშნა, ისრაელი "მხეცურად" იქცევდა. ძალიან ცდებით, კოლგავისრაელი მხეცურად რომ იქცეოდეს, ახლა "ჰამასტანის", უკაცრავად ლაზას სექტორის, ადგილას ერთი დიდი კრატერი იქნებოდა. გეოლოგებმა, რას ნიშნავს ებრაულ სამხედრო ჟარგონზე "strategic capabilities". თუ ჯერ არ შეგხვედრიათ ეს ტერმინი, "დაგუგლეთ".

სიმსივნე დროულად უნდა მოკვეთო. მეტასტაზების გავრცელებამდე. ჰიტლერი და სტალინი რომ არ დაბადებულყვნენ, დაახლოებით 100 მილიონი ადამიანი გადარჩებოდა უდროოდ სიკვდილს. 2008 წელი ჰოსპიტალში, რეანიმაციაში გამოთენდა. ჩემს გვერდით მოხუცი ქალბატონი გარდაიცვალა. ერთი ფარატიონა ფარდა გვეყოფდა. ასე რომ, ვიცი რაზე ვსაუბრობ, როცა სიკვდილზე ვლაპარაკობ.

ისრაელი პატარა ქვეყანაა. დემოკრატიული. ვაჟკაცია და ამიტომ ვცემ განსაკუთრებულ პატივს. შარშანწინ, დახურულ კონტრ-ტერორისტულ ცენტრში ასეთი ფრაზა მითხრა პოლკოვნიკმა, რომელიც თავისი დარგის ალიარებული ექსპერტია: "David, we are the nation fighting for our survival." ამიტომაც მოიგებს ყველა ომს. და თუ საჭირო გახდა, მეც სიამოვნებით წავალ მოხალისედ. ესტონეთშიც წავალ და საქართველოშიც.

მეომარი პიტბული მყავდა, Loewe. თავის ქალა გაუხვრიტა ვენის სპეცრაზმის ფალავან პიტბულს. რამდენიმე წლის წინ შტადტპარკში ვასიერებდი და კატას წავაყინე, თვალაუხელები კნუტებით. გაიწია ჩემი პიტი. გამოიწია კატაც. მოირკალა და კბილები გამოაჩინა. გაჩერდა ჩემი მკვლელი ძალი და შეათვალიერა. ვიცოდი, ბოლობოლო ხერხემალში გადატყვავდა, მაგრამ პანია ცხოველი შეაკვებოდა და დაღს მაინც დაადებდა. ეტაკა ჩემი პიტი. იცით, რა ვქენი? სულ ცემა-ტყეპით გამოვართიე. თავი დავუხარე პანია ცხოველის შეუპოვრობას. თავის სისხლს, თავის გენს, თავის მომავალს იცავდა.

შესაძლოა, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში ძლიერი ისრაელიც კატად გამოჩნდეს. მაგრამ ნურავის დაავინყებდა, რომ კატის ბიძაშვილი ლომია და ლომი არ გამოირჩევა ნამეტნავად კარგი ხასიათით, მით უმეტეს - ტეხასელი კოვბოის ხელში.

ბინ ლადენების, ჰასან ნასრალეების, ჰიტლერების და სტალინების დრო უნდა დასრულდეს. წერტილი. პატივცემულ ბატონებს პანტელეიმონ გიორგაძეს და გრიშა ონიანს ვურ-

ჩევ, სტალინის შესახებ ობიექტური და დაბალანსებული წიგნები იკითხონ. იოსებ ჯულაშვილმა, რომლის *nom-de-guerre* "კობა" იყო, მარტო კატინის ტყეში 14,000 პოლონელი ოფიცერი დაახვრეტინა და გერმანელებს დააბრალა. თუ არ სჯერათ, შევახსენებ, რომ კეფაში მიბრუნით სროლით ადამიანის დახვრეტა ნკვდჩეკა-კგბ-ს საფირმო ნიშანი იყო. SS და Gestapo ამ მეთოდს არ იყენებდნენ. გარდა ამისა, ამხანაგი კობა ახალგაზრდობაში ტერორისტი გახლდათ. კი, კი, საფოსტო კარტებს უსაფრდებოდა (მაშინ არ არსებობდა არც Western Union და არც Anelik და ხაზინის ფული დაცული კარტებით გადაჰქონდათ). ჰოდა, ეს პატიოსანი რევოლუციონერი, ამფსონებთან ერთად, ყაჩაღივით თავს ესხმოდა კარტებს, დინამიტს ესროდა (საწყალმა აღფრემა ალბათ რამდენჯერ შემოირტყა თავში ხელი, როცა გაიგო მის გამოგონებას რისთვის იყენებდნენ), ხალხს ხოცავდა და ფულს იტაცებდა. იმ ფულს, რომლითაც მუშებისათვის ხელფასი უნდა გადაეხადა. ცნობისათვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკა მეფის რუსეთის ეკონომიკის 1913 წლის დონეს სადღაც 1930-იან წლებში ძლივს დაენია. ისიც მას შემდეგ, რაც მილიონობით უკრაინელს გენოციდი მოუწყვეს და ის დაემიეს, დედები შვილებს ჭამდნენ. ჰო, ტომების კითხვა არ სჭირდება ამას. მიხაილ ზოშჩენკო გადაიკითხეთ კიდევ ერთხელ. ყურადღებით.

ისე, საოცარია, სამხედრო პირი, რომელმაც გენერლის წოდებას მიადნია და ოფიცრის კოდექსი ზეპირად იცის, და რომლის შვილიც უშიშროების მინისტრი იყო, მხარს უჭერდეს ადამიანს, რომელიც ისეთ საზოგადოებებს აკეთებდა, რასაც "ეტა" და "ირა" არ კადრულობს. ისინი ტელეფონით აფრთხილებენ, მინიმუმ ნახევარი საათით ადრე მაინც, და შენობის ევაკუაციას ურჩევენ, სანამ იმ შენობაში ბომბს ააფეთქებენ.

სხვათა შორის, ამხანაგმა სტალინმა ჩემი წინაპრებიც დახვრიტა, რამდენიმე, 1937 წელს. ჩემი წინაპრები ნიკოლოზ მეორის პირად გვარდიაში იყვნენ. გაგვიკვირდათ, რა უნდოდათ გერმანელებს და ავსტრიელებს რუსეთის იმპერატორის კარზე? შეიძლება მავანს ის ფოტო არ უნახავს, ნიკოლოზ მეორეს უკან ორი ადიუტანტი რომ დგას. მათ შორის ერთი მარშალი მანერჰაიმი, ფინეთის მომავალი პრეზიდენტი და თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი. არც მისი უწმინდესობა ალექსეი II იყო ეთნიკური რუსი: ერისკაცობაში ფონ რიდიგერი გახლდათ გვარად. შვედი არისტოკრატების შთამომავალი და სულ მუშტი ურტყა მაგიდაზე ვოვას და დიშას: რუსული ეკლესია არ აღიარებს აფხაზეთის და ოსეთის დამოუკიდებლობასო. იმედია, ეპისკოპოსი კირილიც მიბძაძეს თავის დიდ წინაპრებს, რადგან სხვა თუ არაფერი, ღმერთი ყველაფერს ხედავს და ცუდად მოუბრუნდება რუსეთს მუშტებზე ყურება.

როგორც ერთმა ნიჭიერმა ქართველმა პოეტმა აღნიშნა, "არის ნაჯახის რუსეთი და ხატის რუსეთი." აბსოლუტურად ვეთანხმები. პირველის ჰიპოსტასი ლეიტენანტი მარინესკუა, რომელზეც წინა სტატიაში ვსაუბრობდი, მეორის - ახლახანს გარდაცვლილი რუსი გენერალი, რაისსტავთან "მკვდარი ზონიდან" პატარა გერმანელი გოგო რომ გამოიყვანა. სამწუხაროდ, დღეს მარინესკუები მძლავრობენ.

რამდენიმე საათის წინ რუსულ არხს ვუსმენდი, "დუშემირატს" უსაფრთხოების ახალი კონცეფცია დაუწერია. ძალიან კარგი. ქართველებს შე-

გიძლიათ გული კარგად მოიფხანოთ იმ მარტივი ჭეშმარიტებით, თქვენს არმიას და სპეცრაზმებს მილიანობაში კარგად რომ არ ეომათ, რუსები საკუთარი ჯარის სისტემის ძირულად გარდაქმნას და ბრიგადებზე გადასვლას არ დააპირებდნენ. უყვართ ძველი პრუსიული სისტემა, რომელსაც უკვე დიდი ხანია სიბერისაგან კბილები დაცვივდა, პირდაპირი მნიშვნელობით. დუშემირატის ჩემული ინგლისური "სპელინგი" ასეთია: "DOOMvrate". ეს დუეტი, თუ ასე გააგრძელა, მართლა მიიყვანს რუსეთს დაღუპვამდე. სამწუხაროა, რომ ხორცსაკეპში ბევრი უდანაშაულო რუსიც მოჰყვება - ისინი, ნავთობზე მიბმული ეკონომიკის გამო საკუთარ ორგანოებს რომ ჰყიდნიან მოსკოვში. მთავრობამ კი "მ წ"-ის მიქსევის მეტი ვერაფერი მოიფიქრა. დიმა არაა ბისმარკი, არც ვოვა.

მიტინგებს ყველა ქვეყანაში მოიხან, როცა ის ანტიკონსტიტუციური ხდება: ამერიკაშიც, ავსტრიაშიც და შვედეთშიც. ლუქსემბურგშიც კი. ჩვენი სპეცრაზმები, EKO-Kobra და WEGA, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, მაგრამ ჰელდენსპლაცზე ავსტრიელებმა რომ საკუთარი ორგანოების გაყიდვა დაიწყონ მშვიდი შვილების გამოსაკვებად და ბუნდესკანცლერმა ან შინაგან საქმეთა მინისტრმა სპეცრაზმს გამოუძახოს მათ დასარბევად, გეტყვით რაც მოხდება: ცოცხლად გაატყავებს იგივე სპეცრაზმი და შტეფანსდომიდან გადმოკიდებს, როგორც ძველი ასურელები უკეთებდნენ მეტერს.

პუტინმა და მედვედევმა ნომერ პირველ მტრად თურმე ისევ აშშ გამოაცხადეს. ნუთუ ის არ ახსოვთ, ცეზიუმის კანისტრები რომ დადეს ჩეჩენმა ბოევიკებმა მოსკოვის პარკებში? და აჩვენეს კრემლს, რაც შეეძლო?! ამის მერე მაინც ჩეჩნებს აბრალებენ მოსკოვში შენობების აფეთქებას. ჩეჩნების ერთ კატეგორიას თავისი სისაძაღენიც ეყოფა. იგივე ბასაევი, მაგალითად, ისეთ რაღაცეებს აკეთებდა, რასაც ნესით კი გამოობრძმედილი ფს-გრუ-ესვეერის აგენტები უნდა აკეთებდნენ. ჰოდა, რომ აღარ დასჭირდათ, "გაგარეს" კიდევ. ვაჟკაცი ჩეჩენიც მინახავს, რუსიც, ტერნოპილელი კახიკიც და ჰიროშიმედი იაპონელიც. ვაჟკაცები ადამიანების თავებით ფეხბურთს არ თამაშობდნენ და არც ქართველ ბავშვებს აუპატიურებდნენ ჯგუფურად აფხაზეთში.

როცა ალექსანდრ ლებედი ბირთვული იარაღის დაკარგვაზე ალაპარაკდა, სასწრაფოდ გადაათქმევინეს. მალე ლებედი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. საინტერესოა. მეომარი "დესანტიკი" გენერალი მუშომბეტილი შვეულმფრენით მეგობრობდა (!!) და კატასტროფა განიცადა. თავისი ბევრი ცოდვის მიუხედავად, ლებედი უამრავ რუს გენერალს სჯობდა. სხვათა შორის, ეს ის კაცია, ვლადიმირ "იურისტოვიჩი" ჟირნიოვსკის "The Lord God's monkey" რომ უწოდა.

დაფიქრდით რუსო გენერლებო, პოლიტიკოსებო და დიპლომატებო. ცოტა გაანჯღრიეთ [ალბათ რუსული სუსხისაგან] გაყინული ტვინები. აშშ-ს თქვენი ციმბირის ნიადაგისეული რა შავ ქვედა უნდა, თვითარებულბაზე ათჯერ ძვირი დაუჯდება მისი ექსპლუატაცია. აი, თქვენი ერთი მეზობელი კი სულ არ ითვლის მუშა-ხელს. ეკონომიკური თვალსაზრისით მხოლოდ მისთვის იქნება მომგებიანი ურალამდე გაფართოება. გეოპოლიტიკის ფანო დუგინებო და კარაგანოვებო, გადმოიტანეთ 21-ე საუკუნის ევრაზიაში მე-19 საუკუნის საფრანგეთ-გერმანიის ტელუროკრატული ქიშპი კონტინენტური ჰეგემონის სტატუსისათვის. მოეშვით ზღაპრების შეთხზვას და დაჯერებას. ჩემი

მეგობრული რჩევაა. ეს თქვენ უნდა იდარდოთ, თორემ მე კი ვარ აგერ წამონოლოლი მიუნხენში, "ჰოფბრაუ-ჰაუსში" და ვუკაცუნებ ჩემს ლეპტოპს. იმათ, ვინც ავტომატით გადმოვავა საზღვარზე, მავი ცელოფენით ნაილებენ - სანამ პირში სული მიდგას და თითები მემორჩილებიან.

"ჰოფბრაუჰაუსი" ფრიად საინტერესო ადგილია. აქ, წარმოშობით ავსტრიელმა მეგა-არაკაცმა, პუტჩი მოაწყო 1923 წელს, ნიჭიერ, მაგრამ ბოროტ ჟურნალისტთან, გამორფინისტებულ ვეტერან ასთან და მეფრინველეობის პატარა ფაბრიკის ყოფილ უფროსთან ერთად. არადა, ნამდვილად ნიჭიერი მხატვარი იყო Genosse ჰიტლერი. დროზე რომ არ ჩაეკლათ მისი ნიჭი, ახალი კლიმტი, შილე ან კოკოშკა არა, მაგრამ შესაძლოა ახალი ლუცი გვეყოლიდა.

Genosse ამხანაგს ნიშნავს გერმანულად. ჰო, ნაქიზმი და კომუნიზმი ტყუილი ძმებია. მარქსიზმის დამახინჯებული ვარიანტია ორივე. დამახინჯებული, დიხაბაც. ვინც მარქსიზმი სწორად გაიგო, იმან ძალიან წარმატებული სოციალური კეთილდღეობის მოდელები ააშენა: ბენილუქსის და სკანდინავიის ქვეყნებს გადახედეთ და მიხვდებით, რა იყო მარქსის ოცნება. თქვენმა მონა-მორჩილმა კომუნისტებმა, ძველ ნავსადგურში, ნიონაცისტების ბარში მაგიდაზე დამდგარმა საბჭოთა კავშირის ჰიმნი იმღერა 2002 წელს. ეს ამბავი განევა-გამონევი და იარაღის ტრიალით არ დასრულებულა, ბატონებო. პირიქით, ძალიან "არიელიზმა" მქუხარე ტაში დამიკრეს და იმდენი ლუდი მასვეს, დილას მალმოს მატარებელი გამეპარა შევლეთში.

არიელობა ინტელექტის და ჰუმანიზმის უმალესი ხარისხია და არა კანის ფერი ან თვალის ჭრილი. მარტინ ლუთერ კინგი და დალაი-ლამა არიელები არიან. არიელია დესმონდ ტუტუც, სახმრეთ აფრიკის ლამის წინდინად შერაცხული არქიებისკოპოსი და ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი, ლირსული ადამიანი.

პაციფიზმი ფრიად საყვარელი, სათუთი და ჩემთვის ძალიან ახლობელი მცნებაა. მაგრამ უსაზღვრო პაციფიზმი უკვე კრეტინიზმი ხდება. მაშაშაშა განდი მაშინ არ მომკვდარა, როდესაც ნათურამ გჰოქმე სასხლეს ხელი გამოჰკრა - ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც. განდი მაშინ მოკვდა, როდესაც ამ ჩვეულებრივ ბრძენმა და მრავალჭირნახულმა ადამიანმა უპატიურებელი სისულელე წამოროშა. აი, ეს მარგალიტიც: ინგლისელებო, ნუ ეომებით ჰიტლერს, დანებდითო!!! კი, კი, უნდა დანებებულყვნენ და აუშინცის, ბუხენვალდის, მაიდანეკის, ტრემბლინკას, დახაუს, მაუნტსაუზენის ფილიალები უნდა გაეხსნათ დუერიდან ედინბურგამდე. მეორე მსოფლიო ომი მოიგო ბრიტანელების შეუპოვრობამ (დიდი ბრიტანეთი საფრანგეთის დანებებულმა გერმანია-სსრკ-ს ომამდე მარტოდმარტო ეომებოდა მთელს ევროპას გერმანიის სახით, სულ 100 მოქმედი ტანკი ჰყავდათ და თვითმფრინავების 17 ესკადრონი, თითოეულში 52 თვითმფრინავი), საბჭოელების სისხლმა (15 მილიონი ჯარისკაცი დაიღუპა და არა მარტო რუსები!!!) და ამერიკელების მეგა-ეკონომიკამ (აქ კომენტარი ზედმეტია). ის ზღაპრები, რომ ტ-34 "ტიგრებს" სჯობდა, მავანმა საკუთარ შვილიშვილებს მოუყვებს ძილის წინ. ვისაც კალაშნიკოვის ავტომატი უყვარს, ჩამოვიდეს ვენაში და პაპაჩევის 30-იანი ნიშნის გერმანულ ავტომატს ვაჩვენებ. აბა, თუ გარჩევს ცნობილი აკ-47-საგან...

პატარა ერის მიწები ვარ და ამიტომ მტკივა პატარა ერის გასაჭირი, იქნება ეს ისრაელი, საქართველო თუ

ესტონეთი. თავისუფლების მოედანსაც ისევე დავიცავ, როგორც ბრიუსელის გრანპლაცს და ვენის შტეფანსპლაცს. კარგად იციან ეს ჩემმა ქართველმა მეგობრებმა.

შარშან დეკემბერში თბილისის "მარიოტში" ვისხედით მე და ჩემი მეგობარი დიპლომატი. შეხედა გაჩახჩახებულ რუსთაველის გამზირს და დამახასიათებელი აქცენტით მეუბნება: "Take a look, David. Rustaveli is Europe. This is Europe." დავეთანხმე, რადგან ნამდვილად ასეა. ჩემი მეგობარი ევროპელია, "ზებერი ევროპიდანი" ამერიკაში ემიგრირებული ევროპელი, ორმაგი მოქალაქეობით.

საქართველოს ყველა შანსი აქვს, რომ ამიერკავკასიის შვეიცარია გახდეს. ვიცი, ამას წლები დასჭირდება, მაგრამ ეს ასე იქნება. ისტორიული ევოლუციის შედეგია. ისტორია კი არასოდეს ცდება. დამიჯერეთ, თქვენი ყველაზე დიდი განძი ინტელექტია და არა მანგანუმი და "ბორჯომი." ალექსანდრე ქართველი აშშ-ს ავიაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო, ალექსანდრე ნადირაძე კი "ო" შექმნა, რუსეთის სარაკეტო ძალების მთავარი კოზირი, SS-26-ს რომ უწოდებენ ნატო-ს ჟარგონით. ეს ბულგარულ პრესაში არ ამომიკითხავს, ამერიკელი დიპლომატებისაგან ვიცი.

მიუნხენშიდა გილოცავთ დამდეგ ძველი ახალ წელს. ქვეყანას გამოლიანებას და გაძლიერებას ვუსურვებ, ხალხს - მშვიდობას და კეთილდღეობას, გაზეთს - ულევ წარმატებას.

დაბოლოს, ბოდიშს მოვუხდით ქართველ მკითხველს, რომ ხანდახან შეიძლება კოვტონობიერებულად, მენტორის კილო შემეპაროს. როგორც ავღანიშენ, პატარა ქვეყნის შვილი რომ ვარ, ამიტომ მტკივა სხვა პატარა ქვეყნის გასაჭირი. ამიტომ ვხარჯავ ვაშლის ფურცლებს და დროს - თქვენსას და ჩემსას. პრობლემები ჩვენც ბევრი გვაქვს, მაგალითად, ხალხის გარკვეული ნაწილი რადიკალ შტრახეს უჭერს მხარს, რომელსაც, თუ მასმედია დაუფუჯვრებთ, ემიგრანტი ქართველი ბიზნესმენი აფინანსებს. რას იზამ? ეს არის დემოკრატია, თავისი პლუსებით და მინუსებით.

P.S. ლამაზ და მყვირალა ლოზუნგებს ძირითადად ობიგატელების და ეგოისტი ინტელიგენტების ეგზალტირებული, ალტყინებული მასა მიჰყვება ბოლომდე. ტიპოტი მაკევი, რომლის მოწყობილმა ჯოჯოხეთურმა ტერაქტმა 1995 წელს 168 უდანაშაულო ადამიანი შეინარა ოკლაჰომა-სიტიში, სიკვდილის წინ უღლიამ ერნესტ ჰენლის უკვდავ ლექსს - "[Sol] Invictus" ამბობდა. სხვათა შორის, Sol Invictus თარგმანში "დაუმატებელი მუსს" ნიშნავს და მაცხოვარის ერთ-ერთი ეპითეტია.

ტერორიზმი ადამიანს ართმევს ყველაზე წმინდას, რაც ამ უკანასკნელს გააჩნია - სიცოცხლეს. მნიშვნელობა არა აქვს, მკითხველი ათეისტია თუ ღრმადმორწმუნე. სახეობა Homo Sapiens Sapiensis სამყაროს ცენტრია. გნებავთ ევოლუციის გვირგვინი ვუნოდოთ, გნებავთ - უფლის შედევერი.

ტოლკინი ყველაზე დიდი მწერალია, იმიტომ, რომ რამდენიმე წინადადებაში ჩაატია ის, რასაც სხვებმა ტომები და წლები შეაღიეს. "ბევრი ისეთი ცოცხლობს, რომელიც სიკვდილს იმსახურებს. ბევრი ისეთი მოკვდა, რომელსაც უნდა ეცოცხლა. შეგიძლია დაუბრუნო მათ სიცოცხლე არა? მაშინ ნუ გამოუტან სასიკვდილო განაჩენს იმას, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია!" - ეუბნება გენდალფი ფროდოს.

იფიქრეთ ამ სიტყვებზე, სანამ ტროტის შემოიკრავდეთ სხეულზე. ტროტის შემოკვრის შემდეგ ტერორისტი უკვე აღარაა ადამიანი.

მკვლევლობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

სამართალდამცველებმა მკვლევლობაში ეჭვმიტანილი ლეონტი ნონორია დააკავეს. ის ალექსანდრე კიპაროიძის ძარცვასა და მკვლევლობაში ეჭვმიტანილი. მკვლევლობა 4 იანვარს, გვიან ღამით, ქვემო ქართლის რაიონის სოფელ დიგანდში "ზოოვეტის" საერთო საცხოვრებელში მოხდა. მკვლევლობის მიზეზი ურთიერთშელაპარაკება გახდა. ნონორიამ კიპაროიძე დანით მოკლა, ცხედარი ჩანთაში ჩადო და გადაავდო.

დაკავებულმა დანაშაული აღიარა. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლევლობის მუხლით აღიძრა, რაც 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჯი-ეიჩ-ენი

კოკოთიმ ყოფილი ბიზნეს-პარტნიორი მოაკვლევინა

ე.ნ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოთის დაკვეთით მოსკოვში ბიზნესმენი ვიტალი გაგიევი მოკლეს.

ვიტალი გაგიევი ცხინვალში 1968 წელს დაიბადა. გავრცელებული ინფორმაციით, ის 1990-1991 წლებში ქართულ-ოსურ კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობდა. 1991 წელს ქართველმა ჯარისკაცებმა ტყვედ ჩაიგდეს, საიდანაც გაგიევი 1992 წელს განთავისუფლდა. ამის შემდეგ, იგი მოსკოვში წავიდა და ბიზნესი წამოიწყო.

გაგიევი კოკოთის მეორე ცხინვალელმა ბიზნესმენმა აღან ჩეხოვემა გააცნო. ჩეხოვეი ფირმა "ფრანგის" დამფუძნებელია, რომელშიც კოკოთის 1996-2001 წლებში ჯერ გენერალური დირექტორის მოადგილის, შემდეგ კი, გენერალური დირექტორის თანამდებობა ეკავა. 2001 წლის დეკემბერში კოკოთი ე.ნ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად აირჩიეს და მისი საარჩევნო კომპანია ყველაზე აქტიურად გაგიევმა და ჩეხოვემა დააფინანსეს.

2001-2007 წლებში გაგიევმა კოკოთის საკმაოდ მსხვილი თანხები ასესხა. კოკოთი ფულს არ აბრუნებდა და გაგიევი, რომელსაც ცხინვალის რეგიონის ოსურ მოსახლეობაში საკმაოდ დიდი გავლენა აქვს, კოკოთის ანგარიშსწორებით დაემუქრა. პარალელურად, ის მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელს შეპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა "ხალხს ზუსტად გაეგო, თუ რას წარმოადგენდა კოკოთი."

2008 წლის მარტში კოკოთიმ მოსკოველი მეგობრების დახმარებით რუსი ქილერები დაიქირავა. 2008 წლის 28 სექტემბერს უცნობმა პირებმა გაგიევის "ლენდ როვერზე" დანადგომი ჩანთა დადეს. თუმცა, ჩანთა ორმა გამვლელმა აიღო და შედეგად, მათ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღეს.

2009 წლის 8 იანვარს ქილერებმა უფრო ზუსტად იმოქმედეს. მათ გაგიევი ბოტკინსკის პირველ ჩიხთან, საკუთარ სადარბაზოსთან ავტომატებით ჩაცხრილეს. ბიზნესმენი ადგილზე დაიღუპა.

მედიანიუსი

იარაღის კონტრაბანდისტები აფხაზეთში

ადღერის რაიონულმა სასამართლომ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების სამ წევრს, რომელთაც აფხაზეთიდან რუსეთში იარაღი კონტრაბანდული გზით გადააქვდა, რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, ჯივან კოჩკოიანი, ფიქრი კიან-ოლი და ამოტ შაკლამჯიანი აფხაზეთში იარაღის პარტიებს ყიდულობდნენ და კონტრაბანდული გზით სოჭში გადააქვდა, საიდანაც იარაღი დონის როსტოვის შავ ბაზარზე იგზავნებოდა.

კრიმინალები ლესელიძის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე არსებული ხალხმრავლობით სარგებლობდნენ და იარაღი რუსეთში დაუბრკოლებლად შეჰქონდათ. აფხაზეთში თვითნაკეთი რევოლვერი 10 ათასი რუბლი (დაახლოებით 600 ლარი) ღირს, რუსეთში კი, ასეთი რევოლვერი 24 ათას რუბლად (დაახლოებით 1440 ლარი) იყიდება.

მედიანიუსი

ხობის მუნიციპალიტეტის ჩინოვნიკები პროკურატურაში დაიბარეს

ხობის საოლქო პროკურატურაში მუნიციპალიტეტის ჩინოვნიკების დაკითხვა მიმდინარეობს. საოლქო პროკურატურას გამოთხოვილი აქვს ყველა საფინანსო და საბიუჯეტო ორგანიზაციის დოკუმენტები და მიმდინარეობს გამოძიება.

ამჟამად, გამოძიებამ უკვე დაკითხა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი რობერტ გვიჩია და საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე.

გავრცელებული ინფორმაციით, პროკურატურის გამოძიება ყულევის ტერმინალიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების განკარგვას ეხება.

მედიანიუსი

ფოტორობოტის სახალაბით მოძიებული მკვლელი

მისაჯვოს სამუდამო პატიმრობა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით – ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა ჩელიაბინსკის ოლქის სასამართლომ 24 წლის ნიკოლაი მოზგლიაკოვს, რომელსაც ორი მეშვიდე კლასელი გოგონას მკვლელობა ედებოდა ბრალად.

საქმე ისაა, რომ გამოძიება მოზგლიაკოვის კვალზე მესამე მსხვერპლის, სასწაულებრივად გადარჩენილი პირველი კლასის მოსწავლის საშუალებით გავიდა.

საუბარია 2008 წლის აპრილში, ქალაქ ზლატოუსტში მომხდარ დანაშაულზე, რომლის ჩამდენის შესახებ პოლიციისთვის ნებისმიერი ინფორმაციის მიმწოდებელზე მაშინ მილიონი მანეთი ჯილდო დაწესდა. რეგიონის გუბერნატორმა კი ინფორმაციისთვის ჯილდო – 5 ათასი მანეთი დაანახა. ქალაქის მერმა ჯილდოს რაოდენობა 100 ათასი მანეთით განსაზღვრა.

“განსაკუთრებით საშიში დამნაშავე შესაძლოა, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას გამოჩნდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მანიაკი იზოლირებული იყოს”, – ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ რეგიონის გუბერნატორი და ქალაქის მერი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ორი მეგობარი გო-



სამუდამო პატიმრობა მანიაკს.

- Рост 170 – 180 см
- Возраст 40 – 45 лет
- Лицо в прыщах или шрамах
- На правой кисти татуировка в виде паука
- Одет в черную куртку и темно-синие спортивные штаны со светлыми лампасами

გონა და ერთ-ერთი მათგანის 7 წლის და, ქალაქ ზლატოუსტში, 1 აპრილს, არდადეგების დასრულების შემდეგ, სკოლაში გასვლის პირველივე დღეს დაიკარგნენ. მეორე დღეს, შემთხვევითმა გამვლელმა რკინიგზის სადგურთან ახლოს, ტყის პირას, სისხლში ამოსვრილი, უძძიმეს მდგომარეობაში მყოფი შვიდი წლის გოგონა ნახა, რომელიც გზაზე ეგდო. მას რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა და ნიღბი მიყენებული. პატარა ლერა ლუიტი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. გონს მოსულმა გოგონამ მომხდარის თაობაზე სამართალდამცველებს საავადმყოფოში მისცა ჩვენება. იმავე დღეს, სამართალდამცველებმა რკინიგზის სადგურთან ახლოს მდებარე სასაფლაოზე მისი დის ანა ლუიტიასა და მისი მეგობრის ანა მოხნატკინას ხეზე მიბმული ცხედრები იპოვეს. ერთ-ერთი მათგანი დამ-

ხრჩვალ იყო, მეორე კი დანით მიყენებული უამრავი სასიკვდილო ჭრილობით იყო გარდაცვლილი.

სიკვდილს გადარჩენილი გოგონას ჩვენების მიხედვით, დამნაშავის ფოტორობოტი შედგა. როგორც გაირკვა, მანიაკმა სკოლიდან მომავალი გოგონები დანის მუქარით აიძულა, გაჰყოლოდნენ ტყეში. მოგვიანებით გაირკვა ისიც, რომ მკვლელი მანიაკი ამ დანაშაულისთვის რამდენიმე დღის განმავლობაში ემზადებოდა და მსხვერპლს არჩევდა. გარდაცვლილი გოგონების მეგობრები, რომლებიც სკოლასთან ახლოს ცხოვრობდნენ, უცნობ საეჭვო ახალგაზრდა კაცზე ალაპარაკდნენ, რომელიც, მათი განმარტებებით, ცდილობდა მათთან გამოლაპარაკებას და დაახლოებას. ამ მონაცემების საფუძველზე, მკვლელის კიდევ სამი ფოტორობოტი შე-

დგა, რომლებიც ცოტა ხანში გაერთიანდა და საბოლოოდ, სამართალდამცველებმა ერთი ფოტორობოტის ასლები გაავრცელეს.

ეჭვმიტანილი მკვლელიდან მათ დღეს დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ნიკოლაი მოზგლიაკოვი, ზლატოუსტში მკვლევლობამდე ერთი კვირით ადრე დაბრუნდა. ის იმავე რაიონში ცხოვრობდა, სადაც გარდაცვლილები. მანამდე კი მოსკოვში, ერთ-ერთ სარემონტო-სამშენებლო ბრიგადაში მუშაობდა. გამოძიების ინფორმაციით, ნიკოლაი მოზგლიაკოვი მრავალშვილიან ოჯახში იყო აღზრდილი. მან იგივე სკოლა დაამთავრა, რომელშიც გარდაცვლილი გოგონები სწავლობდნენ. მოგვიანებით, მისი ოჯახი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად.

მკვლევლობის გახმაურებისთანავე გაჩნდა ვერსია, რომ მკვლელი ფსიქიკურად შუშლილი იყო. თუმცა, ყველას გასაოცრად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ ის შერაცხადა და განოხსნორებულადამიანად ჩათვალა.

როგორც გაირკვა, ნიკოლაი მოზგლიაკოვი ადრე ოთხჯერ იყო გასამართლებული. მთლიანობაში, მას ციხეში ექვსი წელი ჰქონდა გატარებული. სასამართლო პროცესზე მან მკვლევლობის მოტივი ვერ დაასახელა. განმარტა მხოლოდ ის, რომ ოჯახური პრობლემებით იყო გაბოროტებული.

ყოფილი პოლკოვნიკის სასჯელისგან ბათავისუფლება შეიძლება

ყოფილი რუსი პოლკოვნიკი იური ბუდანოვი, რომელიც სასამართლოს

გადაწყვეტილებით, რამდენიმე დღის წინ, ვადამდე ადრე უნდა გათავისუფლებულიყო სასჯელისგან, კვლავ კოლონიაში რჩება. რუსული

მართლმსაჯულების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მსჯავრდებულის ვადამდე ადრე გათავისუფლების გადაწყვეტილება დაზარალებულმა მხარემ გაასაჩივრა. პოლკოვნიკი იური ბუდანოვი 18 წლის ჩეჩენი გოგონას ელზა კურგანოვას გატაცებისა და მკვლელობისთვის არის გასამართლებული.

ყოფილი პოლკოვნიკის სასჯელისგან გათავისუფლების პროცედურა რამდენიმე დღის წინ შეჩერდა. ამის მიზეზი საკასაციო სარჩელი გახდა, რომელიც სასამართლოში მოკლული ელზა კურგანოვას ოჯახის ადვოკატმა სტანისლავ მარკელოვმა შეიტანა. სასამართლომ ადვოკატს სარჩელის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებისთვის გარკვეული ვადა მისცა. რადგანაც, როგორც სასამართლოს წარმომადგენელი აცხადებს, ადვოკატის სარჩელის პირველად ვარიანტს კონკრეტული არგუმენტაცია აკლია. საბოლოოდ ჩამოყალიბებული საკასაციო სარჩელი სასამართლოში 16 იანვარს შევა, სარჩელის განხილვას კი ერთი კვირა მინაც დაჭირდება. დაზარალებული მხარის საკასაციო სა-

რჩელის განხილვამდე, კანონიერ ძალაში ვერ შევა ყოფილი პოლკოვნიკის ვადამდე ადრე გათავისუფლების ბრძანება.

როგორც ადვოკატმა სტანისლავ მარკელოვმა "გაზეტა რუ"-ს განუცხადა, ამ სარჩელით, მან პრეცედენტი შექმნა. მისივე განცხადებით, სასამართლოს მიერ პატიმრის ვადამდე ადრე გათავისუფლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, აქმდე არავის გაუსაჩივრებია. "საკასაციო სარჩელი მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორც სასამართლოსთვის, ასევე პროკურატურისთვის, რომლებიც ამ შემთხვევაში მსჯავრდებულის ადვოკატებად გვევლინებიან. საპროცესო კოდექსი გარკვევით მიუთითებს, მხარეებს აქვთ სასამართლოს ნებისმიერი განაცხადების გასაჩივრების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი თანახმობის პრინციპი ირღვევა", – აცხადებს გარდაცვლილის ოჯახის ინტერესების დამცველი.

პოლკოვნიკის მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ ჯერ კიდევ 2008 წლის ბოლო დღეებში გავრცელებულმა ინფორმაციამ ჩეჩენეთში დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. საუბარი იყო იმაზეც, რომ რუსული არმიის ყოფილი პოლკოვნიკის სასჯელისგან გათავისუფლება ჩეჩენეთში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების დაწყების მიზეზი გახდებოდა.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 2002 წლის დეკემბერში, სასამართლო სამედიცინო ფსიქოლო-

გიური ექსპერტიზის დასკვნით, მსჯავრდებული ბუდანოვი შეურაცხადად გამოცხადდა და ის სასამართლომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა, რამაც, როგორც ჩეჩენების, ასევე რუსეთის გარკვეული წრეების აღშფოთება გამოიწვია. ამის შემდეგ უმაღლესმა სასამართლომ ქვედინსტანციის სასამართლოს განაცხადი გასაჩივრებდა. სასამართლომ შეცვალა და შეურაცხადად გამოცხადებული პოლკოვნიკი ახლიდან დაადანაშაულა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაშეცემაში, ადამიანის გატაცებასა და განზრახ მკვლელობაში.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბუდანოვს ჩამოერთვა პოკოვნიკის ნიშნები. ბუდანოვი ციხეში დააბრუნეს. ციხეში დაბრუნებულმა კი, ცოტა ხანში შეწყალებაზე დაწერა განცხადება, რაზეც მას უარი ეთქვა. შეწყალების თხოვნის შემდეგ, ყოფილმა პოლკოვნიკმა ოთხჯერ მოითხოვა ვადამდე ადრე გათავისუფლება, თუმცა, სასამართლომ ამ მოთხოვნაზე ოთხჯერვე უარი უთხრა. "მისი მონანიება არაგულწრფელია", – ასეთი იყო სასამართლოს არგუმენტი. "ბუდანოვის საქმე" ჩეჩენეთისთვის წლების განმავლობაში "წითელ ლაქად" ითვლებოდა, ამიტომაც, მის ხელახლა გათავისუფლებას რუსული მართლმსაჯულება ვერ ბედავდა. გასული წლის ბოლოს კი ულიანოვის ოლქის სასამართლომ ჩათვალა, რომ პოლკოვნიკმა ჩადენილი დანაშაული გულწრფე-

ლად მოინანია და მისი მეხუთე მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

1998 წლიდან 2000 წლამდე, ჩეჩენეთის ომის დროს, იური ბუდანოვი სატანკო პოლკს მეთაურობდა. პოლკოვნიკის ნიშნები მან 2000 წელს მიიღო. სწორედ ამ დროს ჩაიღინა მან დანაშაული. 2000 წლის 27 მარტს ის ჩეჩენეთში, ტანგი-ჩუს დასახლებაში, ერთ-ერთ ოჯახში შეიჭრა, საიდანაც 18 წლის ელზა კურგანოვა გაიტაცა. გატაცებული გოგონა პოლკოვნიკმა სამხედრო ნაწილში წაიყვანა და მისგან ჩეჩენი სნაიპერების თაობაზე ინფორმაცია მოითხოვა.

დაკითხვის დროს პოლკოვნიკმა გოგონა სასტიკად სცემა, ბოლოს კი გაგუდა. მოკლული ახალგაზრდას ცხედარი ბუდანოვმა სამხედრო ნაწილთან ახლოს დამარხა, თუმცა მეორე დღეს განცხადება დაწერა და ჩადენილი დანაშაული დეტალურად აღწერა. ის მკვლევობიდან მეორე დღესვე დააკავეს.

ჩეჩენი ადამიანის უფლებათა დამცველები წლების განმავლობაში ბუდანოვის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებზეც საუბრობდნენ და მტიკიცებულებების შეგროვებით იყენებდნენ დაკავებულები, რათა ბუდანოვის კიდევ ერთხელ გათავისუფლების შემთხვევაში, მისი ციხეში დაბრუნების შესაძლებლობა ჰქონოდათ.

რა მტიკიცებულებები არსებობს იური ბუდანოვის სხვა დანაშაულების შესახებ და ერთის თუ არა ეს მტიკიცებულები მოკლული ჩეჩენი გოგონას ოჯახის ადვოკატის საკასაციო სარჩელს, ჯერჯერობით უცნობია.

„ცივი ომი“ სიტუაციის

ხატუნა ბაჩიაძე

ორშაბათს მიღწეული შეთანხმების თანახმად, რუსეთს ევროპისთვის უკრაინის გავლით ბუნებრივი გაზის მიწოდება სამშაბათს, მოსკოვის დროით დღის 10:00 საათზე უნდა აღედგინა. „ბი-ბი-სი“-ს თანახმად, „გაზპრომმა“ კურსკში მდებარე გაზსაზომ სადგურ „სუჯადან“ ტრანზიტული გაზის გაშვების განკარგულება გასცა.

თუმცა, საქმე მხოლოდ საცდელ გაშვებას ეხებოდა. „ეს, უბრალოდ, აუცილებელი მოცულობის ნაწილია“, - აცხადებდნენ „ნეფტოგაზ უკრაინაში“.

უკრაინის აღმოსავლეთ საზღვრიდან დასავლეთამდე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებას, დაახლოებით, 24-36 საათი სჭირდება. ექსპერტთა თქმით კი, ევროპული ქვეყნებისთვის გაზომარაგების ნორმალიზაციის რეალური ვადები 36-დან 48 საათამდე მერყეობს.

სადგურ „სუჯაზე“ ტრანზიტის დაწყებას თვალყურს ადევნებდნენ უკრაინული მხარე, ევროკომისიისა და „გაზპრომის“ წარმომადგენლები. უკრაინის გავლით ბუნებრივი გაზის ტრანზიტზე მონიტორინგს დაჟინებით მოითხოვდა რუსული მხარე, რომელიც ოფიციალურ კიევის სანავიგაციო ქუჩაზე მდებარეობდა, მაგრამ კიევი ბრალდებას ისევ უარყოფს.

ასევე თუ იცხ, ფაქტია, რომ შეთანხმება დაიდგა და ბუნებრივი გაზის მიწოდების აღდგენა დათქმულ ვადაში არ მოხდა. რუსული გაზის კონცერნის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე მედვედევის თქმით, „გაზპრომის“ მხრიდან ვალდებულების შესრულების მიუხედავად, პრობლემა უკრაინის მხრიდან წარმოიქმნა, რომელმაც ტრანზიტის დაბლოკა.

„უკრაინამ არ გახსნა მაგისტრალი ბუნებრივი გაზის ტრანზიტისთვის. ჩვენ ფიზიკის წინააღმდეგ ვსვამთ არ შევძლებთ: თუ სისტემა დაკეტილია, გაზის მიწოდების უზრუნველყოფას ვერ შევძლებთ. უკრაინულმა მხარემ ცინიკურად შემოგვთავაზა, რომ მათი გაზსატრანსპორტო სისტემა შიდა მომხმარებელზეა ორიენტირებული. ამ პირობებში კი ნებისმიერი გაზი, რომელიც სისტემაში გაიშვება, ევროპელ მომხმარებელამდე ვერ მიაღწევს. ჩვენ ვერ არ ვიცით, რა ვიღონოთ. ის, რასაც უკრაინული მხარე მოითხოვს, მიღწეულ შეთანხმებაში გათვალისწინებული არ არის. ეს უკვე ვაცნობ ჩვენს ევროპელ პარტნიორებს“, - განაცხადა ალექსანდრე მედვედევმა.

„გაზპრომის“ წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ უკრაინამ შეთანხმება დაარღვია და გაზსაზომ სადგურებზე რუსი დამკვირვებლები არ დაუშვა.

„ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთელ ამ მიუზიკლს, რაც უკრაინაში ხდება, აბსოლუტურად სხვა ქვეყნიდან დირექტორებმა“, - განაცხადა მედვედევა.

პუტინ-ბაროზუს სატელეფონო საუბარი

„ინტერფაქსის“ თანახმად, რუსული მხარის ინიციატივით პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინისა და ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუს შორის სამშაბათს სატელეფონო საუბარიც გაიმართა.



AFP © 2009

„რუსეთის მთავრობის მეთაურმა ბაროზუს აცნობა, რომ ტრანზიტული რუსული გაზი, რომლის ნაწილობრივი მიწოდება აღდგენილია, უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემაში არ გაედინება“, - აცხადებენ რუსეთის მთავრობის პრესსამსახურში.

„სისტემა დაკეტილია“, - აღნიშნა პუტინმა, ბაროზუს კი ამ პრობლემის უკრაინის ხელიშეწყობასთან განხილვის მზადყოფნა გამოთქვა.

უკრაინა ევროპისთვის რუსულ გაზს არ იღებს

გაზის ინფორმაციის სააგენტოს ცნობებით, ევროპისთვის განკუთვნილი რუსული გაზი უკრაინას არ მიწოდდება - რესპუბლიკის გაზსატრანსპორტო სისტემის ონკანი უკრაინის ტერიტორიაზე დაკეტილია.

მონიტორინგის საერთაშორისო კომისიის წყაროს თქმით, მოსკოვის დროით დღის 10:00 საათზე „გაზპრომმა“ „სუჯადან“ უკრაინის მიმართულებით ბუნებრივი გაზის მიწოდება დაიწყო. გაზსადენებში წნევამ 75 ატმოსფეროს მიაღწია, მაგრამ უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემის შესასვლელში ბუნებრივი გაზის დანახარჯი ნულის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინის მხრიდან შესასვლელი ონკანები დაკეტილია.

უკრაინის გაზსატრანზიტო სისტემის მდგომარეობის შეფასება მხოლოდ რუსეთის საზღვართან „ნეფტოგაზ უკრაინის“ გაერთიანებულ სადისპეტჩერო სამმართველოში შესაძლებელია, მაგრამ იქ საერთაშორისო დამკვირვებლები არ დაიშვებიან.

დაზარალებული ბალკანეთი

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ევროპისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა 7 იანვარს გამოაცხადა და გადაწყვეტილება გაზის „არასანქცირებული მიტაცების“ მოტივით ახსნა.

ბუნებრივი გაზის მიწოდების შეჩერება ევროპაში უჩვეულოა ცივების დავით, რის გამოც ითვლება რიგი ქვეყნები იძულებულნი გახდნენ, ბუნებრივი გაზის მიწოდება ჯერ სამრეწველო მომხმარებლებისთვის, ხოლო მოგვიანებით საცხოვრებელი სახლებისთვისაც შეეზღუდათ. ამან განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა - მოლდოვა, ბულგარეთი, სერბეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა დაზარალა.

„7 იანვარს იძულებითი შეწყვეტის დროს უკრაინის ტერიტორიაზე სატრანზიტო მა-

გისტრალები სავსე იყო რუსული გაზით და ბუნებრივია, უნდა არსებობდეს აუცილებელი წნევა გაზის სინქრონული მიწოდებისთვის. როგორც კი მიწოდება ბუნებრივი გაზი უკრაინის ტერიტორიაზე უნდა გასცდეს!“ - განაცხადა „გაზპრომის“ წარმომადგენელმა სერგეი კუპრიანოვმა.

ზემოაღნიშნული ნათქვამი შესაძლოა ახალი დავის საწყისადაც მივიჩნიოთ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ „ნეფტოგაზ უკრაინის“ წარმომადგენლების განცხადებას იმის შესახებ, რომ მათ გაზის ტრანზიტის არ შეწყვეტა და მიწოდების შეწყვეტისთანავე რუსულ მხარეს გაზსადენები დაიჭალა.

თუმცა, ის პირობები, რის გამოც ოფიციალურ მოსკოვსა და კიევის შორის დავა დაიწყო, ჯერ კიდევ გადაუჭრელია: უკრაინა 2009 წლისთვის რუსეთის ბუნებრივი გაზის საფასურის ზრდას არ ეთანხმება და 2008 წლის განმავლობაში მიწოდებული გაზის დავალიანების ოდენობას ეჭვქვეშ აყენებს.

მსოფლიო პრესის შეფასებები

მკაცრი ზამთრის პირობებში ევროპისთვის რუსეთის ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე წარმოქმნილი კრიზისის მსოფლიო პრესაც ეხმაურება.

„აღმოსავლეთიდან ცივმა მოკითხვებმა მკვეთრად შელახა რუსეთის, როგორც ენერგორესურსების საიმედო მიწოდების იმიჯი“, - წერდა კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტამდე გერმანული გამოცემა „ჰანდელსბლატი“.

სამშაბათს ბუნებრივი გაზის მიწოდების განახლებამ ენერგოსექტორში არსებული ეჭვები მაინც ვერ გაფანტა. როგორც ბრიტანული გავლენიანი გამოცემა „გარდიანი“ წერს, ერთკვირიანი პაუზის შემდეგ ბუნებრივი გაზის მიწოდების აღდგენა მაინც პირობითად ხდება, რადგან რუსეთის ვიცე-პრემიერ ივორ სეჩინის განცხადებით, ეს მხოლოდ „საცდელი მიწოდებაა“. საერთაშორისო დამკვირვებელთა აზრით, პუტინი, ნებით თუ უნებლიეთ, ევროკავშირს ენერჯის წყაროების დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს, ხოლო უკრაინა კიდევ უფრო მეტად რისკავს: ევროპა მას უკვე აღარ აღიქვამს რუსეთის ორპირობის მსხვერპლად, რადგან ზედაპირზე კონფლიქტის ფარული კორუფციული მოტივები ამოტივტივდა.

გაჭიანურებული მოლაპარაკებების შემდეგ გაზომარაგების აღდგენას ძალუბის მოსიწვევად აფასებს ჟურნალი „ფორბსი“.

„რუსულ-უკრაინული დავა გაგრძელდება, რადგან კონფლიქტმა უკვე მიიღო ტექსტური ხასიათი. მთელი იმედები შეიძლება მხოლოდ იმას ემყარებოდეს, რომ ევროკავშირი თავდაცვის მიზნით წყაროების დივერსიფიკაციას შეეცდება. გარდა ამისა, ბრძოლის ველი უკიდურესად ბუნდოვანი სექტორია, რომელიც კორუფციითაა გაჯერებული და რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში მზარდი პოლიტიკური დაძაბულობის ხასიათდება“, - წერს ჟურნალში დევიდ სეტერი, ავტორი ნიგნისა „სიბნელე ალიონის წინ: რუსეთის კრიმინალური სახელმწიფოს აღზევება“.

მისი აზრით, რუსეთ-უკრაინის ურთიერთგაძმობი კორუფციისა და ინტრიგების ქსელი იმდენად განვითარებულია, რომ მხარეებს გამჭვირვალობისა და პატიოსნების სასარგებლოდ ნაბიჯების გადადგმა არ ძალუბთ.

კრემლზე დამოკიდებულების უკიდურესად შემცირების მიზნით ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გადამსაქმებლების აუცილებლობაზე წერს იტალიური გამოცემა „რეპუბლიკა“.

„ევროპა, რომელიც წლიურად 600 მლრდ კუბურ მეტრამდე ბუნებრივ გაზს მოიხმარს, დიდი ხანია, რუსეთზე დამოკიდებულების შესამცირებლად მიწოდების წყაროს დივერსიფიკირებას ცდილობს. კემბრიჯის უნივერსიტეტის კვლევებით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე რუსული კვოტა 75-დან 40 პროცენტამდე შემცირდა. ახლა უკვე ბუნებრივი გაზი ნორვეგიიდან, ალჟირიდან, ნიგერიიდან, ეკვადორიდან, კატარიდან, ლიბანიდან და ომანიდანაც მოედინება. „გაზპრომი“ კი იმას აკეთებს, რაც შეუძლია: ყიდულობს ბუნებრივ გაზს აზერბაიჯანისგან, თურქმენეთისგან, უზბეკეთისა და ყაზახეთისგან, რათა ევროპელებმა პირდაპირ არ მიმართონ გაზის მწარმოებლებს ცენტრალურ აზიაში და ევროპელებზე ათას კუბურ მეტრზე 450 აშშ დოლარის ფასად ყიდოს.“ - წერს გამოცემა.

უკრაინის გავლით რუსული გაზის მიწოდებაზე დამოკიდებულების შემცირებისა და ენერჯის ალტერნატიული წყაროების მოძიების გზებზე მსჯელობს ასევე ავსტრიული გაზეთი „პრესე“.

„გადაკეტილი გაზის ონკანის სახით, დამოკლეს მახვილისგან გასათავისუფლებლად, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გაზსადენების რიცხვის გაზრდა „ჩრდილოეთის ნაკადის“ და „სამხრეთ ნაკადის“ ხარჯზე. პუტინმა და მედვედევმა უკვე დაამტკიცეს, რომ თვალის დაუხამხამებლად შეუძლიათ დასავლელი მომხმარებლების გაყინვა. რუსული გაზის კარგი ალტერნატივა კასპიის რეგიონიდან „ნაბუკოს“ გაზსადენი იქნებოდა, მაგრამ გასათავისწინებელია ისიც, რომ თამაშში შესაძლოა ირანიც ჩაერთოს“, - წერს „პრესე“.

ამერიკული გავლენიანი გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“ კი ევროპას გაზსადენებთან მიმართებით მისთვის არასასურველი ვითარების გაჭიანურებას საყვედურობს. გამოცემის აზრით, მთელ ამ ისტორიაში მთავარი ისაა, რომ ევროპას ენერგეტიკის სფეროში და რუსეთის მიმართ ერთიანი პოლიტიკა არა აქვს შემუშავებული.

ეკვიპტეში „ჰამასის“ მხარდამჭერები დააკავეს

ეკვიპტის პოლიციამ 12 იანვარს ქალაქ დამანჰურში „ჰამასის“ მხარდამჭერი მიტინგის 64 მონაწილე-ორგანიზატორი დააკავა.

17 ადამიანი სამართალდამცველებმა ჯერ კიდევ მიტინგამდე დააკავეს და დაკითხეს. ათი ათასკაციანი მიტინგზე კი 47 ადამიანი აიყვანეს. თვითმხილველთა თქმით, დაკავებულია გაცილებით მეტი, დაახლოებით, 100-მდე ადამიანი. ქალაქი დამანჰური ქაიროდან 135 კილომეტრშია განლაგებული და ეკვიპტის ყველაზე მრავალრიცხოვანი ოპოზიციური მოძრაობის „მუსლიმანი ძმების“ ცენტრია. ამ მოძრაობის საქმიანობა ეკვიპტეში ჯერ კიდევ 1954 წელს აიკრძალა, რადგან ორგანიზაციის წევრებმა პრეზიდენტ ჰამალ აბდელ ნასერზე ცხადეს თავდასხმა.

მედიაინფო

მადრიდში დისკოთეკაზე ახალგაზრდა მამაკაცმა ცეცხლი გახსნა

მადრიდის ერთ-ერთ დისკოთეკაზე 36 წლის მამაკაცმა პისტოლტიდან ცეცხლი გახსნა და ორი ადამიანი მოკლა, ორი კი დაჭრა.

დამნაშავემ გაქცევა მოახერხა, მაგრამ იგი მოგვიანებით პოლიციამ დააკავა. მისი საქციელის მოტივი უცნობია. ამასთან, მამაკაცი ადრეც არაერთხელ ყოფილა სხვადასხვა სახის სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილი. კლუბის დაცვის წევრს აგრესორმა ყელში ესროლა და ადგილზევე მოკლა. მეორე მოკლულიც კლუბის დაცვის თანამშრომელი იყო. შემთხვევის ადგილზე, დაახლოებით, 700 ადამიანი იმყოფებოდა. ხმამაღალი მუსიკის გამო მათ სროლის ხმა არ გაუგონიათ. პოლიციამ დისკოთეკის ევაკუირება მოახდინა.

მედიაინფო

რუსული წარმოების თვითმფრინავებს ფრენა აუკრძალეს

არაბეთის გაერთიანებული საემიროების ხელისუფლებამ რუსული წარმოების თვითმფრინავებს -12-ს ქვეყნის ტერიტორიაზე ფრენა აუკრძალა. არაბეთის გაერთიანებული საემიროების ხელისუფლებამ გადაწყვეტილებას უსაფრთხოების თვალსაზრისით ხსნის. ბოლო ხანებში -12-ის თვითმფრინავები ხშირად ხვდებიან ავარიებში. ქვეყანაში -12-ს ექვსი მცირე გადაშლიდავი კომპანია იყენებს. კომპანიების ხელმძღვანელები შემოკლებას გამოთქვამენ, რომ რუსული თვითმფრინავების აკრძალვამ შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა მათ საქმიანობაზე.

მედიაინფო

ევროკავშირმა ევროკომისიას „გაზის სკანდალის“ შედეგების შეფასება დაავალა

ბრიუსელში ევროკავშირის 27 წევრმა ქვეყანამ რიგგარეშე შეხვედრა გამართა. სხდომის შედეგად ევროკომისიას ევროპისთვის გაზის კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური შედეგების შეფასება დაავალეს, - იუწყება „რია ნოვოსტი“.

„საბჭომ ევროკომისიას დაავალა, ევროკავშირის დაზარალებულ წევრ ქვეყნებთან ერთობლივად განსაზღვროს კრიზისის ეკონომიკური და სოციალური შედეგები და დასახოს შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა შორისაც ამ ქვეყნებისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებელი ნესებიც იქნება“, - აღნიშნულია სხდომის დასკვნაში. აღსანიშნავია, რომ ეს სხდომა ევროკავშირის თავმჯდომარე ჩხეტომა მოიწვია.

ჯი-ვი-ენი

პოლონეთში გერმანელების საერთო საფლავი გათხარეს

პოლონეთის ჩრდლოეთ ნაწილში მშენებლებმა ერთ-ერთ ობიექტზე მასობრივი სამარხი აღმოაჩინეს. წინასწარი ინფორმაციით, პოლონელებმა მეორე მსოფლიო ომის დროს მოკლული, დაახლოებით, 1800 გერმანელი მამაკაცის, ქალისა და ბავშვის საფლავი იპოვეს. ოფიციალური განცხადებით თანახმად, სამარხი ქალაქ მალბორკეში ახალი სასტუმროს მშენებლობისას აღმოაჩინეს. აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქი გერმანიის შემადგენლობაში იყო და მარიენბურგი ერქვა.

მოკლული გერმანელების ცხედრები ბომბის აფეთქების დროს წარმოქმნილ კრატერში იყო დამალული. ეს სამარხი ადგილობრივი ღირშესანიშნაობის, XIII საუკუნეში აშენებული ციხე-სიმაგრის სიახლოვეს მდებარეობს. გავრცელებული ინფორმაციით, მშენებლებმა რამდენიმე ცხედარი შარშან აღმოაჩინეს, რის შემდეგ ყველა სამუშაო შეაჩერეს. სამუშაოების განახლების შემდეგ პოლონელებმა საერთო საფლავს მიაგნეს.

პოლონელი და გერმანელი ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ საფლავში მარიენბურგის მკვიდრი გერმანელების ცხედრებია. ეს ადამიანები 1945 წელს ბერლინში საბჭოთა ჯარების შესვლის დროს უცნაურად გაუჩინარდნენ. კვლევის შემდეგ სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დახვლები 100 დაღუპული დახვრიტეს. დანარჩენები კი, სავარაუდოდ, ცოცხლად დამარხეს.

ჯი-ვი-ენი

დაზადან დაიწყეს დიდი თამაში

ჭიმი დაზარადავილი
პრეზიდენტი ჩხეიძის რეპრეზენტაცია
ქართული სათვისტომო
"სამხალისი" თავმჯდომარე

ისრაელის მიერ ლაზას სექტორში "ჰამასის" წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო ოპერაცია ევროპის ჟურნალ-გაზეთების წამყვან თემად გადაიქცა. ამ სტატიებში კი მოგაწოდებთ ზოგიერთ მოსაზრებას და ფაქტებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთიდან და საერთოდ არაბულ ქვეყნებიდან მოდის.

ლაზა სიდიდით 360 კვადრატული კილომეტრია (თითქმის თბილისის ზომის), ცხოვრობს 1,44 მილიონი ადამიანი. ლაზას სექტორის ბედი ყოველთვის დიდად იყო დამოკიდებული ეგვიპტეზე - როგორც ეკონომიკურად, ასევე ინტელექტუალურად. "ჰამასის" პარტია წარმოიქმნა ძლიერი "მუსლიმანური საქმოს" ნიაღში, რომელიც ეგვიპტეში იყო დაფუძნებული და ისლამისტური ეგვიპტის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად, სამოქალაქო ომის ფასადაც კი. ეს სამო სწორედ ლაზაში იყო ყველაზე აქტიური, როდესაც ეგვიპტე ამ რეგიონს აკონტროლებდა (1948-67 წლებში). ისლამიზაციის პროცესი არც მას შემდეგ შეჩერებულა, რაც ეს ტერიტორია ისრაელმა დაიკავა.

"ჰამასის" მოგვიანებით, 1987 წელს ჩაეყარა საფუძვლები. მაშინ, როცა ეგვიპტეში თავად ეს სამომოქმედების მშვიდობიანი მეთოდებზე გადავიდა, "ჰამასი" პირიქით, თავის რადიკალურობით ახალგაზრდა მეომარ მუსლიმანთა ლაშქარი გახდა, 1994 წლიდან კი მის ძირითად იარაღად იქცა. იმავდროულად ეწეოდა ჰუმანიტარული პროგრამების რეალიზაციას. აშენდა საავადმყოფოები, სკოლები, ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, რამაც ამ ორგანიზაციას უზრალო პალესტინელების თვალში ასოლუტურად სხვა სახე მისცა.

ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან პალესტინელთა მეორე მხარე - ისაირ არაფატის კორუმპირებული მთავრობა და პარტია "ფათაჰი" უუნარო აღმოჩნდა ასეთივე ღონისძიებების გასატარებლად. მილიონობით წამოწყებული თანხა მხოლოდ "ფათაჰის" მცირე ჯგუფში იყოფოდა.

"ჰამასის" პოპულარობა იმდენად დიდია, რომ მის მიმართ ლაზას მოსახლეობის პოზიციას ისრაელის შეჭრაც არ შეცვლის. 2006 წელს, როგორც მოსალოდნელი იყო, "ჰამასმა" დიდი უპირატესობით გაიმარჯვა "ფათაჰზე". ამ ორ პარტიას შორის ურთიერთობა უკვე 2007 წელს გაუარესდა, იმდენად, რომ ლაზას სექტორიდან "ფათაჰის" წევრები იარაღის მუქარითაც კი გაყარეს. საყურადღებოა, რომ "ფათაჰისგან" განსხვავებით, "ჰამასი" არ არის "პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის" წევრი და არც თხუთმეტი წლის წინ ოსლოში ხელმოწერილი დოკუმენტის მონაწილე. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ისრაელის, როგორც სახელმწიფოს აღიარებას. "ჰამასის" ეს პოზიცია კი უფრო გამოკვეთილ ძალად მოეგვინა ბევრ პალესტინელს, ვიდრე მერყევი და არაფრისმთქმელი "ფათაჰის" გაუთავებელი მოლაპარაკებები ისრაელთან თუ სხვა ქვეყნებთან. "ჰამასს" დეკლარირებული აქვს: "დავიბრუნოთ მთელი პალესტინა". რომ არა "ჰამასის" მკაფიო, უცვლელი პოზიცია, მაშინ, შეიძლება, ეს ომი არც დაწყებულიყო. ასე თუ ისე, "წმინდა იდეებმა" ბინძურ კომპრომისებს აჯობეს.



"ჰამასის" პოპულარობა იმდენად დიდია, რომ მის მიმართ ლაზას მოსახლეობის პოზიციას ისრაელის შეჭრაც არ შეცვლის.

"მგელს ნუ მოქარავ კუდზე, თუ მისი მოკვლა არ შეგიძლია" - არაბული ანდაზა.

როდესაც "ჰამასმა" ლაზაში 2006 წლის არჩევნები მოიგო, თვითონ პარტიის წევრები დიდი დეზატები გაიშარათ. ნევრთა ერთი ნაწილი ემხრობოდა აზრს, რომ ლაზას სექტორი ყველა პალესტინელისთვის სამაგალითო რეგიონი გამხდარიყო და მაგალითი მიეცათ "ფათაჰის" ხელისუფლების ქვეშ მყოფი არაბულ მოსახლეობისთვის. თუმცა "ჰამასის" უმბლესი მთავარსარდალი" ხალიდ მაშალი, რომელიც სირიის დედაქალაქ დამასკოში ზის, ისრაელთან კონფრონტაციას მიემხრო. შედეგად მთელს ლაზას სექტორში ძალიან ძლიერი სამხედრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება დაიწყო. ათეულობით გვირაბებით ლაზაში უამრავი იარაღი შევიდა და სამხედრო ექსპერტები ჩავიდნენ (ძირითადად ლიბანური "ჰისბალასგან"). "ჰამასის" წარმომადგენელმა აბუ მარჰუემ შესაბამისად განაცხადა, რომ "რაც დასავლეთი სანაპიროზე მაჰმუდ აბასის "ფათაჰი" მოლაპარაკებებით ვერაფერს გახდა, ჩვენი ძალებით შევძელით ებრაელთა დასახლებების" შეჩერება.

მისი სიტყვების გაგრძელება გახდა ამჟამინდელი ომის დაწყების მიზეზიც. არსებობს სამი მიზეზი, თუ რატომ გადაწყვიტა "ჰამასმა" ისრაელის გამოწვევა:

პირველი - ეგვიპტის ძალისხმევით მოხერხდა ისრაელსა და "ჰამასს" შორის ნახევარწლიანი ცეცხლის შეწყვეტა, რაც "ჰამასს", როგორც ანგარიშგასანევე სერიოზულ პოლიტიკურ ძალას, უდავოდ წარმატებად ჩაეთვალი.

მეორე - 19 დეკემბერს ამოიწურა ნახევარწლიანი ხელშეკრულება. "ჰამასმა" ხელშეკრულება არ გააგრძელა, რადგან ეგვიპტის და ისრაელის მხრიდან ნახევარ წელზე მეტხანინა ეკონომიკურმა ბლოკადამ ძალიან გაართულა სოციალური მდგომარეობა ლაზას სექტორში. ეს კი "ჰამასს" ხელს არ აძლევდა. ამიტომ "კედლის" გარღვევა ომით გადაწყვიტა. ამით აიძულებდა ისრაელს, ომი დაეწყო, რასაც, ბუნებრივია, სამოქალაქო მსხვერპლი და

მსოფლიოს თვალში ებრაული სახელმწიფოს დისკრედიტაცია მოჰყვებოდა, ისევე როგორც ეს 2006 წელს ლიბანში ომის დროს მოხდა. მაშინ ისრაელი იძულებული გახდა, ნამგებიანი პოზიცია დაეკავებინა და ომი შეენწყვიტა. ეს კი შიიტურ "ჰისბალას" გამარჯვებაში ჩაეთვალი.

მესამე - "ჰამასის" ლიდერებმა ივარაუდეს, რომ ისრაელის ქალაქებზე ნასროლი ასობით რაკეტის მიუხედავად, მაინც შეუძლებელი იქნებოდა ფართო მასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია. "ჰამასი" იმედოვნებდა, რომ გატაცებული ებრაელი ჯარისკაცის გილად შალიტის სიცოცხლის გადასარჩენად ისრაელის მთავრობა არ გარისკავდა.

ჰოდა, როგორც ერთი ეგვიპტური გაზეთი აღნიშნავს - რატომ ქაჩავს "ჰამასი" მგელს კუდს, როცა იცის, რომ მასთან ვერაფერს გახდება. ომი დაიწყო.

ძმათა დემილი

ამ ძალზედ მძიმე მდგომარეობაში ალბათ ყველაზე საინტერესოა მუსლიმანური სუნიტური ქვეყნების პოზიცია. ტელევიზიასა და გაზეთებში მრავლადაა ანტიამერიკული და ანტიებრაული დემონსტრაციების სურათები, მაგრამ მდგომარეობა რეალურად სხვანაირია. მარტოვად რომ ვთქვათ, არაბული ქვეყნები ამ კონფლიქტს სათანადო ყურადღებას არ უთმობენ.

პირიქით, ზოგიერთი არაბული გაზეთი "ჰამასის" კრიტიკითაც გამოვიდა. მაგალითად გაზეთებმა "ალ-მარკა" და "ალ-ავსატმა" მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლზე პასუხისმგებლობა "ჰამასს" დააკისრეს. ომის დაწყებისთანავე ეგვიპტემ, რომლის კორუმპირებულ მთავრობას შიშის ზარს სცემს ნებისმიერი ისლამისტური "მოძრაობა", პასუხისმგებლობა მაშინვე "ჰამასს" დააკისრა.

როგორც უკვე ვახსენე, "ჰამასი" წარმოიქმნა ეგვიპტეში არსებული "მუსლიმანური საქმოს" ნიაღიდან. ეს ორგანიზაცია დღესაც არსებობს და ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალა გახლავთ. ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლა მხოლოდ მშვიდობიანი გზით სურთ. ამ დროს ეგვიპტეს "სხეულზე მიენება" ამ მოძრაობის ძალზედ რადიკალური ფრთა. ეგვიპტეს, ისევე როგორც ისრაელს, ლაზას სექტორში "ჰამასის" ლიკვიდაცია ხელს აძლევს და ბლოკადასაც იგივე ენთუზიზმით განაგრძობს.

ხალხის ქუჩაში გამოსვლა დიდ საფრთხეს უქმნის ეგვიპტეს და სხვა ქვეყნებსაც. 2006 წლის ლიბანის ომში "გამარჯვებული" "ჰისბალას" (რაც ალაჰის პარტიას ნიშნავს) წინამძღოლმა ჰასან ნასარალმა ტელევიზია "ალ ჯაზირას" საშუალებით ეგვიპტელ ხალხს დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდა და ეგვიპტის მთავრობა ისრაელთანაა მშრომლობაში დაადანაშაულა, რასაც ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა "ომის გამოცხადება" უწოდა.

კიდევ უფრო შორს წავიდა "ჰამასის" მონინააღმდეგე პარტია "ფათაჰის" კრიტიკა. დასავლეთ ნაპირზე, რამაში მყოფმა პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა ყველანაირი პასუხისმგებლობა "ჰამასს" დააკისრა. აბასის პოზიცია გასაგებია. როცა ერთი წლის წინათ "ჰამასსა" და "ფათაჰს" შორის დაპირისპირება დაიწყო, მაშინ ლაზას სექტორში "ჰამასი" დაუნდობლად გაუსწორდა მაჰმუდ აბასის მომხრეებს. მათ მალასართულიანი შენობების სახურავებიდანაც კი ყრიდნენ.

იგივე განმეორდა 28-დან 31 დეკემბრამდე, როცა "ჰამასის" წევრებმა ან დახვრიტეს "ფათაჰის" მომხრეები, ან კიდევ ფეხები დაუსახიჩრეს, რომ ებრაელების მხარეს არ ეომათ. ამიტომ, გასაგებია, რა სიხარულით შეხვდნენ "ფათაჰის" მომხრეები "ჰამასის" ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ლიდერის ნიზარ რიანის განადგურებას. მის სახლს, სადაც ასევე იმყოფებოდნენ მისი ოთხი მეუღლე და ათი ბავშვი, საავიაციო ბომბი დაეცა. ყველანი დაიღუპნენ. რიანს აფრთხილებდნენ, რომ საფრთხე ელოდა, მაგრამ ოჯახის ევაკუაციაზე უარი თქვა.

მაშ ასე, "ჰამასის" დამარცხებას და ფაქტო მხარს უჭერს ეგვიპტე და სხვა არაბული სუნიტური ქვეყნებიც. ამის მიზეზს კი ირანის დედაქალაქში მიყვავართ. ირანის დაფინანსების წყალობით დღეს რეალურ ძალად გარდაიქმნა სირიასა და ლიბანში "ჰისბალა" და ბოლოს "ჰამასი" - სუნიტური "ჰამასი", რო-

მელიც ასევე ასი პროცენტით ყვრდნობა შიიტურ ირანს.

საინტერესო შემობრუნებაა, ირანს ეს სულაც არ აელევეს და ამ რეგიონში მისთვის თეოლოგიური საკითხებიც მეორე ხარისხოვანია. მას შორს მიმავალი გეგმის მიხედვით რეგიონის ლიდერის პოზიცია სჭირდება. გამოდის, რომ ეგვიპტე, საუდის არაბეთი, იორდანია, თურქეთი ისრაელის ოპერაციას მდუმარედ უჭერენ მხარს. მათ გულის სიღრმეში არ უნდათ ისრაელის არსებობა, მაგრამ ირანის ზეგავლენის გაზრდა უფრო საშიშია, ვიდრე ისრაელი, რომელიც მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ თავის საზღვრებს იცავს. "ჰამასი" ასევე დიდ კითხვას ბადებს - რამდენად რადიკალური შეიძლება გახდეს ეს ორგანიზაცია. უკვე ერთი წელია, რაც ლაზას სექტორში ქალები ჩადრის გარეშე ქუჩაში ვეღარ გამოდიან. ბევრს მიაჩნია, რომ ეს ორგანიზაცია "ალ ქაიდას" გზაზეა დამდგარი.

ზრძოლების დაუყოვნებლივ შეწყვეტის რისკი

თუ ისრაელი დაუყოვნებლივ შეწყვეტს საომარ მოქმედებას, მაშინ "ჰამასს" შეუძლია, სამუდამოდ გაინაღდოს რადიკალური პოზიცია და არა მარტო ლაზაში, არამედ დასავლეთ სანაპიროზეც. ახლა ისრაელის უკან დახვევა მისი სამხედრო მანქანის სისუფტის გამოვლინებას, პოლიტიკურ კომპრომისს ნიშნავს, რაც 2006 წლის ლიბანის ომის შემდეგ დაუშვებელია.

გარდა ამისა, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს არაბულ ქვეყნებში ძლიერი ანტიისემიტური მოძრაობების გაძლიერებას და ბევრ შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობების დამხობას. ვერც ირანს დაუდგება წინ ვერაფერი. ბევრი ექსპერტის აზრით, აშშ-ს დაგვიანებული რეაქცია და ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას დემილი (თუმცა, როგორც ობამა ამბობს, პრეზიდენტი ჯერ კიდევ ბუშიაო) ნიშნავს, რომ აშშ ამ რეგიონში ისრაელის ინტერესებს ხელს ვეღარ შეუწყობს.

ბარაკ ობამა არ გამოირჩევა ისრაელთან დიალოგს, რაც ისრაელის შემოუთებას იწვევს. თუ ეს დიალოგი გაიმართა და ირანი აშშ-ს პარტნიორი აღმოჩნდა (1992 წელს ერაყის წინააღმდეგ ომში ირანი მეტად დაეხმარა აშშ-ს და მის მოკავშირეებს. ასევე ავიღოთ ლიბიის მაგალითი, რომელიც მტრული სახელმწიფოდან აშშ-ს პარტნიორად იქცა), მაშინ შესაძლებელია, ირანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს როგორც ერაყის სტაბილურობაში, ასევე პაკისტანის კარზე მომდგარი სამოქალაქო ომის მოსაგვარებლად და ავღანეთში ნატოს კოალიციური ჯარების მომარაგებისთვის დერეფნის გასახსნელად (რაც ამჟამად რუსეთზე გადის). ეს კი გამოიწვევს ძალაუფლების გადანაწილებას რუსეთისთვის წამგებიანად. თავის მხრივ, ირანი უნდა წავიდეს დათმობაზე და უარი თქვას ატომური იარაღის შექმნაზე და ა.შ.

შესაძლოა, ამიტომაც ჩქარობს ისრაელი, რომ მომავალში "პრობლემების" გარეშე ელაპარაკოს ირანს. თუმცა, ეს უკვე ცალკე განხილვის თემაა. ყოველ შემთხვევაში, ევროკავშირის და არაბული ქვეყნების გარეშე მდგომარეობიდან გამოსვლა ძნელი იქნება. ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ დაწყებული კონფლიქტის ხმები ჯერ კიდევ კარგად არ ისმის. ამას და ბევრ სხვა საკითხს, ალბათ, კიდევ უფრო ნათელს მოჰყვება აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

HP გირჩევთ Windows Vista® Business-ს.



ჩვენ არ ვსვლით
თქვენს მოთმინებას.
ჩვენ საკუთარ თავს ვსვლით,



95000 საათის
განმავლობაში.

HP Compaq 6735b, HP DuraFinish და HP 3D DriveGuard-სთან ერთად.

მან 95000 საათიანი მკაცრი შემოწმება გაიარა, შექმნილია იმისთვის რომ გაძლოს, მაგრამ ეს ყველაფერი როდია HP 3D DriveGuard აღიქვამს ნებისმიერ უეცარ მოქმედებას და ინახავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომ არაფერი დაზიანდეს. მაგნიუმის შენადნობის შემცველი სტრუქტურა უზრუნველყოფს დიდ სიმტკიცესა და სტაბილურობას. HP DuraFinish გარედან დაფარულია გარსით, რომელიც არ იკაწრება. ყოველივე ეს სრულად უზრუნველყოფს თქვენი ბიზნესის დაცვას საუკეთესო მობილურობისთვის. HP Compaq 6735b აღჭურვილია AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor ორმაგბირთვიანი პროცესორით.

- AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor
- Genuine Windows Vista® business
- ნაწილების გამძლეობისა და მუშაობის 1-წლიანი გარანტია



დაიცავით თქვენი ბიზნესი გაზარდეთ გარანტია კიდევ 3 წლით.
HP Care Pack მომსახურების პაკეტის გამოყენებით

კომპიუტერი
კვლავ
პერსონალური



სერთიფიცირებულია

hp.com/ge



აფიშა

14 იანვარი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
"მოხუცი ჯამბაზები"
რეჟისორი გოჩა კაპანაძე
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
"პიგმალიონი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში
"სასიყვარულო ბარათები"
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 20.00

კინო

"ამირანი"
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15
"დღეს, როცა დედამინა გაჩერდა"
დასაწყისი: 19.45; 22.0
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00;

"რუსთაველი"
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00
"დღეს, როცა დედამინა გაჩერდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30
"ტრანსპორტი III"
დასაწყისი: 16.30; 20.15; 22.15

გალერეა

"ქარვასლა"
ჰორსტ იანსენის გრაფიკურები

"ორნამენტი"
ტიხონოვი მიხაილის მუდმივი გამოფენა

"შარდენი"
ლევან მარგანიის ნამუშევრების გამოფენა

"ვერნისაჟი"
ფელქს ვარლამიშვილის (1903-1986) გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა კერძო კოლექციებიდან

ფიროსმანის ტილოები ვილნიუსში გამოიფინა

თამარ ჯიქნაველიძე

ნიკო ფიროსმანაშვილის (1862-1918) ნამუშევრები ვილნიუსის სურათების გალერეაშია გამოფენილი. ექსპოზიცია, რომელიც 2008 წლის 31 დეკემბერს გაიხსნა, 2009 წლის 31 მაისამდე გაგრძელდება.

ქართველი მხატვრის ტილოების ექსპონირებით, ლიტველებმა, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხნის ოცნება აისრულეს. სწორედ ფიროსმანის გამოფენით გაიხსნა პროექტი, სახელწოდებით "ვილნიუსი ევროპის კულტურული დედაქალაქი - 2009".

ექსპოზიციის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ: ორივე ქვეყნის კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, ასევე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ვილნიუსის ეროვნული სამხატვრო გალერეა, რომელიც XVII საუკუნეში აგებული და რეკონსტრუქციის შედეგად, XIX საუკუნეში, კლასიციზმის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი სახე შეიძინა.

ვილნიუსში ფიროსმანის გამოფენას დიდი რეზონანსი მოჰყვა. ამას ბექტდური მედიის საშუალებებით გაგრძელებული ინფორმაცია მოწმობს. ექსპოზიცია დაათვალიერა ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსმა, რომელმაც ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: "ლეგენდარული ქართველი მხატვრის ნამუშევრების დათვალიერებისას, შეუძლებელია არ აღფრთოვანდე ავტორის ნიჭიერებით... საყურადღებოა, რომ საქართველო თავისი მდიდარი კულტურითა და ტრადიციებით თავიდან იკვლევს ზღას ადამიანთა გულებისაკენ... თავისუფლებისაკენ სწრაფვა კი, იყო, არის და იქნება ლიტვასა და საქართველოს შორის მეგობრობისა და გამორჩეული ურთიერთობების საფუძველი".

ექსპოზიციაზე, რომელიც სამ, ერთმანეთში გამავალ დარ-



ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი გამოფენის გახსნაზე.

ბაზშია მოწყობილი, ფიროსმანის 38 ნამუშევარი გამოიფინა. ამ გამოფენის კურატორია ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მიმართულების მთავარი კონსერვატორი - ირინა არსენიშვილი, რომელმაც ჩვენთან საუბრისას განაცხადა: - "ნამუშევრების შერჩევაში მონაწილეობდა ლიტველი კურატორი, რომელსაც ძალიან დიდი ხანია სურდა, რომ ფიროსმანის ტილოები სამშობლოში გამოეფინა. ქართველებისთვის, ვფიქრობ, განსაკუთრებული მოვლენაა ის, რომ ამ გამოფენით გაიხსნა, მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი - "ვილნიუსი ევროპის კულტურული დედაქალაქი - 2009". მართალია, ექსპოზიციის გახსნას ვერ დავესწარი, მაგრამ საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მივიღეთ პრესკონფერენციაში, რომელიც იქ საგანგებოდ ამ გამოფენასთან დაკავშირებით მოეწყო. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ჟურნალისტები ადგილობრივი ტელევიზიებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან. მათ დავისვეს კითხვები, რომლებიც, ძირითადად, ნიკო ფიროსმანის პიროვნებასა და შემოქმედებას შეეხებოდა. ასევე, ვკითხეს, თუ რატომ არ გა-

მოფენით ამ მხატვრის, როგორც ჩანს, მათთვის ერთ-ერთი საყვარელი ნამუშევარი - "ჭირაფი", რაზეც ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ეს ტილო საქართველოში საფრანგეთიდან ახლახანს დაბრუნდა და ისვენებს-თქო... ექსპოზიციას, როგორც შევტიყვევთ, დამთვალიერებელი არ აკლია. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღო ვილნიუსის სამხედრო უწყებამ, რომელიც ნამუშევრების დაცვის საკითხს უზრუნველყოფს".

ფიროსმანის ნამუშევრების ვილნიუსში გამოფენამდე, მხატვრის ტილოები არაერთ ქვეყანაში იყო ექსპონირებული. საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ 2005 წლიდან, მას შემდეგ რაც ეროვნული მუზეუმი ჩამოყალიბდა, ფიროსმანის სახელისა და მისი ნამუშევრების პოპულარიზაცია ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა.

საქართველოს მუზეუმების ამ გაერთიანების ეგიდით, პირველი საერთაშორისო გამოფენა 2006 წელს უკრაინის ეროვნულ მუზეუმში მოეწყო. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო მალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული 35

ტილო. უკრაინაში სწორედ ამ გამოფენით დასრულდა "საქართველოს კულტურის დღეები". ექსპოზიცია, დაახლოებით, 60.000-მდე ადამიანმა დაათვალიერა.

მოგვიანებით, კერძოდ კი, 2007 წლის 1 აგვისტოდან 7 ოქტომბრამდე, პროექტ "ქართული სეზონის" ფარგლებში, ნიკო ფიროსმანის ტილოები თურქეთის ქალაქ სტამბულში, "პერა მუზეუმში" გამოიფინა. 2008 წელს კი, ამ მხატვარს ბელორუსის რესპუბლიკის ეროვნულმა სამხატვრო მუზეუმმაც უმასპინძლა. გასული წლის 22 სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით, ფიროსმანის ნამუშევრების ექსპოზიცია საფრანგეთის ქალაქ ვეზლეს "ზერვოსის მუზეუმში" მოეწყო. აღსანიშნავია, რომ ეს გამოფენა იმ ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა, რომელიც 2008 წელს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და საფრანგეთის იონის გენერალურ საბჭოს შორის გაფორმდა. აღნიშნული ხელშეკრულება კი, გაცვლითი გამოფენების მოწყობას ითვალისწინებს და ამ თვალსაზრისით, 2009 წელს, სილნალის მუზეუმში, პაბლო პიკასოს ნამუშევრების ჩამოტანა იგეგმება.

დაახლოებით, ორ კვირაში კი, ამ მხატვრის ერთ-ერთი ტილო ჰოლანდიის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, სახელწოდებით - "კობრა", გამოიფინება. ამ მუზეუმის წარმომადგენლებს სურდათ, რომ იქ ფიროსმანის "დათვი მთვარიან ღამეში" წარმოედგინათ, მაგრამ, იმის გამო, რომ ეს ნამუშევარი ახლა ვილნიუსშია, ქართველებმა ჰოლანდიელებს ამოსარჩევად ფიროსმანის სხვა ორი ნამუშევარი შესთავაზეს, ესენია: "დედა დათვი ბელეთან" და "ლორი თავის გოჭებთან"... რომელი გამოიფინება ჰოლანდიაში, ჯერ უცნობია.

ასე რომ, ნიკო ფიროსმანის მხატვრობა, როგორც ქართული კულტურის სავიზიტო ბარათი, ამ წელსაც აქტიულოვდება.

ნიკოლა სარკოზის შემოქმედებითი ინიციატივები

კიდევ 100 მილიონი ახალგაზრდებისა და მუზეუმებისთვის

სოფო კილასონია

საფრანგეთის პრეზიდენტმა, ნიკოლა სარკოზიმ გუშინ ფრანგებისა და ტურისტებისთვის ერთობ სასიამოვნო განცხადება გააკეთა. საფრანგეთის 50 მთავარ მუზეუმში ახალგაზრდებისთვის შესვლა სრულიად უფასო გახდა. Le Monde აზუსტებს, რომ 18-დან 25 წლამდე ნებისმიერი მსურველი მუზეუმებს ბილეთის აღების გარეშე დაათვალიერებს. ეს ახალი წესი 2009 წლის 4 აპრილიდან ამოქმედდება. მუზეუმების გარდა, ახალგაზრდები არაფერს გადაიხდიან კულტურის ძეგლებს და თვალთვალის მსგავსი პროექტის დათვალიერებისთვისაც, მაგალითად დაეზოგებათ 9 ევრო თუ ტრიუმფალური თაღის შიდა სივრცეებისა და მისი სიმალიდან პარიზული ხედების დანახვის სურვილი გააუჩნდებათ, ასევე უფასოდ მოინახულებენ ვერსალს, ფონტენელოს და ა.შ.

სარკოზი თვლის, რომ აღნიშნული პროგრამა ახალგაზრდების ხელოვნებით მეტად დაინტერესებას გამოიწვევს. საფრანგეთის პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს,

რომ ეს ინიციატივა განსაკუთრებით დაეხმარება საშუალო და ღარიბ ფენებს, რათა ხელმოკლე ახალგაზრდებმა თავი დააღწიონ ცხოვრების არაჯანსაღ წესსა და სხვადასხვა ცდუნებებს. მათთვის ხშირი და შეუზღუდავი კონტაქტი კულტურულ მემკვიდრეობასთან, მათ ცხოვრებაში ახალი შრეებისა და სილამაზის აღმოჩენის საშუალებას მისცემს.

საფრანგეთის კულტურის სამინისტროში მსგავსი პროექტის საპილოტო ვერსია რამდენიმე ეროვნულ მუზეუმში უკვე 2008 წელს ხორციელდებოდა. შედეგები არც თუ სახარბიელო გახლდათ ეკონომიკური თვალსაზრისით. საფრანგეთის კულტურის სამინისტრო სწორედ ამ გამოცდილების საფუძველზე არწმუნებდა როგორც პრეზიდენტი სარკოზის, ისე მთავრობას, რომ ახალგაზრდებისთვის უფასო მოძრაობა ქვეყნის მთავარ მუზეუმებში ფინანსურ ზარალს მიაყენებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ბიუჯეტს. მიუხედავად ამისა, სარკოზი სარკოზი არ იქნებოდა, რომ შარლ დე გოლის სახელობის მუზეუმში ეს ერთობ სოციალურ-

კულტურული ნიშნით ეფექტური ნინადადება არ ეთქვა, თანაც ხმაძალა. აქვე გავხედავ და დავუმბახბებ, რომ სიტყვა ეფექტური ტყუილად არ მომიტანია. უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურად 25 წლამდე დამთვალიერებელი მუზეუმების დამთვალიერებელთა საერთო რაოდენობის ყველაზე მცირე ნაწილია. ასევე მცირე ნაწილია ტურისტებისა. ყველას შეგვიძინებია დაახლოებით რა ასაკის ადამიანები სტუმრობენ ლუვრსა და პომპიდუს. რამდენად შედეგადანი იქნება სარკოზის ინიციატივა და ხომ არ აჯობებდა სხვა სავანმანათლებლო პროექტებში ჩადებით თანხები, პროექტებში, რომელიც რეალურად გამოიცვება ხელოვნებისა და ზოგადად კულტურისადმი დიდ ინტერესს? ამ კითხვებზე რა თქმა უნდა საფრანგეთში მსჯელობით, თუმცა სარკოზის გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს და ეს გადაწყვეტილება უკვე "გატელევიზორებულია".

პრეზიდენტი სარკოზი კულტურის სამინისტროს 100 მილიონი ევროთი უზრდის ბიუჯეტს. რითიც მისი აზრით, აღმოიფხვ-

რება ყველა პრობლემა და ყველა კმაყოფილი დარჩება. ამ ეტაპისთვის საფრანგეთის კულტურის სამინისტრო 400 მილიონი ევროთი მუშაობდა. ამ გადანყვებით პრობლემის მოგვარებას ცდილობს, პარიზში ხომ ყოველი მეორე ამბობს, რომ საინსტიტუციონალური პრეზიდენტია და სოციალური პროექტები მისი ინტერესების სფეროს არ წარმოადგენს.

სარკოზის სამუზეუმო საქმეში კიდევ აქვს გარკვეული გეგმები. მისივე განცხადებით, უახლოეს ხანებში ის გეგმავს ქვეყანაში შექმნას საფრანგეთის ისტორიის მუზეუმი, რათა ამით "ეროვნული იდენტურობა გაამყაროს". მისივე თქმით, მუზეუმი აიგება "სიმბოლურ ადგილზე", თუმცა კონკრეტულად სად, ჯერ უცნობია.

დაბოლოს, ნიკოლა სარკოზი აცხადებს, რომ სულ მალე ფუნქციონირებას დაიწყებს პრეზიდენტთან არსებული მხატვრული ხელოვნების კომისია. როგორც იქნება ადამიანის მიზნები და მუშაობის მეთოდი, ასევე უცნობია.

კულტურათა დიალოგი სტრასბურგში

15 იანვარს 11.00 საათზე, სტრასბურგში "კულტურათაშორისი დიალოგის შესახებ ოფიციალური დოკუმენტის" იტალიური პუბლიკაციის აღსანიშნავად, საგანგებო პრეს-კონფერენცია გაიმართება.

პრესკონფერენციას დაესწრებიან ლუიჯი ვიტალი, იტალიელი პარლამენტარი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, სანდრო ბონდი, კულტურის მინისტრი; ჯანი ალემანო, რომის მერი, ჯერარდო ლა ფრანჩესკა, საგარეო საქმეთა სამინისტროში გენერალური დირექტორი, გაბრიელა ბატიანი დრაგონი, კულტურათაშორისი დიალოგის კოორდინატორი. ევროპის საბჭოს განათლების, კულტურის და მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის და სპორტის გენერალური დირექტორი.

კულტურათაშორისი დიალოგის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი, სახელწოდებით "ერთად ცხოვრება თანასწორად და ღირსეულად", ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა 2008 წლის 7 მაისს, ორგანიზაციის 47 წევრი ქვეყნის მთავრობებთან წარმართული ვრცელი საკონსულტაციო პროცესის შემდეგ. **ჯი-იჩი-ენი**

გარდაიცვალა პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჭანო ჭანელიძე

გულის სტენოკარდიული შეტევით გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი განათლების მინისტრი, პოეტი - აკადემიკოსი ჯანო ჭანელიძე.

მას რამდენიმე დღის წინ 75 წელი შეუსრულდა. პოეტი-აკადემიკოსი ჯანო ჭანელიძე არის იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლისა და გიორგი შერვაშიძის სახელმწიფო პრემიების ლაურიატი, აფხაზეთის აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. მან თავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საპატრიარქოს სულიერებისა და კულტურის ცენტრში გამართა წიგნის "როცა ცრემლები მღერაინ" პრეზენტაცია და 2008 წლის 29 დეკემბერს პოეტს შემოქმედებითი საღამო სოხუმის უნივერსიტეტში მოუწვევს. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით შეიქმნა ჯანო ჭანელიძის დამკრძალავი სახელმწიფო კომისია, რომელსაც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია უხელმძღვანელებს. **მედიანუსი**

პასტერნაკის ჭილდო

ნობელის პრემიის აკადემიამ 50 წლის წინანდელი ფაქტები გამოაქვეყნა

2009 წლის დადგომასთან ერთად მსოფლიოს ყველაზე ცნობილი და პრესტიჟული ნობელის პრემიის კომიტეტმა მეტად საინტერესო ფაქტები გამოაქვეყნა, რომელიც ბორის პასტერნაკის მიერ პრემიის მიღებას უკავშირდება. პრემიის წესდების თანახმად, მის მინიჭებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია 50 წლის განმავლობაში ინახება. 1958 წლიდან ანუ პასტერნაკის მიერ ნობელის მიღებიდან, სწორედ ამდენი ხანი გავიდა, შესაბამისად ბევრ რამეს ნათელი მოუფინა. მაგალითად გაირკვა, თუ ვინ იყო მის გარდა ნომინირებული.

ნობელის პრემიის ლაურეატის ვინაობას შეედეტის აკადემიის სპეციალური კომისია ადგენს, რომელიც წლის განმავლობაში ასობით კანდიდატურას განიხილავს. კანდიდატურებს კი აკადემიის წევრები, ლიტერატურის პროფესორები, მწერალთა ეროვნული კავშირები და წინა წლის გამარჯვებულები წარადგინებენ. ერთი კანდიდატურა შეიძლება რამდენჯერმე იყოს ნომინირებული. მაგალითად დანიელი მწერალი იოჰანეს იანსენი 18-ჯერ იყო პრემიაზე წარდგენილი, იტალიელი გრაცია დელედა პრიზს 12-ჯერ ელოდა, ხოლო ანატოლ ფრანსი 9-ჯერ. ბორის პასტერნაკი კი ნობელის პრემიაზე 1946 წელსაც იყო წარდგენილი. ეს ის პერიოდია, როდესაც "ექიმი ფივაგო" ჯერ არ იყო თარგმნილი ბევრ ევროპულ ენაზე და შესაბამისად მას ნაკლებად იცნობდნენ. აკადემიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ 1946 წლისთვის პასტერნაკის ლიტერატურა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ ფასეულობას. ამიტომ მას ვიღღო მხოლოდ 12 წლის შემდეგ გადასცეს. როგორც ნობელის პრემიის კომიტეტის წერილშია აღნიშნული, საბჭოთა პოეტმა ჯილდო "თანამედროვე ლირიულ პოეზიაში შეტანილი წვლილისა და რუსული ეპიკური რომანის ტრადი-



ციის გაგრძელებისთვის" მიიღო. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის "ექიმი ფივაგო" უკვე თარგმნილი იყო იტალიურად. სწორედ ეს თარგმანი წაიკითხა აკადემიის მუდმივმა მდივანმა ანდერშ ესტერლინგმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რომანი საუკუნის ნაწარმოებად შეიძლება ჩაეთვალოს.

პასტერნაკის გამარჯვებას საბჭოთა ხელისუფლება ძალიან უარყოფითად შეხვდა და მიიჩნიეს, რომ ნობელის პრემია მან ანსტისაბჭოთა ნაწარმოებების გამოქვეყნებისთვის მიანიჭეს. პრემიის მიმართ აგრესიას ისიც ამძაფრებდა, რომ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირმა პრემიაზე მიხილ შოლოხოვი წარადგი-

ნა, რომელსაც ხელისუფლებამ აქტიურად უჭერდნენ მხარს. ხოლო როდესაც ცნობილი გახდა, რომ პრემია პასტერნაკმა მიიღო, ეს ნობელის პრემიის გამონეგავად მიიღეს.

სწორედ ამ რეაქციის შემდეგ ბორის პასტერნაკი შეედეტის აკადემიის შემდეგი წინაარსის მოკლე წერილს უგზავნის: "მადლობელი, გახარებული, ამაყი და შეცბუნებული ვარ". რამდენიმე დღეში მთავრობის მოთხოვნით მეორე წერილსაც წერს: "იმის ფონზე, თუ რა მნიშვნელობა შეიძინა ჩემთვის პრემიის მონიჭებამ იმ საზოგადოებაში, რომელსაც მივეკუთვნები, იძულებული ვარ მასზე უარი განვაცხადო. ნუ მი-

ღებთ შეურაცხყოფად ჩემს უარს". ბორის პასტერნაკს პრემია სიცოცხლის ბოლომდე არ მიუღია, თუმცა 1989 წელს იგი მის შვილს მაინც გადასცეს. როგორც მისი ბიოგრაფები წერენ, ამ უარით პასტერნაკმა თავი გადაირჩინა, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე მაინც განიცდიდა დისკრედიტაციას, რამაც მისი ჯანმრთელობის გაუარესებაც გამოიწვია. იგი 1960 წელს გარდაიცვალა.

მის მიერ ნობელის პრემიაზე უარის თქმაზე დისკუსია კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. არსებობდა ვერსიაც, რომ შეედეტმა ამ გადაწყვეტილებით შეგნებულად სცადა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გათულება, მეორე ვერსიით კი აკადემია ნამდვილად არ ელოდა ასეთ რეაქციას. გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ერთ საინტერესო ვერსიაზეცაა საუბარი – თითქოს ბორის პასტერნაკის კანდიდატურას ამერიკის ცენტრალური დაზვერვის სამსახური ლობირებდა და შეედეტის აკადემიაზე ზეწოლასაც ახდენდა. ამავე ვერსიას იზიარებს ივანე ტოლსტოიც, ავტორი ნიგნისა "ბორის პასტერნაკი: ექიმი ფივაგო სუკისა და ამერიკის სპეცსამსახურებს შორის". მიუხედავად ამისა, შეედეტი აკადემიის დოკუმენტაცია ამ ვერსია უარყოფს.

გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ პასტერნაკის კონკურენტები იყვნენ დანიელი კარენ ბლიკსენი, ფრანგი სან-ჟონ პერი და იტალიელი სალვატორე კვაზიმოდო და ალბერტო მორავია. ბლიკსენმა და მორავიამ ეს ჯილდო ვერც მომდევნო წლებში მიიღეს, დანარჩენებს კი გაცილებით გაუმართლათ. ცნობილი გახდა ისიც, რომ პასტერნაკის კანდიდატურა შეედეტის აკადემიას წინა წლის გამარჯვებულმა ალბერტ კამიუმ შესთავაზა. რაც შეეხება მიხილ შოლოხოვს, 1965 წელს ნობელის პრემია "წყნარი დონისთვის" მიიღო.

შრეკი ბროდვის სცენაზე

ანიმაციური ბლოკბასტერის "შრეკის" მუსიკალურ ეკრანიზაციას ბროდვეიმ უმასპინძლა. მწვანე გოლიათის როლს პრემია "ტონის" ნომინანტი, მსახიობი ბრანდ დერსი ჯეიმსი ასრულებს, ხოლო პრინცესა ფიონას როლს "ტონის" მფლობელი სატონ ფოსტერი შეგახსენებთ, რომ ფილმში პრინცესას მსახიობი კამერონ დიასი ახმოვანებს. მან პრემიის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: "მსახიობები შესანიშნავად ასრულებენ როლებს, მაგრამ მე ალბათ ვერასდროს შევძლებდი ფიონას სცენაზე გაცოცხლებას. როდესაც ანიმაციურ ფილმს ვახმოვანებთ, მსახიობები ერთმანეთს ვერ ვხვდებით, რაც დინამიურობას და ცოცხალ ურთიერთობას გამოიწვავს. აქ კი ყველა პერსონაჟის შემსრულებელი ერთმანეთთან პირდაპირ კონტაქტში შედის. თუმცა საბოლოო ჯამში ფილმიც ძალიან სასაცილო გამოვიდა".

უილიამ სტივისის საბავშვო ნიგნის მიხედვით გადაღებული "შრეკის" სამივე ნაწილი აღიარებულია, როგორც ყველა დროის საუკეთესო ანიმაციური ფილმი. მისი მეოთხე ფილმი სავარაუდოდ 2010 წლისთვის გამოვა. კამერონ დიასი ფილმის მეოთხე ნაწილს მაიკ მირსთან და ედი მერფისთან ერთად გაახმოვანებს.

"ვარსკვლავური ომების" მოტივებზე შოუ მზადდება

ჯორჯ ლუკასის სტუდიამ -Lucasfilm და კომპოზიტორმა ჯონ უილიამსმა ორსაათიანი სცენური შოუ კოსმოსური საგის - "ვარსკვლავური ომების" მოტივებზე შექმნეს. სპექტაკლის - Star Wars: A Musical Journey ("ვარსკვლავური ომები: მუსიკალური მოგზაურობა") პრემიერა ლონდონის 02-ის სცენაზე 2009 წლის სექტემბერში შედგება. ბრიტანული ჩვენებების შემდეგ, ეს შოუ ევროპულ ტურნესაც მოივლის, გაამცნობს BBC News-ი.

ვარაუდობენ, რომ აღნიშნული შოუ არ იქნება მუსიკალური ჩვენებები გაგებით, მაგალითად: სცენაზე გამოვლენ მსახიობები და მთხრობელები, მოქმედებას კი მუსიკალურად "სამეფო ფილარმონიული ორკესტრის" (Royal Philharmonic Orchestra) 86 მუსიკოსი გააფორმებს. სცენის სიღრმეში დაამონტაჟებენ 27 მეტრიანი ეკრანს, რომელზეც "ვარსკვლავური ომების" ექვსივე ფილმიდან შერჩეულ საუკეთესო ფრაგმენტებს გაუშვებენ.

The Telegraph-ის ცნობით, შოუს ნახვა, ერთდროულად, 17 ათას ადამიანს შეეძლება. ლონდონურ სპექტაკლზე - Star Wars: A Musical Journey დასარები ბილეთის ღირებულება 30-დან ას ფუნტ სტერლინგამდე მერყეობს.

ამასთან, ნოემბრის დასაწყისში ბრიტანული პრესა იუწყებოდა, რომ 2009 წელს სცენაზე - 02 ცნობილი კინოფილმის, უილიამ უაილერის "ბენ ჰურის" მიხედვით კიდევ ერთ სპექტაკლს განახორციელებენ. 02 შოუზე მრავალი მონაწილისა და დიდი რაოდენობით რეკვიზიტის გამოყენების საშუალებას იძლევა. სპექტაკლში "ბენ ჰური" სცენაზე ეტლებით შეჯიბრაც კი იქნება წარმოდგენილი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა, მდებარე ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა, აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიის მწვანე ზოლის ექსპლოატაციის და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია რაიონის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავობათა მოვლა-პატრონობა.

შენიშვნა: შესყიდვის ობიექტის სრული აღწერილობა მოცემული იქნება გასანევი მომსახურების ჩამონათვალში და ტექნიკურ დავალებში (სატენდერო დოკუმენტაციაში)

2. მიწოდების საურველი ვადაა **ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2009 წლის ბოლომდე**.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სტენდერო წინადადებები ერთ დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 4 ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამონებული ქსეროასლი და სამი ქსეროასლი) **04.02.09 წ-დან 05.02.09 წლის 1500 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 **იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აგრეთვე, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

4.2. **ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

ბ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

გ) ინფორმაციას მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

დ) ინფორმაციას უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ

პერიოდში წარმოებული ანალოგიური სახის მომსახურების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების სუბკონტრაქტორებზეც (ასეთების არსებობის შემთხვევაში) სატენდერო წინადადებასთან ერთად ერთ დალუქულ კონვერტში წინამდებარე განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად.

6. თუ პრეტენდენტის და/ან სუბკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეეძლება სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ხოლო მისი გაცანა **200 (ორასი) ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლება 15.01.09 წლიდან 05.02.09 წლის 1100 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა, III სართული, გამგეობის საფინანსო ეკონომიკური განყოფილება. სატენდერო დოკუმენტაცია შედეგინილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის):

ა/ა N 200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი (ვაკე-საბურთალოს რაიონის) 300773174; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი, მოსაკრებლის დანიშნულების მითითებით.

8. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ასევე ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს ოდენობით.

9. საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ დაექვემდებარება სატენდერო წინადადებების ღირებულებითი პარამეტრები და საბანკო გარანტიის მონაცემები.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ლ. მეტრეველი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-46-04; გ. ყიფიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-59-92. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა.

სატენდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ერთმანაპიანი სამართავროსო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №83ა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო ტენდერს საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საჭიროებისათვის საავტომობილო საწვავის შესყიდვა;

ლოტი №	შესყიდვის ობიექტის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მიწოდების სახე	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6
1	ბენზინი „რეკონკორი“, ოქტანური რიცხვი არანაკლები 91	ლიტრი	435 000	ტაღლინი, ბარათი	მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან
2	ბენზინი „სუპერ“, ოქტანური რიცხვი 95 პლუსი	ლიტრი	80 000	ტაღლინი, ბარათი	მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან
3	დისკელი „ქეროდიზელი“	ლიტრი	500 000	ტაღლინი, ბარათი	მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან და ადგილზე მიტანილი

(ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენაზე გაცნობის სატენდერო დოკუმენტაციის შემსყიდველ ორგანიზაციაში).

3. საქონლის მიწოდების პირობები - საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს - 2009 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. მიწოდების ადგილი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №83ა.

5. სატენდერო პირობა: ტენდერში მონაწილეობის მსურველ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს გასამართი სადგურების ფართო ქსელი თბილისის და საქართველოს მასშტაბით;

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 3 თებერვლის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №83ა, მე-3 სართული, ოთახი №35. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 3 თებერვალს 14 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწონონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

7.1. იურიდიული პირისათვის:

- ა) ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

7.2. ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას ძალიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავლიანების არარსებობის შესახებ;
 - გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა საავტომობილო ასევე მონაწილე პირის სუბსტრუქტორებისათვის.

9. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით და ერთი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით).

11. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

12. ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 3 თებერვლის 12 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 302003174. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საავტომობილო საწვავის შესყიდვა. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №83ა, მე-3 სართული, ოთახი №35.

13. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების საერთო ფასის 1%-ის ოდენობით.

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

15. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში. მისამართზე: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №83ა, მე-3 სართული, ოთახი №35. ტელ: 75-23-83.

სატენდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა, მდებარე ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68ა, აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ზეხმელი და ავარიული ხეების გადაბეღვის, მოჭრის, დამუშავების და გატანის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: განსაზღვრულია სავარაუდოდ 430 ხის გადაბეღვა და 690 ხის მოჭრა, დამუშავება და გატანა

2. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 ბოლომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ერთ დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 4 ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი და სამი ქსეროასლი) 04.02.09 წლიდან 05.02.09 წლის 1400 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68ა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 4.1 იურიდიული პირისათვის:
 - ა) ცნობას სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აგრეთვე, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
 - ბ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას ძალიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
- ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) მონაწილის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;
- გ) ინფორმაციას მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

დ) ინფორმაციას უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში წარმოებული ანალოგიური სამსახურების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ხოლო მისი გატანა 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 15.01.09 წლიდან 05.02.09 წლის 1100 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68ა, III სართული, გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის):

ა/ა N 200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი (ვაკე-საბურთალოს რაიონის) 300773174; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი, მოსაკრებლის დანიშნულების მითითებით.

7. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ასევე ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს ოდენობით.

8. საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ დაექვემდებარება სატენდერო წინადადებების ღირებულებითი პარამეტრები და საბანკო გარანტიის მონაცემები.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ლ. მეტრეველი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-46-04; გ. ყიფიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-59-92. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68ა.

სატენდერო კომისია

სპორტი

ცვლილებების ბარეჟი

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ გამოქვეყნებულ 2009 წლის პირველ რეიტინგში არანაირი ცვლილება არ შესულა, ამდენად, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 69.43 ქულით მე-14 ადგილი შეინარჩუნა.

რეიტინგის პირველი სამეული სამხრეთ ნახევარსფეროს ძლევამოსილ ტრიოს (ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია) აქვს დასაკუთრებული, ძირითადად თასზე "ძორჯვალოსანთა" მეტოქეთაგან კი რუმინეთი მე-17 საფეხურზეა, რუსეთი მე-18-ზე, ესპანეთი 21-ეა, პორტუგალია – 23, ხოლო გერმანია – 26.

IRB-ს რეიტინგი 13 დეკემბრისთვის

1.ახალი ზელანდია	92.68
2.სამხრეთ აფრიკა	89.45
3.ავსტრალია	85.86
4.არგენტინა	81.56
5.უელსი	81.03
6.ინგლისი	80.86
7.საფრანგეთი	79.49
8.ირლანდია	78.45
9.შოტლანდია	76.76
10.ფიჯი	75.24
11.იტალია	74.64
12.სამოა	72.57
13.ტონგა	70.05
14.საქართველო	69.43



"ზორჯვალოსნები" პოზიციებს ინარჩუნებენ.

15.კანადა	69.12	19.აშშ	63.55	23.პორტუგალია	58.57
16.იაპონია	68.05	20.ურუგვაი	62.78	24.ჩილე	56.84
17.რუმინეთი	67.20	21.ესპანეთი	61.18	25.ნამიბია	56.82
18.რუსეთი	64.63	22.სკოტლანდია	59.02	26.გერმანია	56.73

ქართველთა უიღბლო დღე ტოკიოში

ტოკიოში მიმდინარე იანვრის ბაშის მესამე სასპარეზო დღე საკმაოდ ნარეზანტული გამოდგა ქართველი სუპერსტარებისთვის. კოკაიმ ზედღებულად მეორე მარცხი განიცადა, ტოჩინომინმა კი ორი მოგებულ ბრძოლის შემდეგ ბაშოზე პირველი დაპირისპირება სწორედ გუშინ წააგო.

გუშინ ტოჩინომინის მეტოქე აღმოსავლეთის მეათე მაიგაშირა ტოკუტენუკი იყო, ქართველმა პიკიტომის იღვით დათმო ბრძოლა

და ახლა ლევან გორგაძის აქტივში ორი გამარჯვება და ერთი მარცხია.

კოკაი კი გუშინ თავისთვის საკმაოდ უზნებულ მეტოქე ტაკაი-საკირისთან სცდლიდა ძალებს. გეცყვი, რომ გასულ წელს ლევან ცაგურიამ ამ სუპერსტარს სამი ბრძოლა წააგო, სამწუხაროდ კოკაიმ ვერც ამჯერად შეძლო მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა და იანვრის ბაშოზე მორიგი რიგით მეორე მარცხი განიცადა.

რაც შეეხება იანვრის სუპერ-

ტურნირის მთავარ ფავორიტებს. ჰაკუჰომ დღის ბოლო ბრძოლაში აღმოსავლეთის მეორე მაიგაშირა დაპაჰაძე და მესამე გამარჯვება ჩაინერა აქტივში, ასოშიორუმ კი ჰაკუჰომდე რამდენიმე წუთით ადრე აღმოსავლეთის პირველი მაიგაშირა კუკუტენო დაამარცხა და ასევე სამი გამარჯვება დაუგროვდა.

დღეს ასპარეზობის მეოთხე დღეს ტოჩინომინი აღმოსავლეთის მეორე მაიგაშირა იკავიამას უპირისპირდება, რომელსაც სამი-

ან მოლოდენი ერთი ბრძოლა აქვს მოგებული. გასულ წელს ტოჩინომინმა იკავიამასთან ორი ორთაბრძოლა გამართა და ერთის მოგება შეძლო.

კოკაის მეტოქე კი დასავლეთის მეოთხე მაიგაშირა ვაკენოსატო იქნება, რომელიც იანვრის ბაშოზე საოცრად ცუდად ასპარეზობს და აქამდე გამართული სამივე ბრძოლა წააგო. გასულ წელს კოკაი ორჯერ შეხვდა ვაკენოსატოს და ერთხელ შეძლო მისი დამარცხება, ეს მარცხი ბაშოზე მოხდა.

რონალდუმ ფიფას ზილდოს მოიგო

"ერთი წლის წინ, როდესაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო ჩემს თანამემამულე კაკას გადაეცემა, კრიშტიანუ რონალდუს ვუთხარი, რომ შემდეგი ის იქნებოდა", - განაცხადა მსოფლიო ფეხბურთის მეფედ აღიარებულმა პელემ ციურისის ოპერაში მონყობილ გალა საღამოზე და 2008 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო "მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელ შემტევს გადასცა.

ფაქტობრივად მოხდა ის, რასაც ყველა ელოდა, ფიფას ვერსიით 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი ლეგიონერი კრიშტიანუ რონალდუ გახდა.

გამოკითხვაში, რომელშიც მონაწილეობას 155 ეროვნული ნაკრების მწვრთნელები და კაპიტნები იღებდნენ, რონალდუმ 935 ქულა მოაგროვა.

მომდევნო ადგილები "ბარსელონას" არგენტინელ ვარსკვლავ ლიონელ მესსის (678 ქულა), "ლივერპულის" ესპანელ თავდასხმელ ფერნანდო ტორესს (203), "მილანის" ბრაზილიელ ფორვარდ კაკას (183) და "ბარსელონას" ესპანელ ნახვარმცველ ხავი ერნანდესს (155) ერგოთ.

"ამ პრესტიჟულ ჯილდოს ჩემს ოჯახსა და ყველა იმ ადამიანს ვუძლი ვინც, რომლებმაც წინსვლაში დიდი დახმარება გაწიეს. მაღლობელი ვარ ჩემი თანაგუნდელებისა, რომე-



პელემ 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო რონალდუს გადასცა.

ლთა გარეშე ეს აღიარება არ მოვიდოდა", - აღნიშნა რონალდუმ.

ქალთა შორის საუკეთესოს ტიტული ზედღებულად მესამედ ბრაზილიის ნაკრების 22 წლის ფორვარდ მარტას ერგო, რომელმაც 1002 ქულა მიიღო. გამოკითხვის შედეგად მარტამ გერმანელ ბირგიტ პრინცს (328), თანამემამულე კრისტიანეს (275), კიდევ ერთ გერმანელ ნადინ ანგერესს (198) და ინგლისელ კელი სმიტს (150) აჯობა.

აშშ-ს ქალთა ნაკრებმა, რომელიც ბოლო სამი ოლიმპიადის გამარჯვებულია, ფიფას პრეზიდენტის სპეციალური ჯილდო მიიღო.

საზეიმო ცერემონიისას ფიფა-პრეზიდენტის პრინციპების დაცვისთვის თურქეთისა და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციებიც დააჯილდოვეს, რომელთაც ქვეყნებს შორის არსებული მრავალწლიანი უთანხმოება არადა ჩააგდეს და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ყოველგვარი პრობლემების გარეშე ჩაატარეს.

ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ცალკე პრიზით პალესტინის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაც აღინიშნა.

მოკლედ რონალდუმ 2008 წლის ყველა პირადი ჯილდო დახვეტა და

მაკარიძე "ლე მანში" ითამაშებს

თბილისის "დინამოს" 18 წლის გოლიკუბერი გიორგი მაკარიძე "ლე მანის" წევრი გახდა. ფრანგული კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, მაკარიძემ ხელი 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა. გიორგიმ კლავს ტოპმოლეურის ხელქვეითობით საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე მატჩის ჩატარება მოასწრო და ევროპულ კლუბთა დაინტერესებაც გამოიწვია. თავდაპირველად, მაკარიძე გერმანულ კლუბებში დამკვიდრებას ლაპობდა, თუმცა, შემდეგ გეზი საფრანგეთისკენ ააიღო. პირველ ხანებში ქართველი მეკარე "ლე მანის" ახალგაზრდულ გუნდში ითამაშებს.

სამბოს ფედერაცია ახალ პრეზიდენტს 5 მარტს აირჩევს

საქართველოს სამბოს ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრეზიდენტის გაფართოებული სხდომა ჩაატარა, სადაც ფედერაციის გამგეობამ პრეზიდენტის - გიორგი გოგუაძის თანამდებობიდან გადადგომის გადაწყვეტილება ოფიციალურად დაადასტურა.

პრეზიდენტის რეგარეშე სხდომას 27 დელეგატიდან 20 დაესწრო, სიტყვით კი, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ნაკრების მთავარი მწვრთნელის ოლეგ იაძე გამოვიდა, რომელმაც გიორგი გოგუაძის გადაწყვეტილების გამო გულისტკივილი გამოთქვა, ყოფილ პრეზიდენტს განუვლი სამსახურისათვის სამისტიების სახელით მადლობა გადაუხადა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

სამბოს ფედერაციის ახალი პრეზიდენტის არჩევნები 5 მარტს გაიმართება.

აროშიძე ლიდერობს

თურქეთის ქალაქ ანთალიაში სტარტი აიღო საქადრა-კო ტურნირმა "6th MCA Championships 2009", რომელშიც ქართველი დიდოსტატები თამაზ გელაშვილი და ლევან აროშიძე ასპარეზობენ.

ორი ტურის შემდეგ დანაკარგის გარეშე სწორედ აროშიძე ლიდერობს, მისებრ ორი ქულა კი გურგენის, ერდოგდუს (ორივე – თურქეთი) გეორგიადისსა (საბერძნეთი) და ვოკატუროს (იტალია) გააჩნიათ.

გელაშვილის აქტივში 1.5 ქულაა.

ლომაია ავსტრიულ ვიზას ელოდება

საქართველოს ეროვნული ნაკრების კიპერი გიორგი ლომაია, სამშუამოდ ავსტრიის ბუნდესლიგაში გადასვლას ეშურება. გიორგი ამჟამად კიევი იმყოფება, სადაც ავსტრიის ვიზის მოლოდინშია. ცნობილია, რომ ამ ქვეყნის ბუნდესლიგის აუტსაიდერ ნოიერდორფის "ალტასს", კლუბთან დაახლოებული მენეჯერი საქართველოდან შეთავაზებულ ფეხბურთელთა შორის, ბოლო დრომდე თბილისის "ლოკომოტივის" მეკარესაც განიხილავს.

ათუაშვილი სეზონის ბოლომდე საქართველოში ითამაშებს

ქართული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ტანმა-ლალი-223 სანტიმეტრი სიმაღლის მქონე ცენტრალური თავდამსხმელი სერგო ათუაშვილი, კარიერას საქართველოში მე-18 ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ "ტედ-თბილისში" გააგრძელებს, რომელთანაც კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა.

2008-2009 სეზონის საკალათბურთო სეზონი ათუაშვილმა სერბეთის ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბ "ვიზურაში" დაიწყო და პირველი წრის დასრულების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

კარიერის განმავლობაში იგი საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრი იყო. ამჟამად, ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატია, სადაც მისი უშუალო კონკურენტები ზაზა ფ და გიორგი შერმაღანი არიან.

გიგზი უელსში თამაშს არ გამოირიცხავს

უელსის ეროვნული ნაკრების ყოფილი შემტევი ნახევარმცველი რაიან გიგზი, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედის" ღირსებას იცავს, არ გამოირიცხავს, რომ სამშობლოში დაბრუნდეს და "კარდიფ სიტის" მაისურით ითამაშოს.

35 წლის ვეტერანს მანჩესტერულ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე წლის მაისში ეწურება, თუმცა, "ნითელი ეშმაკების" ხელმძღვანელობა მის გახანგრძლივებაზე ხმას არ იღებს. ასეთ სიტუაციაში გიგზს ორი ვარიანტი რჩება - საფეხბურთო კარიერა დაასრულოს, ან სამშობლოში დაბრუნდეს.

"კარდიფ სიტის" თამაშებს მუდამ თვალს ვადევნებ, ეს ხომ ჩემი მშობლიური ქალაქის გუნდია. მისი პრემიერლიგაში თამაში ძალიან მსურს. არაერთხელ უკითხავთ, ვითამაშებდი თუ არა "კარდიფში", მაგრამ, ჯერჯერობით ამ შეკითხვაზე პასუხი არ მაქვს, რადგანაც ჩემი მომავალი ბურუსითაა მოცული. მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე წლის მაისში ეწურება და ამ სიტუაციას ნათელი სწორედ მაშინ მოეფინება", - ამბობს გიგზი.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფა“ აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ავლაბრის ად-
მინისტრაციული კომპლექსის შენობის ფრიზის დეკორაციისა და მოზაიკური პანოების
შესრულების სამუშაოების შესყიდვის მიზნით

დაფინანსების წყარო: საწარმოს სახსრები.
განსახორციელებელი სამუშაოების მოკლე აღწერილობა.

შენობის ფრიზის დეკორაციისა და მოზაიკური პანოების შესრულება შემდეგი ზომებით:
სიგრძე - 17,23 მ, სიგანე - 1,33 მ. აღნიშნული სამუშაოები ითვალისწინებს მოზაიკის ესკიზის
შექმნასა და მოზაიკის უშუალოდ დამზადება-მონტაჟის სამუშაოებს.

სამუშაოების შესრულების სასურველი ვადაა ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან
ხელშეკრულების დადებიდან 120 დღე.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იური-
დიულ პირს.

სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნის-
თანავე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, VII სართული, შპს „სახელმწი-
ფო უზრუნველყოფა“, სატენდერო კომისიის აპარატი, 2009 წლის 29 იანვრის 18.00 საათამ-
დე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და
სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის იურიდი-
ულმა ან ფიზიკურმა პირებმა ინგლისურ ან რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად და-
მონმებული თარგმანის დართვით). საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენ-
ტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის
მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, VII
სართული, შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფა“, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება ზემოაღნიშნულ მი-
სამართზე 2009 წლის 30 იანვრის 11.00 საათიდან 18.00 საათამდე.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერი-
ლი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (უფლებამოსილი
წარმომადგენლის) მიერ. ხელმოწერილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა
მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 30 იანვრის 18.00 საათზე. პრეტენდენტებს
უფლება აქვთ დაესწონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონე-
ბაზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანა-
ციის საქმის წარმოება;
3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების
არარსებობის შესახებ;
4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
5. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის
მონმობის ასლი;
6. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფო-
ნი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
7. ინფორმაცია ანალოგიურ სფეროში მუშაობის გამოცდილების შესახებ (სასურვე-
ლია წარმოდგენილი იქნეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

ფიზიკური პირებისათვის:

1. პრეტენდენტის და სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პი-
რის პირადობის მონმობის ასლი;
2. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფო-
ნი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
3. ინფორმაცია ანალოგიურ სფეროში მუშაობის გამოცდილების შესახებ (სასურვე-
ლია წარმოდგენილი იქნეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

პრეტენდენტთა მიერ სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი ტენდერში მოთხო-
ნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში სატენდე-
რო წინადადებები არ იქნება განხილული და მოხდება მათი დისკვალიფიკაცია.

ტენდერში გამოყენებული იქნება შეფასების შემდეგი კრიტერიუმები: სატენდერო წინა-
დადების ფასი, პრეტენდენტის გამოცდილება და სამუშაოს შესრულების ვადა.

პრეტენდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის“ სატენდე-
რო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, VII სართული. ტელ: 99-
01-49, 899 35-55-35

სატენდერო კომისიის აპარატი

ბანკსადაე ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა, მდებარე ქ. თბილისი, მ. კოს-
ტავას ქ. N68ა, აცხადებს საერთაშორისო ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკო-
ლამდელი აღზრდის დაწესებულებების კვების პროდუქტებით მომარაგების სახელმწიფო
შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: რაიონში განთავსებულია 31 სკოლამდელი
აღზრდის დაწესებულება, რომელშიც სიით ირიცხება 6037 აღსაზრდელი. კვების პროდუქ-
ტები დაყოფილია 5 ლოტად:

- ლოტი 1.** თევზი და ხორცის ნაწარმი;
- ლოტი 2.** რძის პროდუქტები;
- ლოტი 3.** ბაკალეა;
- ლოტი 4.** ბოსტნეული და ხილი;
- ლოტი 5.** პურპროდუქტები.

შესასყიდი კვების პროდუქტების სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა
მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. მიწოდების სასურველი სავარაუდო ვადაა **2009 წლის 1 მარტი - 2009 წლის 31 დეკემ-
ბერი.**

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებ-
ები ერთ დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 4 ეგ ზემპლარად (ერთი
ორიგინალი ან ნოტარიულად დამონმებული ქსეროასლი და სამი ქსეროასლი) **04.02.09 წ-დან
05.02.09 წლის 1600 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა.** (უცხო
ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე)

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს
თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამონმებული ქართულენოვანი თარგმანი

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ად-
გილის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აგრეთვე,
მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლი-
ანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარ-
მოება.

გ) ცნობას შსს საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის

განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარე-
ობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავში-
რებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ

გ) ინფორმაციას უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული და/ან
მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ (ასეთის არსებობის შემ-
თხვევაში).

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩ-
ნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფ-
ლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწი-
ფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეეძ-
ლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ხოლო გატანა **200 (ორასი) ლარის** ოდენო-
ბის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 15.01.09 წლიდან 2009 წლის 5
თებერვლის 1100 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა, III სართუ-
ლი, გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგე-
ნილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე (ერთიანი ანგარიში
არასაგადასახადო შემოსავლებისათვის):

**ა/ა N 200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი (ვაკე-საბურ-
თალოს რაიონის) 300773174; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი,
მოსაკრებლის დანიშნულების მითითებით.**

7. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარან-
ტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ასევე ტენდერის
შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული
იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირე-
ბულების 2%-ს ოდენობით.

8. საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ დაექვემდებარება სატენ-
დერო წინადადებების ღირებულებითი პარამეტრები და საბანკო გარანტიის მონაცემები.

9. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლენილი იქნას ერთი ან რამდენიმე გამარჯვებუ-
ლი.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირე-
ბისაგან: ი. დუნდუა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-
23-79; ვ. ყიფიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-59-
92. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა.

- არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების
დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფ-
ლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამონმებული თარგმანის სახით
სატენდერო კომისია

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თვალის დაავადებათა კვლევის და მკურნალობის მიმართულებით

გთავაზობთ:

- თვალის სრული გამოკვლევა
- თვალის ვირუსული, ბაქტერიული, რევმატიული თანამედროვე მეთოდით მკურნალობა
(კერატიტი, ირიდოციკლიტი, უვეიტი, ქორიორეტინიტი)
- წყლულოვანი ბლევარიტები, დემოდეკოზი, დაქროციტიტი
- გლაუკომა - სანაყის სტადიაში გამოვლენა, მკურნალობა, მეთვალყურეობა

- შაქრიანი დიაბეტით დაზიანებული თვალის მკურნალობა - მეთვალყურეობა
- ბავშვთა მხედველობის დაცვა (სათვალის დადგენა, სიელმის მკურნალობა, თვალის გა-
ზარმაცება, მიოპია)
- გერიატრიულ (ასაკობრივ) დაავადებათა მეთვალყურეობა და მკურნალობა
- თვალის დისტროფიული დაავადებების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა

პაციენტების მიღებას აწარმოებს

ოფთალმოლოგიაში დიდი გამოცდილების მქონე

უმალესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ზურაბ მაისურაძე

მის: თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის 20.
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
ტელ.: 91 31 19; 91 32 42. მობ.: (899) 103282

ბანკსადაც ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა, მდებარე ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა, აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია ასფალტბეტონის საფარის ორმოული შეკეთება და ბორდიურების აღდგენა-მონყობა

L შენიშვნა: შესყიდვის ობიექტის სრული აღწერილობა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში (სატენდერო დოკუმენტაციაში)

2. მიწოდების საურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2009 წლის ბოლომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სტენდერო წინადადებები ერთ დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 4 ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი და სამი ქსეროასლი) 04.02.09 წ-დან 05.02.09 წლის 1530 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აგრეთვე, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

დ) ინფორმაციას მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ,

მათ შორის ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

ე) ინფორმაციას უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული და/ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების სუბკონტრაქტორებზეც (ასეთების არსებობის შემთხვევაში) სატენდერო წინადადებასთან ერთად ერთ დალუქულ კონვერტში წინამდებარე განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად.

6. თუ პრეტენდენტის და/ან სუბკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეეძლება სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ხოლო გატანა 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლება 15.01.09 წლიდან 05.02.09 წლის 1100 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა III სართული, გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის):

ა/ა N 200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი (ვაკე-საბურთალოს რაიონის) 300773174; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

8. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ასევე ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს ოდენობით.

9. საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ დაექვემდებარება სატენდერო წინადადებების ღირებულებითი პარამეტრები და საბანკო გარანტიის მონაცემები.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დ. ჩხეიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-46-24; ვ. ყიფიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-59-92. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა.

სატენდერო კომისია

ბანკსადაც ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა, მდებარე ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა, აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მოქალაქეთა უფასო კვებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: განსაზღვრულია 1658 უმწეო მოქალაქის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვების მიზნით სასადლოების ორგანიზება.

შესყიდვა ხორციელდება 2 ლოტად:

ლოტი 1. ვაკის ზონა - ობიექტის მოკლე დახასიათება:

სულ უფასო კვებით მომსახურება გაეწვა 708 უმწეო მოქალაქეს, მათ შორის კვების ობიექტების სასურველი დისლოკაციის მიხედვით:

- ვ/ფშაველას კვარტლები და მიმდებარე ტერიტორია - 252 კაცზე;

- ნუცუბიძის II კლასის ასახვევის მიმდებარე ტერიტორია - 166 კაცზე;

- ჭავჭავაძის გამზ. მიმდებარე ტერიტორია - 290 კაცზე

ლოტი 2. საბურთალოს ზონა - ობიექტის მოკლე დახასიათება:

სულ უფასო კვებით მომსახურება გაეწვა 950 უმწეო მოქალაქეს, მათ შორის კვების ობიექტების სასურველი დისლოკაციის მიხედვით:

- დ/დილომის I-II მკრ და მიმდებარე ტერიტორია - 300 კაცზე;

- მიცკევიჩის და პეკინის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია - 276 კაცზე;

- დ/დილომში III-IV მკრ ტერიტორია - 222 კაცზე;

- დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ მიმდებარე ტერიტორია - 152 კაცზე.

2. მიწოდების სასურველი საგარაუდო ვადაა 2009 წლის 1 მარტიდან - 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სტენდერო წინადადებები ერთ დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 4 ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი და სამი ქსეროასლი) 04.02.09 წ-დან 05.02.09 წლის 1430 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აგრეთვე, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

დ) ინფორმაციას მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

ე) ინფორმაციას უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში

წარმოებული ანალოგიური სახის მომსახურების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) N1 პუნქტში მითითებული დისლოკაციის მიხედვით არსებულ შენობებში შესაბამის დოკუმენტაციას ფართის განკარგვის უფლების შესახებ

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეეძლება სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ხოლო გატანა 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლება 15.01.09 წლიდან 05.02.09 წლის 1100 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა, III სართული, გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის):

ა/ა N 200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი (ვაკე-საბურთალოს რაიონის) 300773174; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი, მოსაკრებლის დანიშნულების მითითებით.

7. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ასევე ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს ოდენობით.

8. საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ დაექვემდებარება სატენდერო წინადადებების ღირებულებითი პარამეტრები და საბანკო გარანტიის მონაცემები.

9. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლენილი იქნას ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ი. ტაბატაძე - სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-56-02; ვ. ყიფიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-59-92. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68ა.

სატენდერო კომისია

შპს ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი აცხადებს კონკურსს ჰოსპიტლის პოლიკლინიკის ექიმ-ნევროპათოლოგის 1 საშტატო ერთეულის დასაკავებლად. ინფორმაციის მისაღებად მიაკითხეთ ჰოსპიტლის ადმინისტრაციას. მისამართი: ქ. თბილისი, იამანის ქუჩა N3 ადმინისტრაცია

შპს რიგლის წარმომადგენლობა საქართველოში ახდენს ლიკვიდაციას 2008 წლის 31 დეკემბრიდან, დამფუძნებლის (შპს რიგლის) მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბექსები ძირითადში თამაშს არ ელოდა



ბექსის დებიუტი რომში შედგა.

როგორც იქნა შედგა დევიდ ბექსის დებიუტი იტალიურ "მილანში". მიუხედავად იმისა, რომ "ბექსის" სადებიუტო მატჩში "როსონერიმ" ქულები დაკარგა და არც თავად ინგლისელს უთამაშია განსაკუთრებით შთაბეჭდავად. დევიდ ბექსი, რომელიც იტალიურ "მილანში" ამერიკის MLS ლიგის "ლოს-ანჯელეს გალახიდან" სამი თვითაა განათხოვრებული, სერია A-ში გამოსვლით სიამოვნებას იღებს.

"მილანის" შემადგენლობაში, ბექსმა თავისი პირველი ოფიციალური შეხვედრა რომში, "რომას" წინააღმდეგ 2:2 დასრულებულ მატჩში გამართა. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და მოედანზე 89 წუთი გაატარა, რის შემდეგაც ჟურნალისტებს განუცხადა, რომ "სასტარტოში" დაყენებას არ ელოდა.

"მთელი მატჩის განმავლობაში, თავს კომფორტულად ვგრძობდი და თამაშისგან სიამოვნებას ვიღებდი.

რომში ადგილობრივი გუნდის წინააღმდეგ თამაში ძალიან მომეწონა. ძირითად შემადგენლობაში დაყენებას არ ველოდი. შეხვედრის დაწყების წინ, მთავარმა მწვრთნელმა მიხმო და მითხრა, რომ პირველივე წუთებიდან სათამაშოდ მოვმზადებულიყავი, რამაც ძალიან გამაკვირა. ჩემი მიზანია, რომ რაც შეიძლება ბევრი ვითამაშო და გუნდის ნაწილად ვიქცე. მიხარია, ასეთ დიდებულ კლუბში რომ ვარ და ტალანტების გვერდით ვირჯები. მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე არ ვნანობ და გამიმართლა "მილანში" თამაშის საშუალება რომ მომეცა. მსურს, ყოველივე ამისგან სიამოვნება მივიღო" - განაცხადა ბექსმა.

თავის მხრივ, "მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ აღნიშნა, რომ ბექსის ძირითად შემადგენლობაში დაყენება, ვარჯიშებზე ინგლისელის თავდაუზოგავი შრომისთვის გაღებული ჯილდო იყო. მან ისიც აღნიშნა, რომ მატჩისწინა

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს დევიდის "სასტარტოში" გამოყვანის გადაწყვეტილება მიზანმიმართულად დაუშალა, რათა მათი მხრიდან ზედმეტ ყურადღებას გუნდის მზადებისთვის ხელი არ შეეშალა.

"საკუთარ შევირდებთან წინასწარ შევთანხმდი, რომ დევიდი ძირითად შემადგენლობაში იქნებოდა და გადაწყვეტილება ამის წინასწარი აფიშირება არ მოგვეხდინა, რათა მასმედიის მხრიდან გამოჩენილ მოჭარბებულ აქტიურობას, გუნდის მზადებისთვის ხელი არ შეეშალა. ბექსი ნამდვილი პროფესიონალია, რომელმაც "მილანში" გატარებულ რამდენიმე დღეში სრული ადაპტაცია გაიარა და ძროსონერის" თამაში დააბალანსა. ის კარგ ფიზიკურ ფორმაშია, ვარჯიშებზე თავდაუზოგავად შრომობს და ამის გამო, "რომასთან" ძირითად შემადგენლობაში დაყენებით დავაჯილდოვე" - უთხრა კარლო ანჩელოტიმ იტალიელ ჟურნალისტებს.

ბენიტესი კონკურენტს აკრიტიკებს

ინგლისური პრემიერლიგის ლიდერი გუნდის, "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი, ერთ-ერთი კონკურენტის - "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონს აკრიტიკებს.

ინგლისურ მედიასთან საუბარში, ესპანელმა ყოველგვარი მორიდების გარეშე მანჩესტერული კლუბის აღმასრულებელ დირექტორზე - დევიდ გილზე მიანიშნა და ეჭვი გამოთქვა, რომ მისი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციაში მუშაობა "მანჩესტერის" წარმატებების საწინდარია.

"შესაძლოა, ფერგიუსონი ჩემს წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეულ გეგმებს აწყობს, მაგრამ მე მსგავსი რამ არ გამაჩნია. როდესაც ორი ადამიანი ერთნაირ სიტუაციაში იმყოფება, მაშინ საკუთარი სიტუაციის დამტკიცება შესაძლებელია, მაგრამ ფერგიუსონი ყველაფერს აკონტროლებს... ადვილია ნებისმიერი რამის თქმა ან გაკეთება, როდესაც შენი აღმასრულებელი დირექტორი საფეხბურთო ასოციაციაში მალალ თანამდებობას იკავებს. ნუთუ უცნაურად არ გეჩვენება, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" აღმასრულებელი დირექტორი დევიდ გილი საფეხბურთო ასოციაციის მალაჩინოსანია? მე ეს ძალიან მაოცებს", - ამბობს ბენიტესი.

"ბარსელონამ" ბენზემას შესაძენად პირველი ნაბიჯი გადადგა

ესპანური ბარსელონა მზადაა, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო 7 თამაშების ჩემპიონსა და მიმდინარე პირველობის ლიდერ "ლიონს", საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფორვარდ კარიმ ბენზემას სანაცვლოდ 65 მილიონი ევრო შესთავაზოს. თუ ეს გარიგება მართლაც შედგა, მაშინ ბენზემა კატალონიური კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი აღმოჩნდება, თუმცა, ფრანგები საკუთარ ლიდერთან განშორებას ვერ არ ჩქარობენ.

"ბარსელონას" გარდა, ბენზემას შეძენა ინგლისის ლიგებში "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურს. საგულსხმოა, რომ 21 წლის ფრანგის შეძენა ევროპულ გრანდებს გასულ ზაფხულსაც უნდოდათ, მაგრამ საკუთარ ფორვარდს "ლიონი" ვერც მაშინ შეეღია.

ბენზემა "ლიონის" ძირითად გუნდში 2004 წლიდან თამაშობს და საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში მთლიანობაში ჩატარებულ 93 შეხვედრაში, 36 გოლი გაიტანა, წლეულს კი მის ანგარიშზე 18 მატჩში გატანილი 10 გოლია. 2007 წლიდან, კარიერა საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მაისური 19 თამაშში მოირგო და მეტოქე კარი 5-ჯერ აიღო.

ბერის ჩემპიონთა ლიგა მოუნდა

ინგლისის "ასტონ ვილას" ნახევარმცველი გარეთ ბერი მიიჩნევს, რომ მისი გუნდი განვითარების სწორ გზას ადგას და მიმდინარე სეზონში ნაჩვენები თამაშის მიხედვით, მომავალი ჩემპიონთა ლიგის საგულს იმსახურებს.

27 წლის ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ მოცემულ მომენტში მისი გუნდი საუკეთესო ფორმაში იმყოფება და ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლებელია. "პრემიერლიგის შედეგების მიხედვით, ჩემპიონთა ლიგის საგულს ვიმსახურებო. მიმდინარე სეზონში, ჩვენ მართლაც საუცხოოდ ვთამაშობთ და მიმართა, რომ მოცემულ მომენტში ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. იმისთვის, რომ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში ლირსეულად ვითამაშოთ, გუნდს კარგი ფეხბურთელები და მცოდნე მწვრთნელი უნდა ჰყავდეს, ჩვენ კი ყველა ამ კრიტერიუმს ვაკმაყოფილებთ. ვფიქრობ, რომ სწორ გზაზე ვდგავართ", - ამბობს გარეთ ბერი.

"შტუტგარტი" გომესს არ შეეღება

"შტუტგარტი" 23 წლის მეგობე მარიო გომესის გაშვებას არ აპირებს. ამის შესახებ კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჰორსტ ჰელდემ პრესტიჟულ გერმანულ გამოცემა "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. "ჩვენ კლუბს არავითარი საფუძველი არა აქვს, ის რომ გაყიდოს - თქვა ჰელდემ - ყოველ შემთხვევაში, ფინანსურად ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძობთ."

გერმანიის ნაკრების ნევრს კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს და კლუბი მის თავს 25-30 მილიონ ევროდ აფასებს. შარშან ზაფხულში მისი გადაბირების მცდელობა მიუხეხნის "ბაიერნს" ჰქონდა, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო მაშინ ეს ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. "ბაიერნი" ამ მიმართულებით შეტევას, სავარაუდოდ, ამ ზაფხულიდან განაახლებს, თუმცა "შტუტგარტი" გომესის იოლად დამთმობი არ ჩანს.

"ჩვენ გვსურს, ის რაც შეიძლება დიდი ხნით დავიტოვოთ" - აღნიშნა ჰელდემ. შვაბური კლუბის სპორტული დირექტორის თქმით, კლუბი ვერც 39 წლის მეკარე იენს ლემანს ელევა, რომელსაც კონტრაქტის ვადა მიმდინარე სეზონის დამლევს გასდის:

"ძალიან გაგვიხარდება, იენსი ჩვენთან კიდევ ერთი წლით რომ დარჩენილიყო."

"ნიუკასლი" ლიოვენკრანდსით დაინტერესდა

"ნიუკასლი" გელზენკირხენის "შალკედან" გაშვებული 28 წლის დანიელი თავდამსხმელი, პეტერ ლიოვენკრანდსით დაინტერესდა.

"ჯორდების" მწვრთნელმა ჯო კინიარმა, თავდამსხმელთა - შოლა ამეობის, ობაფემი მარტინისა და მარკ ვიდუკას ჯგუფური ტრავმისაგან გამო ყურადღება თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე ლიოვენკრანდსს მიაპყრო.

ამ უკანასკნელს "კაჭკაჭების" შანსი ჯერ კიდევ 2000 წელს ჰქონდა, მაგრამ მაშინ მან გლაზგოს "რეინჯერსში" გადასვლა არჩია, სადაც 2006 წლამდე დაჰყო.

"ის ძალიან გამოცდილი, მარდი მოთამაშეა. ურიგო არ იქნებოდა, მისი გამოყენების შანსი რომ მოგვეცემოდა" - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში კინიარის თანამშემე კრის ჰაფტონმა.

გაბაზავეთი სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ ივენანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შეიშვენიერდით, ერთად დაუბრუნეთ ბავშვები თაჰიანთ ოჯახებს!

ფონდი ივენანა
გაზეთი 24 საათი

იოკოძუნას სიკვდილით ემუქრებიან

ინტერნეტში გამოჩენილმა ანონიმურმა მუქარამ იაპონელი სამართალდამცავები და სუმოს სამყარო საგონებელში ჩააგდო. მუქარის მიხედვით სამიზნეა ამოღებული 28 წლის სუმიტორი, ამასთან სუმოს უმაღლესი - იოკოძუნას ტიტულის მქონე ვინმე. იაპონელებს ბევრი არ უფიქრიათ იმის გამოსავლენად, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო შესაძლო მსხვერპლი. ასაკისა და ტიტულის გათვალისწინებით დადგინდა, რომ მოკვლით ემუქრებიან მონლოლ ასოშირის ("დილის ციციფერი დრაკონი").

ერთი სიტყვით, იაპონელმა სამართალდამცავებმა მკვეთრად გაზარდეს იმ საწვრთნელი კომპლექსების დაცვა, სადაც ორი ყველაზე ტიტულუოვანი სუმიტორი ვარჯიშობს. ასოშირისთან ერთად უმაღლესი ნოდება აქვს ასევე მონლოლ ჰაკუჰოსაც ("თეთრი ფენიქსი").

როგორც არ უნდა იყოს, დიდი ჩემპიონის უსაფრთხოებაზე მზრუნველი პოლიცია მიიჩნევს, რომ ამგვარი მუქარა ბლევია, მიზანი კი ერთი: მწყობრიდან გამოიყვანონ იოკოძუნა, რაც უნდა აისახოს მის შემდგომ ასპარეზობებზე.

ასოშირიუმ იოკოძუნას (ასოშირიუ ერთ-ერთი წარმატებული სუმოსტია, რომელსაც 22 ტურნირი მოუგია) ნოდება 2003 წლის იანვარში მიიღო. სუმოსთვის უმაღლეს ტიტულს კი იძლევიან არამართო სპორტული დამსახურებებისთვის, არამედ მორალური თვისებების გამოც.



ასოშირის მოკვლით ემუქრებიან.

AFP - 2009

ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ (995 32) 20-24-24
899 26-20-19

გამომცემის ოფიციალური პარტნიორები:



**თქვენს კითხვას
პასუხობენ ბანკირები**

**თიბისი ბანკი
TBC BANK**
ჩვენ ვაძლევთ უკეთესს

გამოგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე ngotsadze@tbcbank.com.ge, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და ყოველ სამშაბათს, რუბრიკაში "თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები", მიიღეთ პასუხები "თიბისი ბანკის" ექსპერტებისგან.

მსოფლიო ეკონომიკის მეჩუვი ხასიათი

თინა შავაძე

ადამიანები საქმიან გადანიშნულებებს - იყიდონ, გაყიდონ, დააგირაონ, ბანკში ფულადი დანაზოგი განათავსონ - შარშანდელ პერიოდთან შედარებით თავისუფლად ვეღარ იღებენ. მსოფლიო კრიზისიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ყველა გადანიშნულება გარკვეულწილად შეფერხებულია და ფიზიკური პირები ფულად დანაზოგებს ხელს უჭერენ, ხოლო კომპანიები ხარჯებს ამცირებენ. მაგრამ მსგავსი მიდგომა საქმიანი გადანიშნულებების მხოლოდ დროში განელვება, რადგან ყველა მოვლენას თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს, მთავარია, კარგად გავვერკვეთ, რა როდის იწყება და როგორ მთავრდება.

ეკონომიკას თავისი, აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდები აქვს. ამ მონაცვლეობას ხშირად საქმიანი აქტივობის ციკლს უწოდებენ. მაგრამ მეტი წილი ციკლებისგან განსხვავებით, ეკონომიკური ციკლი ძალზე არარეგულარულია და ამ პერიოდულ აღმავლობასა და დაქვეითებას ეკონომიკურ მერყეობად განიხილავენ. ეკონომიკური ციკლის სრული ციკლი დაახლოებით 5-7 წელიწადს გრძელდება.



ნომიკური მერყეობა სხვადასხვაგვარად ხასიათდება. ის მოიცავს ბუმს, რეცესიას, ჩაგრუნდასა და აღმავლობას.

მსოფლიო ეკონომიკაში საქმიანი აქტივობის ციკლის ერთ-ერთი ფაზის - ბუმის დროს ეკონომიკა ყვავის; სანარმოები, ჩვეულებრივ, მთელი სიმძლავრით მუშაობენ და ვინც სამუშაოს ეძებს, მას, როგორც წესი, იოლად შოულობს. ბუმის დროს სანარმოთა ინვესტირებისა და მომხმარებელთა ხარჯების დონე ყველაზე მაღალია. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ეკონომიკა სრული ან თითქმის სრული დატვირთვით მუშაობს და საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა იზრდება (ანუ მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდება), იზრდება ფასებიც.

მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად ეკონომიკა ბუმიდან რეცესიის ფაზაში გადავიდა. ბევრი ქვეყნის მთავრობამ, მათ შორის რუსეთმაც, აღიარა რომ მშპ (ქვეყანაში წარმოებული საქონელი და მომსახურება) შემცირებისკენ წავიდა ანუ ეკონომიკა აღმავლობიდან დაქვეითების ფაზაში შევიდა და რეცესიის ციკლი დაიწყო.

გამომცემი B4 გვერდი




**საქართველო
ერთ დიდ
სამხანაგლო
მოადნად
გადიქცევა**

B2

უცხოური ვალუტის ოფიციალური ქარსი ლართან მიმართებაში

1	ა.შ.შ. დოლარი	USD	1,8880
1	ავსტრალიური დოლარი	AUD	1,1339
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	2,0431
1	არაბული დირჰამი	AED	0,4492
1000	ბალორუსული მანათი	BYR	0,7757
1	ბულგარული ლვი	BGL	1,0761
1	დანიური კრონი	DKK	0,2845
1	ეგვიპტური გირანაჰა	EGP	0,2995
1	ევრო	EUR	2,1178
10	ესტონური კრონი	EEK	1,3540
1000	თურქმენული მანათი	TMM	0,1161
1	თურქული ლირა	TRY	1,0855
10	იაპონური იენი	JPY	0,1868
1	ინდონეზიური გირანაჰა ს	GBP	2,5950
1	ინდოური რუპია	INR	0,0348
1000	ირანული რიალი	IFR	0,1646
10	ისლანდიური კრონი	ISK	0,1274
1	ისრაელის საკალი	ILS	0,4354
1	კანადური დოლარი	CAD	1,4077
1	ლატვიური ლატი	LVL	2,9891
10	ლიტვიური ლიტი	LTL	6,1064
10	მოდონური ლატი	MDL	1,5920
1	ნორვეგიული კრონი	NOK	0,2430
1	პოლონური ზლოტი	PLZ	0,5828
1	რუმინული ლეი	RON	0,5654
1	რუსული რუბლი	RUB	0,0612
1	სინგაპურული დოლარი	SGD	1,1079
100	სომხური დრამი	AMD	0,5420
1	ტაივანური სომონი	TJR	0,4851
1000	უზბეკური სომი	UZS	1,2220
10	უკრაინული გრივნა	UAG	2,8456
100	უნგრული ფორინტი	HUF	0,7933
1	კავშირთაური დინარი	KWD	6,1145
10	ყაზახური ტენგი	KZT	0,1376
10	ყირგიზული სომი	KGS	0,4235
1	შვედური კრონი	SEK	0,2118
1	შვეიცარიული ფრანკი	CHF	1,4033
1	ჩინური კრონი	CZK	0,0843
1	ჩინური იუანი	CNY	0,2417
1	ჰონგ-კონგური დოლარი	HKD	0,2129



კალაძე მთავრობისგან თანადგომას ითხოვს

მანანა ვარდიანელი

კახი კალაძის არსენალ დეველოპმენტი" იმ პრობლემურ საინვესტიციო ხელშეკრულებათა სიაში მოხვდება, რომლებსაც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ახლად შექმნილი ხელშეკრულებების მონიტორინგის დეპარტამენტი შეისწავლის. ცნობილი ფეხბურთელი აღიარებს, რომ არსენალის პროექტთან დაკავშირებით ინვესტორებთან სერიოზული პრობლემები შეექმნა და საქართველოს მთავრობისგან დახმარებას და თანადგომას ითხოვს. თანადგომაში პროექტის დაწყების თარიღის და თანხის დაფარვის ვადის გახანგრძლივება იგულისხმება.

გამომცემი B3 გვერდი



საქართველო ერთ დიდ სამხანაბლო მოედნად გადაიქცევა

სოფო ჩიხლაძე

2009 წელს საქართველოში მხოლოდ გზების მშენებლობაში 30 ათასი ადამიანი დასაქმდება. მიმდინარე წელს გზების მშენებლობაში 12 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა პრეზიდენტთან შეხვედრისას განაცხადა. კანცელარიაში გამართულ შეხვედრას, პრემიერ-მინისტრთან ერთად, საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარე რამაზ ნიკოლაიშვილი და სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში დავით ტყეშელაშვილი ესწრებოდნენ.

პრეზიდენტმა საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარისგან მოისმინა, თუ რას გეგმავს დეპარტამენტი 2009 წელს. რამაზ ნიკოლაიშვილის განცხადებით, მიმდინარე წელს საქართველოში გზების მშენებლობისთვის 521 მილიონი ლარია გამოყოფილი. 7 მილიონი ლარი გათვალისწინებულია რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციისთვის. გვირაბის რეაბილიტაცია 2 წელიწადში დასრულდება, რისთვისაც საერთო ჯამში 10 მილიონი ლარია საჭირო. რიკოთის გვირაბში იგეგმება ვენტილაციის და განათების სისტემის შეცვლა. უკვე აგვისტოს თვეში ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებული იქნება, - ამბობს გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რამაზ ნიკოლაიშვილი.

როგორც პრეზიდენტთან შეხვედრისას გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, თელავის მიმართულ გზაზე ახალი გზა გაკეთდება, რომლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგაც თბილისიდან თელავამდე მანძილის დაფარვა საშუალო სიჩქარით 55 წუთში იქნება შესაძლებელი. ეს გზა დაიწყება ვაზიანში და თელავში ჩავა. ჩვენ გეგმავთ რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, მაგრამ გომბორის მიმართულება ავარ-



ჩიეთ. ამ გზის მოცულობა იქნება 68 კილომეტრი, რომელიც ძალიან ბევრ დასახლებულ სოფელზე გაივლის. ამ გზის მეშვეობით საათსა და ათ წუთს მოვიგებთ ანუ ეს გზა თელავში 55 წუთში ჩავიყვანს, - ამბობს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე.

პრეზიდენტი სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით გზის მშენებლობითაც დაინტერესდა. როგორც ნიკოლაიშვილი აცხადებს, მშენებლობის პროექტი დასრულებულია. გზის ამ მონაკვეთზე ხიდის აშენება იგეგმება. პროექტზე 50 მილიონი ლარი დაიხარჯება. თანხის ნაწილი მილენიუმის პროგრამიდან არის გამოყოფილი, ნაწილი კი საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან.

რაც შეეხება გოდერძის გზას, ნიკოლაიშვილის განცხადებით, ამ გზის დაპროექტება თვე-ნახევარში დასრულდება. საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თქმით, გოდერძის უღელტეხილზე გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ აქ

შესაძლებელი იქნება ზუსტად ისეთი კურორტის გაკეთება, როგორც გუდაურშია. 10 წლის შემდეგ ბათუმში 200 ათასი ადამიანი იცხოვრებს, ფოთში - 100-150 ათასი ადამიანი. ბათუმი და ფოთი ფაქტობრივად ერთი დიდი მეგაპოლისი გახდება. ეს მეგაპოლისი, გარდა იმისა, რომ კარგი გზებით დაკავშირებული იქნება და ნარჩენ საქართველოსთან, თურქეთის მთავარ ავტობანთან და დაკავშირებული იქნება თბილისთან ჩქაროსნული რკინიგზით, ამ მეგაპოლისს ექნება ტურისტული ინფრასტრუქტურა სათხილამურო კურორტის სახით. ბათუმიდან გოდერძის ამ წერტილამდე 40-45 წუთში იქნება შესაძლებელი მისვლა. ეს ადგილი 2-ჯერ უფრო ახლოს არის ბათუმთან, ვიდრე თბილისიდან გუდაურამდე მანძილია. აქ დაისვენებენ ის ტურისტები, რომლებიც თურქეთში მიდიან, სადაც ბევრად უფრო ნაკლები კურორტებია, ასევე ჩამოვლენ ტურისტები, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ა.შ. დასაქმდება მოსახლეობა... რე-

ლურად ამ გზის აშენების შემდეგ იქ ტურისტული ინფრასტრუქტურა განვითარდება, - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

გუშინდელ შეხვედრაზე ყურადღება რეგიონული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელ გზებზე გამახვილდა. 2009 წელს საქართველოში 618 კილომეტრი სოფლებთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია იგეგმება, რომელიც, 160 სოფელს გაივლის. 521 მილიონი ლარიდან 120 მილიონი სოფლის გზების რეაბილიტაციისათვის არის გათვალისწინებული. ეს არის სოფლის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი... საქართველოში პირველი შემთხვევაა, როცა სოფლის გზებზე ამ მასშტაბის სამუშაოები ჩატარდება, - ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი.

სავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით, სოფლებთან მიმავალი გზების რამდენიმე მონაკვეთზე ექსპერიმენტის სახით ბეტონის დაგება იგეგმება, რისთვისაც სამი რეგიონი შეირჩევა. ამაში კი საქართველოს გერმანელი სპეციალისტები დაეხმარებიან.

გუშინდელ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურაში ჩადებული ფინანსები საქართველოს ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესია. მთავარი, რაც ახლა უნდა გავაკეთოთ, მაქსიმალურად სწრაფად უნდა დაიწყოს მუშაობა. იაფი კრედიტის გაცემას, როგორც შეგვეძლება, გავაგრძელებთ. უცხოურ დახმარებას რაც შეეხება, ეს თანხა ისეთ საქმეში უნდა დაეხმარებოდეს, რაც შთამომავლობას დარჩება, ეკონომიკას ამოძრავებს და ხალხს მისცემს საშუალებას, რომ თვითონ გააკეთოს ფული. ინფრასტრუქტურაში ჩადებული ფინანსები ეს არის საქართველოს ეკონომიკის, თითოეული ოჯახის და ფირმის მომავალში ჩადებული ფული, მაგრამ დღეს ეს ასევე

არის კონკრეტული ადამიანების დასაქმების ძალიან მნიშვნელოვანი საშუალება... სხვათა შორის, ობამას სტიმულირების პაკეტშიც არის ჩადებული გზები, ინფრასტრუქტურა, ენერჯეტიკა, ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, თუმცა ბევრად უფრო დიდი მასშტაბის... როცა არის კრიზისი, ან კრიზისის საფრთხე - ეს არის მეთოდი, რომ თავიდან ავიცილოთ ყველაზე უარესი, მით უმეტეს - ჩვენსაირი ქვეყნისთვის, ვთქვათ, იგივე უკრაინული, რუსული ან აღმოსავლეთ-ევროპული ქვეყნების სინდრომი... მოვახერხებ ჩვენი ენერჯეტიკის ამუშავება და იმედია, ზამთრის ბოლომდე სიძნელეებით, მაგრამ კარგად მომარაგებული მივალთ. არ დავემსგავსებთ ბულგარეთს, სერბეთს, უკრაინას და სხვა ქვეყნებს, რომლებიც უბრალოდ იყინება. იმის გამო, რომ თავის დროზე არ იზრუნეს ენერჯეტიკულ დამოუკიდებლობაზე... ჩვენ მყარი კურსი შევიწარმინეთ... ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა ჩვენი ეკონომიკა რეცესიისგან უნდა დაიცვას. ჩვენ ბოლო 2-3 თვის განმავლობაში ეკონომიკის შემცირების საფრთხე გვექონდა, ამიტომ მომდევნო რამდენიმე თვე ამ მხრივ უკიდურესად რთული გვექნება. მაგრამ თუ ყველაფერი დროზე გაკეთდება, თუ ყველა ტენდერი დროულად ჩატარდება, მივალწევთ იმას, რაზეც ვსაუბრობდით - საქართველო გადაიქცევა ერთ დიდ სამშენებლო მოედნად, - ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

რაც შეეხება საქართველოში გზების მშენებლობას, ამისთვის, როგორც თავში აღნიშნეთ, მიმდინარე წელს 521 მილიონი ლარია გამოყოფილი. საავტომობილო გზების დეპარტამენტი გზების მშენებლობასთან დაკავშირებით პირველ ტენდერს, რომლითაც 315 მილიონი ლარის დახარჯვა იგეგმება, 2 დღეში გამოაცხადებს, ტენდერში გამარჯვებული კომპანიების ვინაობა კი ერთ თვეში გახდება ცნობილი.

"აკვა ვივას" ჭილდო ბიზნესოლიმპიადის გამარჯვებულებს

ლიკა ჭოხაძე

ბიზნესის განათლების პოპულარიზაციისა და ნიჭიერი სტუდენტების წახალისების მიზნით, 2008 წლის ოქტომბერში მე-4 სტუდენტური ბიზნესოლიმპიადი დაიწყო. სამთავიანი პროექტის დასკვნითი ეტაპი - გამარჯვებულების დაჯილდოება გუშინ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში გაიმართა. ბიზნესოლიმპიადის იდეის ავტორი ტარიელ ზივზივაძე ამბობს, რომ ოლიმპიადის მიზანი სტუდენტების განვითარებასა და შემდგომ უკვე რეალურ ბიზნესში მათ დამკვიდრებას ემსახურება. სტუდენტებისთვის დამატებითი სტიმულირების მექანიზმი ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ფაქტორის გათვალისწინებით ოლიმპიადის შექმნის იდეა გამიჩნდა და ვფიქრობ, რომ მისი შედეგი საკმაოდ დიდია. ეს გახლავთ ვირტუალური ბიზნესგარემო, სადაც სტუდენტები დამოუკიდებლად და ასევე გუნდურობის პრინციპით მონაწილეობენ. ისინი წარ-



მოადგენენ კომპანიებს, რომელნიც ვირტუალურად და, ამასთან, რეალური კონკურენციის პირობებში იბრძვიან დამკვიდრებისთვის. ჩვენი ოლიმპიადი სტუდენტებს ბევრ

იმ ნიუანსსა და უნარებს უღრმავებს, რაც შემდგომ უკვე მათ რეალურ საქმიანობაში ძალიან დაეხმარებათ, - განაცხადა ბიზნესოლიმპიადის იდეის ავტორმა.

აღნიშნული პროექტის დადებით მხარეებზე თავად სტუდენტებიც საუბრობენ და ამბობენ, რომ ამ ინოვაციური პროექტის მეშვეობით მათ ძალიან ბევრი რამ შეითვისეს. სოფო ტოგონიძე ბიზნესოლიმპიადის ერთ-ერთი გამარჯვებულია. ის ამბობს, რომ კონკურსში მონაწილეობა მისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა და ყველას ბიზნესოლიმპიადი მონაწილეობისკენ მოუწოდებს. სამი თვის განმავლობაში ვთამაშობდი ბიზნესოლიმპიადის იდეას, მცირე ხნის მიუხედავად, საკმაოდ დიდი გამოცდილება და ცოდნა შევიძინე. თამაში ძალიან საინტერესო იყო, რადგან ბევრ ძლიერ კონკურენტთან შებრძოლება მიწვედა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მეორე ადგილზე გავდი. კარგი იქნება, თუ ეს ოლიმპიადი საერთაშორისო ხასიათს მიიღებს, მაშინ მასში მონაწილეობა კიდევ უფრო დიდი სტიმულის მომცემი იქნება, - აღნიშნა სოფო ტოგონიძემ.

30-მდე სასწავლებლის 307 სტუდენტისგან შემდგარი 90 გუნდის (მათ შორის ერთი გუნდი შევი-

ცარიიდან) ბიზნესოლიმპიადი მონაწილეობა საქართველოს ბანკისა და აკვა-ვივას სპონსორობით განხორციელდა. დაჯილდოების ცერემონიაზე აკვა-ვივამ პრიზის სახით 1000 ლარი გადასცა, გარდა ამისა, მან ბიზნესოლიმპიადის ვებ-გვერდის შექმნაც დააფინანსა, რომლის პრეზენტაციაც გუშინ შედგა. აკვა-ვივამ სამ საუკეთესო გუნდს ელიტ ელექტრონიკის სამი სასაჩუქრე სერტიფიკატიც გადასცა, საქართველოს ბანკმა კი გამარჯვებულები 2000 ლარით დააჯილდოვა.

ჩვენი ახალი პროდუქტი აკვა ვივა, რომელიც დახლებზე აგვისტოში გამოჩნდა, სრულიად სხვა სემენტზე-ახალ თაობაზეა გათვლილი. სწორედ ამიტომ, აკვა-ვივა ბიზნესოლიმპიადის სპონსორობას სიხარულით დათანხმდა. ეს აკვა-ვივასთვის პირველი ასეთი გრანდიოზული პროექტია და, ვფიქრობ, მომავალშიც გავაგრძელებთ ამ კუთხით მუშაობას, - კომპანია ბორჯომის მართვის ინოვაციების მენეჯერმა გიგა ვამაკიძემ.

კალაქი მთავრობისგან თანადგომას ითხოვს

პირველი გვერდიდან

უფრო ადრე კი კალაქი საპრივატიზაციო აუქციონზე შექცეული მიწის ნაკვეთის ნაწილის უკან დაბრუნებასაც ითხოვდა. მთავრობა მის მოთხოვნას არ დაეთანხმა.

კახი კალაქი პროექტის შეჩერების მიზეზად 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ საომარ მოქმედებებსა და გლობალურ ფინანსურ კრიზისს ასახელებს. კალა დეველოპმენტის არსენალის პროექტის განსახორციელებლად 2-მილიარდიანი ინვესტიციის მოზიდვას გეგმავდა. თუმცა კალაქის პარტნიორმა ინვესტორებმა მინიქალაქის მშენებლობისთვის შექცეული 80 ჰა მიწის ფართობის მთლიანი ღირებულებიდან მხოლოდ 19 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადეს, დანარჩენი თანხის ჩამდები კი არ ჩანს. არსენალ დეველოპმენტის მენეჯმენტს პროექტის მთლიანი ღირებულება 2012 წლისთვის უნდა დაეფარა.

კახი კალაქში კალა კაპიტალი 2008 წლის მარტში დააფუძნა. კალა კაპიტალი სამ კომპანიას - კალა დეველოპმენტს, კალა ენერჯისა და პროგრეს ბანკს აერთიანებს. კალა კაპიტალის ყველაზე მასშტაბური პროექტი რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზისა და სამხედრო ქარხანა არსენალის ტერიტორიაზე მინიქალაქის აშენებას

უკავშირდებოდა. თბილისში, გედევანიშვილის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი (სულ 772, 958 კვ.კმ.) კომპანია კალა დეველოპმენტმა 2008 წლის დასაწყისში 38,02 მლნ. აშშ დოლარად იყიდა. აუქციონზე გამოტანილი არსენალის ტერიტორიის და შენობა-ნაგებობების საწყისი გასაყიდი ფასი 38 მლნ. აშშ დოლარი იყო.

საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კალა დეველოპმენტმა ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიის ორ ჰექტარზე 60 000 კვ. მ. ფართობის სამთავრობო კომპლექსი უნდა ააშენოს. ახალ კომპლექსში გადასვლას მთავრობის კანცელარია და რამდენიმე სამინისტრო გეგმავდა. კომპლექსის მშენებლობის მასშტაბური ღირებულება 30 მლნ. აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო. პროექტი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმდა.

ხელშეკრულების თანახმად, კალა დეველოპმენტმა მთავრობის ახალი კომპლექსის მშენებლობა აუქციონის ჩატარებიდან 4 წლის ვადაში უნდა დაასრულოს და ის სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცეს. კომპლექსი ნებისმიერი მოთხოვნისგან თავისუფალი, უფლებრივად უნაკლო და დაუტყვევრთავი უნდა იყოს. კალა დეველოპმენტს ვალდებულია, პრი-

ვატიზებულ ობიექტზე 9 წლის განმავლობაში 700 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელოს. ინვესტირების გრაფიკი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმდა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, რომ კახი კალაქის არსენალ დეველოპმენტს, 2008 წლის 19 დეკემბრის მდგომარეობით, საპრივატიზაციო ხელშეკრულების დარღვევისთვის ბიუჯეტის სასარგებლოდ 931 080 აშშ დოლარის ჯარიმა ეკისრება. სამინისტროსა და კალა კაპიტალს შორის დადებული ხელშეკრულებით, კომპანიის მენეჯმენტს 2008 წლის 15 სექტემბრამდე 9,490 მილიონი აშშ დოლარი უნდა დაეფარა.

თანხა დღემდე გადახდილი არ არის. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი საქართველოს მთავრობისგან პროექტის დაწყების თარიღის და გადასახდელი თანხის გადავადებას ითხოვს. კალაქში მიიჩნევენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების გამო საქართველოს მთავრობა ასეთი მასშტაბური პროექტის დაკონსერვებას არ დაუშვებს. საქართველოს მთავრობა ცნობილი ქართველი ფეხბურთელის თანადგომას არ ჩქარობს. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განმარტავენ, პროექტის ინვესტირებაში შექმნილ ფორსმაჟორს კახი კალაქი ვერ

ასაბუთებს.

კალა კაპიტალმა სხვა პროექტებიც შეაჩერა. მისმა შვილობილმა კომპანია კალა ენერჯიმ ამერიკულ კომპანია ტოტ ენერჯისთან ერთად ერთობლივი საწარმო ტოტ ენერჯი დააფუძნა. ის საქართველოში ნავთობისა და გაზის მოპოვებას და სხვადასხვა ენერგობროექტების განხორციელებას გეგმავდა. ამ პროექტების განხორციელებაც გაურკვეველი ვადით გადაიდო. კალა ენერჯის პარტნიორმა ბრიტანულმა საინვესტიციო კომპანიამ კი ყაზრანსგაზთბილისის წილის შესყიდვა გადაიფიქრა.

კახი კალაქის კიდევ ერთი ბიზნესპროექტი პროგრეს ბანკს უკავშირდებოდა. პროგრეს ბანკს ამბიციური გეგმა ჰქონდა - ის ქვეყნის ნომერ პირველ საფინანსო ინსტიტუტად გადაქცევას და რამდენიმე ბანკის შერწყმასაც აპირებდა. თუმცა აგროინვესტ ბანკთან დაგეგმილი გაერთიანება არ შედგა. როგორც კალა კაპიტალში განმარტეს, გლობალური საფინანსო კრიზისის ფონზე აგროინვესტ ბანკმა საინვესტიციო მიზიდვებზე დაკარგა. პროგრეს ბანკის აქტივები 12,2 მილიონ ლარს შეადგენდა. ამ ეტაპზე ის კომერციული ბანკების რეიტინგში ბოლო ადგილზე იმყოფება.

საქართველოში ბინებზე ფასები 15 პროცენტით შემცირდა, მოსკოვში - 30 პროცენტით

ენო ნატროშვილი

ეკონომიკურმა კრიზისმა ზეგავლენა უძრავი ქონების ბაზარზეც მოახდინა. თანდართულმა რეცესიამ ბინებზე ფასების დაწვევა განაპირობა. თუმცა კრიზისის შედეგები უძრავი ქონების ბაზარზე ჯერ სათანადოდ არ არის გამოკვეთილი. ამ სეგმენტში ცვლილებები უფრო თვალშისაცემი ექვსი-ცხრა თვის განმავლობაში გახდება.

2008 წელს განვითარებული მოვლენების თანახმად, რუსეთის უძრავი ქონების ბაზარზე მოღვაწე რეალტორები უფრო მძიმე შედეგებს ელოდნენ, ვიდრე ეს არსებულმა სტატისტიკამ აჩვენა. უკვე აშენებულ სახლებში ფართის ფასი ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამჯერ გაძვირდა.

გასული წლის მონაცემებით, მშენებარე ბინების ფასი 17 პროცენტით გაიზარდა და ერთ კვადრატულ მეტრზე 121 ათასი რუბლი შეადგინა, ხოლო მეორად ბაზარზე ფასები 40 პროცენტით გაიზარდა და 169 ათას რუბლს გაუტოლდა. ექსპერტების შეფასებით, ყველაზე მეტად გაიზარდა ფასები მეორად ბინებზე, კერძოდ, ეკონომ-კლასზე - 39 პროცენტით, ბიზნეს-კლასზე - 29 პროცენტით, ელიტარულ სეგმენტზე კი - 28 პროცენტით.

თუმცა, ამ მოსაზრებას არ ეთანხმება რუსი ექსპერტების ნაწილი, რადგან არსებული კრი-



ზის ფონზე მშენებლებმა და გაყიდვების სააგენტოებმა მყიდველს მაქსიმალური ფასდაკლება შესთავაზეს, რომელიც დაახლოებით 30 პროცენტს გაუტოლდა. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევენ, რომ ახლანდელი კრიზისი უძრავი ქონების ფასებზე უფრო ძლიერად იმოქმედებს, ვიდრე ეს 1998 წლის დეფოლტის დროს მოხდა. მაშინ ბინების ფასი მოსკოვში დაახლოებით 35 პროცენტით შემცირდა. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ბინებზე ფასის დაცემა, რომელიც 2008 წელს დაიწყო, გამოწვეული იყო ბინებზე მოთხოვნის შემცირებით. ამის მიზეზი კი ბანკების მიერ იპოთეკური პროექტების შეჩერება გახდა. ექსპერტების აზრით, ბინების გათავისუფლება მიზეზი კიდევ ერთი ფაქტორი გახდება, კერძოდ, მოსახლეობის გადახდისუნარიობა, რაც დღითიდღე უფრო

თვალსაჩინო ხდება. საქართველოში კი უძრავი ქონებაზე ფასი, სამშენებლო კომპანია არსის ინფორმაციით, 10-15 პროცენტით შემცირდა. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მშენებარე ბინების გათავისუფლება იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ საშენ მასალებზე ფასების კლების ტენდენცია გაგრძელდება. 2006-2007 წლებთან შედარებით, აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ, სამშენებლო კომპანიებს გაყიდვები საგრძნობლად შეუმცირდა. ნოემბერ-დეკემბერში კომპანიამ 728 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი გაყიდა, აქედან 315 კვადრატული მეტრი ფართზე მიიღო. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ გაყიდვების მაჩვენებელზე მწვავედ ზემოქმედებს საგრძნობლად შემცირებული იპოთეკური

კრედიტები.

ამიტომ კომპანიამ მომხმარებელს საახალწლოდ გრძელვადიანი განვადების სისტემა შესთავაზა, რომელიც ამ ეტაპზე ბაზარზე უპრეცედენტოა - 15-წლიანი კრედიტის მისაღებად ბინის ყიდვის მსურველმა მხოლოდ პირადობის მოწმობა უნდა წარადგინოს.

კომპანია ცენტრ-პოინტმა კი რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. თავის განაცხადში კომპანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დაუმთავრებელი შენობების შესყიდვას ითხოვს.

კომპანიაში ამ გადაწყვეტილების მიზეზად ბინებზე არსებულ მზარდ მოთხოვნას ასახელებენ. კომპანიის ხელმძღვანელმა მიაჩნია, რომ მშენებარე ბინების გათავისუფლება ბაზარზე არსებულ პრობლემებს განაეიტრალებს, თანაც დედაქალაქის გარკვეულ რაიონებში ბინებზე ფასი საკმაოდ დაბალი იქნება.

ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს, 1 კვადრატული მეტრი ფართი 100 დოლარად იყიდოს. თუმცა, რა პოზიცია ექნება ამასთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ჯერ უცნობია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია 1 კვ მეტრს 100 დოლარად იყიდის, უკვე აშენებულ შენობაში 1 კვ მეტრის საბაზრო ფასი 350 დოლარი იქნება.

ჩინეთი გლობალური ფინანსური კრიზისიდან გამოსული პირველი ქვეყანა იქნება

ჩინეთი შეიძლება პირველი ქვეყანა იყოს, რომელიც გლობალური ფინანსური კრიზისიდან გამოვა, - განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ვენ ცზიბაომ. პრემიერი იმას ეყრდნობა, რომ უახლოეს ორი თვეში ქვეყანაში კრიზისთან ბრძოლის და ეროვნული ეკონომიკის სტიმულირების დამატებითი ღონისძიებები იქნება მიღებული.

ამ თემაზე მან აღმოსავლეთ პროვინცია ცზიანსუში ვიზიტისას ისაუბრა. ჩვენი მიზანია, ფინანსური კრიზისიდან პირველები გამოვიდეთ. ჩვენ უნდა გვჯეროდეს და მივიწინააღმდეგოთ ამისკენ, - განაცხადა ვენ ცზიბაომ, იუნყეხა სააგენტო სინსუანი.

ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში, უკანასკნელ პერიოდში, დროში ფისკალური ღონისძიებების მიღება ხდება და ზომიერად თავისუფალი სამონეტო პოლიტიკა ტარდება.

მისი თქმით, მთავრობას ღონისძიებების მორიგი პაკეტი აქვს მზად, რომელიც იმ 9 ძირითადი დარგის მხარდაჭერისკენ არის მიმართული, რომელიც შექმნილ სიტუაციაში ყველაზე მეტად დაზარალდა, მათ შორის 6 დიდ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროექტში, რომელიც გათვალისწინებულია საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაზე და 600 მლრდ იუანის ჩადება იგეგმება. უახლოეს დროში საავტომობილო სექტორის დახმარების ღონისძიებების შესახებ გამოცხადდება, ნაწილობრივ ავტომობილების გაყიდვების გაზრდა-შეძენაზე გადასახადების შემცირების გზით.

ჩინეთის ეკონომიკის ზრდის შემცირება ნახევარი წლის წინ დაიწყო, როცა ექსპორტი შემცირდა, რომელზეც ფაქტობრივად ქვეყნის წარმება დამოკიდებულია. ნოემბერში, უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში, ქვეყნის ექსპორტმა შემცირების ტენდენცია პირველად აჩვენა, ხოლო გასული წლის 11 თვის განმავლობაში ჩინეთის სამრეწველო წარმოების ზრდა 5,4%-ით შემცირდა და უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწია.

2008 წლის დეკემბრის მაჩვენებელმა ჩინეთის ხელისუფლება გაახარა, რადგან, ვენ ცზიბაოს თქმით, შედეგი მოსალოდნელზე უკეთესი იყო. პრემიერის თქმით, ეს ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული სიტუაციის სტაბილიზაციის ღონისძიებების შედეგია, რომელთა შორის, 2009 წლის 9 იანვარს გამოცხადებული ანტიკრიზისული ღონისძიება 586 მლრდ დოლარის ოდენობისაა. ჩინეთის მიერ ელექტროენერჯის მოხმარება კი ეკონომიკის ერთ-ერთი ინდიკატორია.

ნოემბერთან შედარებით, დეკემბერში 6,8%-ით გაიზარდა, მაშინ, როცა პირველად, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ოქტომბერში სექტემბერთან შედარებით ეს მაჩვენებელი 4%-ით შემცირდა. ეკონომიკის განვითარების აზრით, ჩინეთის ეკონომიკა 2009 წლის მეორე და მესამე კვარტალში ნორმალური იქნება. **ჯი-იჩი-ენი**

ყაზახეთში 25-მა საწარმომ საქმიანობა შეაჩერა

2009 წლის დასაწყისის მდგომარეობით, ყაზახეთში 25-მა საწარმომ საქმიანობა შეაჩერა, - განაცხადა ყაზახეთის მოსახლეობის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ბერდიბეკ სპარბაევმა. ეს განაცხადება მან მთავრობის სხდომაზე გააკეთა. ნაწილობრივი დასაქმების პირობების საწარმოების რაოდენობამ 234 შეადგინა.

მათში 72 ათას ადამიანზე მეტი მუშაობს. აქედან 28 ათასი დროებით შევებულია ან არასრული სამუშაო დღის რეჟიმში იმყოფება. დასაქმების პრობლემის გადასაწყვეტად, სპეციალური უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფია შექმნილი, რომელიც გათავისუფლებული მუშების შრომითი მონაწილეობაზე, მათ პროფესიულ მომზადებაზე, დროებითი სამუშაო ადგილების შექმნაზე მუშაობს.

ასევე სოციალური დაზღვევის ფონდიდან საწარმოების თანამშრომლებს დახმარებას უხდის, - განაცხადა მინისტრმა. მინისტრის თქმით, წელს ყაზახეთის რესპუბლიკის შიდა შრომის ბაზრის დასაცავად უცხოურ სამუშაო ძალაზე კვოტა ორჯერ შემცირდება. **ჯი-იჩი-ენი**

მსოფლიო აკო მერყევი ხას

აზერბაიჯანი თურქეთს 6.6 მლრდ კუბურ მეტრს გაზს მიაწვდის

2009 წელს თურქეთში, საბადო "შაჰდენიზზე" მოპოვებული გაზის მიწოდება 6,6 მლრდ კუბურ მეტრს შეადგენს. ეს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ყიდვა-გაყიდვის შეთანხმებით, პროექტ "სტადია-1"-ის ფარგლებში გათვალისწინებული მაქსიმალური მოცულობაა, აღნიშნულია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის განცხადებაში.

ამჟამად საბადო "შაჰდენიზზე" მოპოვებული გაზის მიწოდების ყოველდღიური მოცულობა 22 მლნ კუბური მეტრია, საიდანაც 15 მლნ კუბური მეტრის ექსპორტირება თურქეთში ხდება, ხოლო 6 მლნ-ის - აზერბაიჯანში.

თებერვალში თურქეთში გაზის ექსპორტმა დღეში 18 მლნ კუბურ მეტრს უნდა მიაღწიოს.

თურქეთში ბუნებრივი აირის ექსპორტი ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენით ხორციელდება, რომლის ოპერატორი ბრიტანული კომპანია BP-ია.

საქართველო თურქეთში მიწოდებული აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტისთვის 5%-ს იღებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

სომხეთს საქართველოს გავლით რუსული გაზის მიწოდება აღუდგა

სომხეთს, საქართველოს ტერიტორიის გავლით, რუსული გაზი უკვე მიწოდება. "არმროს-გაზპრომ" პრესსამსახურის ინფორმაციით, "გაზსადენზე სარემონტო სამუშაოები დასრულდა და გაზმა რესპუბლიკაში შემოსვლა დაიწყო."

"არმროსგაზპრომის" წარმომადგენელი აცხადებს, რომ დღეისთვის სომხეთის გაზის ყოველდღიური მოხმარება 8,5-9,0 მლნ კუბური მეტრია და გაზსადენზე მომხდარი ავარიის დროს მოხმარებლის უზრუნველყოფა რეზერვების ხარჯზე ხდებოდა.

"არანაირი შეზღუდვა არ გვქონდა. ჩვენ კიდევ უფრო რთული სიტუაციის გადალახვა და 10-15 დღის განმავლობაში რესპუბლიკის გაზით უზრუნველყოფა შეგვეძლო. ასე რომ, ამ დღეებშიც არანაირი პრობლემა არ იყო," - განუცხადეს სააგენტო "რია ნოვოსტის" "არმროსგაზპრომის" წარმომადგენლებმა. სომხეთს საქართველოს ტერიტორიის გავლით გაზის მიწოდება 9 იანვარს, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენის დაზიანების გამო შეუწყდა. ავარიის ლიკვიდაციაში დახმარება ქართულ მხარეს "გაზპრომმა" და "არმროსგაზპრომმა" შესთავაზა.

საქართველოს გაზის ტრანსპორტიორ კომპანიაში განაცხადეს, რომ კომპანიამ გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები საკუთარი ძალებით ჩაატარა. "არმროსგაზპრომს" სომხეთის შიდა ბაზარზე რუსული გაზის მიწოდებისა და განაწილების მონოპოლიური უფლება აქვს. კომპანია 1997 წელს შეიქმნა. მისი აქციონერები "გაზპრომი" - 75,55%, სომხეთის ენერჯეტიკის სამინისტრო - 20% და კომპანია "იტერა" - 4,45% არიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

პირველი გვარდიანს

მსგავსი რამ საქართველოში არ ხდება - ქვეყნის მთავრობის განაცხადით 4-პროცენტის ზრდაა მოსალოდნელი.

წინასწარი პროგნოზით, რეცესიის დროს მოსალოდნელია, რომ დაქირავებულთა ორმა მესამედმა სამუშაო ადგილი დაკარგოს. უკვე აღარ კამათობენ იმაზე, რომ ნავთობის ფასი შემცირდება და ერთი ბარელი საშუალოდ 50 დოლარს გაუტოლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელს მსოფლიოში წარმოება შემცირდება.

რა პროცენტები ვითარდება რეცესიის დროს? რეცესია პეტიოდას, როდესაც რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი მცირდება ზედიზედ ორი კვარტლის (6 თვის) განმავლობაში. საქმიანი აქტივობის ბუმის შემდეგ მომხმარებლები და საწარმოები ხარჯების შემცირებას იწყებენ. საწარმოები სამუშაოდან მუშაკებს ითხოვენ, ამცირებენ ნედლეულის შესყიდვის მოცულობას, წარმოებას კეცენ, რადგან საქონლის ზედმეტი მარაგი აქვთ. ფირმა ახალ მანქანა-დანადგარებს და შენობებში ინვესტირებას ძველი ფაბრიკებისა და მოწყობილობის გამოყენებას ამჯობინებს. ზოგიერთმა საწარმომ და მომხმარებელმა შეიძლება საკუთარი ხარჯებიც კი შეამციროს იმის გამო, რომ ეკონომისტები მომავალი რამდენიმე თვის განმავლობაში საქმიანი აქტივობის შენელებას ვარაუდობენ. რა მიზეზიც არ უნდა იყოს, საწარმოთა და მომხმარებელთა ხარჯების შემცირება რეცესიის დასაწყისის მოასწავებს.

ხარჯების შემცირებასთან ერთად, სხვა კომერციული ფირმებიც იწყებენ საქმიანო-



ბის მასშტაბის შეკვეცას. მათი წარმოების მოცულობა მცირდება, რასაც სამუშაოდან მეტი მუშაკის დათხოვნა მოჰყვება. დათხოვნის გამო მუშაკები, რომლებიც ამავე დროს მომხმარებლებიც არიან, ნაკლებს ხარჯავენ. ეს კიდევ ამცირებს წარმოებას, რაც სამუშაოდან მეტი რაოდენობის მუშაკთა დათხოვნას იწვევს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეცესიის პერიოდი 6-დან 18 თვემდე გრძელდებოდა.

ამ ეტაპზე საინტერესოა, მიმდინარე რეცესია რამდენხანს გაგრძელდება. 24 საათთან" საუბარში ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დავით ნარმანია ამბობს: მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი ყვე-

ლაზე მძიმე იქნება 2009 წლის პირველ ნახევარში და ყველა გათვლებით მისი შეჩერების ტენდენციას მხოლოდ მეორე ნახევარში უნდა ველოდოთ. იმ შემთხვევაში, თუ მშპ-ს ვარდნა ექვს თვეზე მეტხანს გაგრძელდა, მაშინ შედეგები უფრო მძიმე იქნება და რეცესიის შეჩერება დამოკიდებულია იმაზე, თუ რითია ეს გამონვეული - გარე თუ შიდა ფაქტორებით. რაც შეეხება საქართველოს, სამი თვის წინ რაც ხდებოდა, ეს აგვისტოს ომის შედეგებით იყო გამოწვეული. საქართველოს მთავრობის პროგნოზი, რომ მშპ 4 პროცენტით გაიზარდება, ზედმეტად ოპტიმისტურია. უკვე სახეზეა სამუშაო ადგილების

შემცირება, კომპანიები ხარჯებს ამცირებენ, ეს კი უკვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამოძახილია".

ბევრი ექსპერტი დაბეჯითებით აცხადებს, რომ საქართველოს მსგავსი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები მიმდინარე კრიზისის დროს გადარჩებიან. ნარმანია ამბობს:

მსგავს მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმები, რადგან ქართული ეკონომიკა გლობალურ ეკონომიკაში ნაკლებად არის ჩართული. ქართულ ბანკებში ევროპული კაპიტალია განთავსებული, ეს იმ უცხოური კომპანიების კაპიტალია, რომლებიც საფონდო ბაზრების მსხვილი მოთამაშეები არ არიან და, ამდენად, მათ გა-

დახატე სახლი
ერთი ხელის მოსმით

იყიდა სახლი
ერთი ხელის მოსმით

იკოთეკური სესხი

ერთი ხელის მოსმით

- ▶ მხოლოდ **14%-17%**
- ▶ სახლის ღირებულების **75%**
- ▶ სესხის ვალა **20** წლამდე

ლაგვირიათი: 177 77
ან იხილეთ: www.hsbc.ge
ან მოზარადით: რუსთაველის ბაზ. 15

HSBC

თქვენი ბანკი მთელ მსოფლიოში

გამოშვებულია სს 306 შს ბი ბი ბანკი საქართველოს მიერ

კოორდინაციის კონცეფცია

კოორდინაცია არ ემუქრებათ. გარდა ამისა, შიდა ბაზარი ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული და ადგილობრივი კომპანიები დიდი მასშტაბით არ არიან ჩართული მსოფლიო ეკონომიკაში.


ჩავარდნა. რეცესიის შემდეგ ეკონომიკა ციკლის ყველაზე დაბალ წერტილს აღწევს. ფაბრიკა-ქარხნები არასრული სიმძლავრით მუშაობენ, ხოლო უმუშევრობა მაღალ დონეზეა. გრძელდება საქონლისა და მომსახურების წარმოების საერთო მოცულობის შემცირება. ჩავარდნის ფაზა მძიმე დროა - სამუშაოს შოვნა ძნელია, მრავალი საწარმო კოტრდება. ეკონომიკური ციკლის ამ პერიოდში ფასები შეიძლება სტაბილური დარჩეს ან შემცირდეს, რადგანაც მოთხოვნა დაბალია.

აღმავლობა. გარკვეული დროის შემდეგ ეკონომიკა გაჯანსაღდება იწყებს. იგი საქმიანი ციკლის აღმავალ ფაზაში შედის. აღმავლობის პერიოდში საწარმოთა და მომხმარებელთა ხარჯები იზრდება. რაკი გრძელდება, რომ პირობები ესე არის უნდა გაუმჯობესდეს, საწარმოები წარმოების ზრდას იწყებენ. უმუშევრობა მცირდება, რადგანაც სამუშაოზე დამატებითი მუშაკები აწყავთ. ამას თავის მხრივ მოჰყვება მომხმარებელთა ხარჯების დონის ამაღლება და დასაქმების, წარმოების მოცულობისა და მოხმარების შემდგომი გადიდება.

საბოლოოდ, ეკონომიკა კიდევ ერთხელ აღწევს ბუმის სტადიას. ჩვეულებრივ, აღმავლობა, სულ მცირე, სამი წელი გრძელდება, თუმცა ყველაზე ხანგრძლივი აღმავლობა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში 1991 წლის მარტში დაიწყო და 2006 წლამდე გრძელდებოდა. იქამდე არსებული პროგნოზით მოსალოდნელი იყო სტაბილური ზრდა, შეზღუდული ინფლაცია და უმუშევრობის დაბალი დონე.

დეპრესია ეწოდება ეკონომიკური რესურსების საყოველთაო არასრული გამოყენების ხანგრძლივ პერიოდს: ქარხნები გაჩერებულია, მილიონობით მუშა სამუშაოს ვერ შოულობს და საწარმოთა გაკოტრების სისხირის კოეფიციენტი მაღალია. დიდი დეპრესია 1930 წლიდან 1940 წლამდე გრძელდებოდა. 1933 წელს 13 მილიონი კაცი იყო უმუშევარი - დაახლოებით ყოველი მეოთხე. ამავე წელს საწარმოთა გაკოტრების რაოდენობამ სარეკორდო დონეს მიაღწია. 4 ათასზე მეტი ბანკის დახურვის შემდეგ უამრავმა ადამიანმა თავისი ფულადი დანაზოვი დაკარგა.

მოსალოდნელია თუ არა, დიდი დეპრესია მიმდინარე ეკონომიკური კრიზისისა და განვითარებული საომარი მოქმედებების ფონზე გასული საუკუნის მსგავსად განვითარდეს. დავით ნარმანია ამბობს: **საერთოდ, ეკონომიკური კრიზისების შემდეგ იწყებოდა დიდი ომები. გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ერთი ცხადია: მსოფლიო**



საფონდო ბაზრებზე ინდექსები იმ მასშტაბით არ დაცემულა, რომ დიდ ეკონომიკურ კრიზისს ველოდოთ. მიმდინარე კრიზისის დადებითი მხარე ის არის, რომ მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ვირტუალური ეკონომიკა და პირამიდის პრინციპით ფინანსური ინსტრუმენტების მოზიდვა მარცხით დასრულდა.

2008 წელს გაერთიანებული ტელეკომის შეღავათით 5000-მდე აბონენტმა ისარგებლა. გაერთიანებული ტელეკომი ამ გზით ეხმარება მარტოხელა პენსიონერებს და მარტოხელა, ბავშვობიდან ინვალიდებს, რომელთაც მარჩენალი არ გააჩნიათ. პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდებს კომპანია სხვა ქსელთან საუბრისას თვეში 400 უფასო წუთს ჩუქნის, ისინი ბინის ტელეფონზე დადგენილი სააბონენტო ტარიფის 50%-ს იხდიან, ხოლო მარტოხელა პენსიონერებს და ბავშვობიდან ინვალიდებს, რომელთაც მარჩენალი არ გააჩნიათ, კომპანია თვეში 100 წუთს აჩუქებს სხვა ქსელში საუბრისას. მსგავსი სოციალური პროექტი უპრეცედენტოა საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე.

გაერთიანებული ტელეკომი 2009 წლის სტრატეგიულ გეგმებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

გაერთიანებული ტელეკომი 2009 წლის სტრატეგიულ გეგმებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

“2009 წელსაც გაერთიანებული ტელეკომის” 400.000 აბონენტი განაგრძობს შიდა ქსელით უფასოდ სარგებლობას. მოგეხსენებათ, უფასო სერვისი ამ ბაზარზე რამდენიმე წელია აღარ არსებობს. კვლავაც უფასოდ შეეძლება საუბარი რაიონში მცხოვრებლებს. უცვლელი რჩება აგრეთვე უკაბელო ტელეფონის თვიური სააბონენტო გადასახადი. გაერთიანებული ტელეკომის უკაბელო ტელეფონს დღეს 30 ათასი აბონენტი მოიხმარს. ისინი წუთობრივი ათვლის გარეშე საუბრობენ კომპანიის ქსელში ჩართულ 400.000 აბონენტთან. ქსელი ფარავს იმ ადგილებსაც, სადაც ფიქსირებული ან გაერთიანებული ტელეკომის” სატელეფონო კავშირი არასოდეს ყოფილა,” - ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანია განაგრძობს საქველმოქმედო აქციებს: შეღავათებით მოსარგებლე პირები 2009 წელს ისევ მიიღებენ 50%-იან ფასდაკლებას სააბონენტო ტარიფზე და უფასო წუთებს სხვა ქსელთან კავშირისას.

2008 წელს გაერთიანებული ტელეკომის შეღავათით 5000-მდე აბონენტმა ისარგებლა. გაერთიანებული ტელეკომი ამ გზით ეხმარება მარტოხელა პენსიონერებს და მარტოხელა, ბავშვობიდან ინვალიდებს, რომელთაც მარჩენალი არ გააჩნიათ. პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდებს კომპანია სხვა ქსელთან საუბრისას თვეში 400 უფასო წუთს ჩუქნის, ისინი ბინის ტელეფონზე დადგენილი სააბონენტო ტარიფის 50%-ს იხდიან, ხოლო მარტოხელა პენსიონერებს და ბავშვობიდან ინვალიდებს, რომელთაც მარჩენალი არ გააჩნიათ, კომპანია თვეში 100 წუთს აჩუქებს სხვა ქსელში საუბრისას. მსგავსი სოციალური პროექტი უპრეცედენტოა საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე.

კომპანიის მიერ შეთავაზებულმა ლიბერალურმა ტარიფებმა (მინიმალური პაკეტი 15 ლარი) რადიკალურად გააიფხვა ინტერნეტის ფასი საქართველოში და ათასობით ოჯახს საშუალება მისცა, ჩართულიყვნენ მსოფლიო გლობალურ ქსელში. ახალმა ტარიფმა, გარდა თბილისისა, ინტერნეტი ხელმისაწვდომი საქართველოს 16 ყველაზე დიდ ქალაქში (მარნეული, გარდაბანი, გორი, ქარელი, კასპი, ხაშური, ხარაგაული, ქუთაისი, სამტრედიო, ზესტაფონი, აბაშა, ხობი, ლანჩხუთი, ფოთი, სენაკი, ზუგდიდი, ბათუმი, ქობულეთი) გახადა.

“უამრავმა აქციამ აბონენტთა რიცხვი გაზარდა და დღეს, ერთწლიანი მუშაობის შედეგად, 40 ათას აბონენტს ვემსახურებით. შეუფერხებელი და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტურუნველყოფისთვის კომპანია თავის აბონენტებს ერთდროულად რამდენიმე ალტერნატიული არხით ემსახურება. “გაერთიანებულმა ტელეკომმა” მაღალი ტევადობის ინტერნეტმიერთება 2008 წელს განახორციელა გერმანიასთან (ფრანკფურტი), თურქეთთან და აზერბაიჯანთან და თავის აბონენტებს მაღალ სიჩქარიანი ინტერნეტს ყველაზე ლიბერალური ტარიფით სთავაზობს,” - ნათქვამია განცხადებაში.

2008 წლის დეკემბრის ბოლოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, გაერთიანებულმა ტელეკომმა თავის მომხმარებელს აუწყა, რომ ცვლილება შეეხებოდა მხოლოდ ფიქსირებული ტელეფონის მომხმარებელთა თვიურ სააბონენტო გადასახადს და ის 2009 წლის 1 იანვრიდან 8 ლარით უნდა განსაზღვრულიყო ნაცვლად სავარაუდო 12 ლარისა, რომელშიც გათვალისწინებული იყო საინვესტიციო ხარჯები ფიქსირებული ტელეკომუნიკაციების განვითარებაში.

მოგვიანებით, სხვადასხვა სახელისუფლო სტრუქტურის მოთხოვნით, გაერთიანებულმა ტელეკომმა ქვეყანაში არსებული რეალიზების გათვალისწინებით, გადაწყვიტა შეეცვალა რეალურ ხარჯებზე ორიენტირებული 8-ლარიანი სააბონენტო გადასახადი და ის კვლავ 5 ლარის ოდენობით განისაზღვრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით



„ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები“ აწარმოებს მსოფლიოში უანაღოგო პროდუქციას - ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს.

ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის მაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტური კომპოზიციები, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა

ფარდაგი და უამრავი ხელით ნაქარგი სუვენირი



თქვენ ხდებით ქართული ხალხური კულტურის აღორძინების თანამონაწილე

დუშეთი, ბასიკის ქ. №6

ტელ.: (995 32) 66 21 00, (995 32) 66 21 02

ნავთობის ფასი კვლავ შემცირდა

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი კვლავ შემცირდა. ნიუ-იორკის ბირჟაზე ლაით სვიჩ ქრად ოილის მარკის ნავთობის ფასი ერთ ბარელზე 3, 24 აშშ დოლარით შემცირდა და 37, 48 აშშ დოლარი შეადგინა.

ლონდონის ბირჟაზე ბრინთ ქრად ოილის მარკის ნავთობის ფასმა ერთ ბარელზე 1, 51 აშშ დოლარით დაიკლო და 42, 91 აშშ დოლარს გაუტოლდა.

ნავთობის საერთაშორისო ფასის კლება ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების შემცირებით არის გამოწვეული, რაც თავის მხრივ, მსოფლიოში შექმნილ ფინანსურ კრიზისს უკავშირდება. მედიანიუსი

2008 წლის იანვარ-ნოემბერში აქციზური მარკების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები 203 363 786, 75 ლარია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლის იანვარ-ნოემბერში აქციზური მარკების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები 203 363 786, 75 ლარს შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17,8 პროცენტით აღემატება.

გასული წლის იანვარ-ნოემბერში სულ 496 903 306 ცალი აქციზური მარკა იყო რეალიზებული. ადგილობრივი თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე 82 256 19,60; იმპორტული თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე 90 399 339,30; ადგილობრივი ალკოჰოლური სასმელებისთვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე 10 778 574,18; იმპორტული ალკოჰოლური სასმელებისთვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე 4 481 921,52; ადგილობრივი ლუდისთვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე 11 620 014,72; ხოლო იმპორტული ლუდისთვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე აქციზის ფიქსირებული გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 3 827 737,43 ლარია მოხილებული. მედიანიუსი

გერმანიაში საერთაშორისო გამოფენა გაიხსნება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 16 იანვარს ბერლინში საერთაშორისო გამოფენა მწვანე კვირული გაიხსნება. მასზე სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის პროდუქტები: თევზი, ხორცისა და რძის პროდუქტები, ლუდი, ღვინო, სხვა სპირტიანი სასმელები, ჩაი, სანელებლები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ხილი, ბოსტნეული და სათბურები იქნება გამოფენილი.

საერთაშორისო გამოფენაში შემდეგი ქართული კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას: გორკონი, გეოპლანტი, შერბია, ელიტა, თხილის ექსპორტის კომპანია, სარაჯიშვილი, რაჭული ღვინო, ბაგრატიონი 1882, თბილღვინო, ასკანელი ძმები და ქართული ღვინო. მწვანე კვირული 25 იანვარს დაიხურება. მედიანიუსი

“კიდობანმა” შიდა ქართლსა და სამარაბლოდან დევნილი ბავშვებისათვის საახალწლო ზეიმი გამართა

არასამთავრობო ორგანიზაციამ და სავაჭრო ცენტრმა “კიდობანმა” აგვისტოს მოვლენების დროს შიდა ქართლისა და სამარაბლოს ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების ბავშვებისათვის საახალწლო ზეიმი გამართა.

საახალწლო ღონისძიება ვაკის პარკში, “ბასტი-ბუბუს” დაბადების დღის ცენტრში გაიმართა, სადაც 30 იძულებით გადაადგილებულ ბავშვს ახალ წელი მიულოცეს.

ორგანიზაციის მიზანია, აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულ ოჯახებს სხვადასხვა სოციალური პროგრამებით შეუწყოს ხელი და ისინი საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო და სოციალურ პროცესებში ჩართოს. ეს საახალწლო ღონისძიებაც ორგანიზაცია “კიდობანის” იმ სამოქმედო გეგმის ნაწილია, რომლის მიხედვითაც სხვა სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ორგანიზაციის პარტნიორ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთადაა დაგეგმილი. პირველი

ბრიტანეთის ეკონომიკას საფრთხე კვლავაც ემუქრება

ლიკა ჯობაძე


ბრიტანეთის სავაჭრო პალატის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 2008 წლის ბოლოსთვის ბრიტანეთის ეკონომიკური მდგომარეობა საშინლად გაუარესდა.

სავაჭრო პალატის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ 1989 წლის შემდგომ, გასული 2008 წელი ბრიტანეთის ეკონომიკისთვის ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა. სავაჭრო პალატა ამ ნეგატიურ დასკვნამდე 6 ათასი კომპანიის მუშაობის ანალიზის შედეგად მივიდა, სადაც 680 ათასი ადამიანი დასაქმებული.

2008 წლის ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში გამოვლენილ უარყოფით ტენდენციას შორის გამოიკვეთა წარმოების ვარდნა, საქონელზე მოთხოვნის დაცემა, ექსპორტის და ინვესტიციების მოცულობის შემცირება. სავაჭრო პალატის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ამ პერიოდის მანძილზე ბრიტანეთის ეკონომიკაში პოზიტიური მომენტები საერთოდ არ შეინიშნებოდა.

ორგანიზაციის მთავარი ეკონომისტი დევიდ კერნის აზრით, 2009 წელს ბრიტანეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი 2,4%-ით შემცირდება. მანამდე, მათი პროგნოზი 2,2%-ს არ აღემატებოდა.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ შიდა საერთო



პროდუქტთან მიმართებაში რეცესია იმაზე სერიოზულად ვიდრე 1990-იან წლებში იყო. თუმცა ამჟამინდელი მდგომარეობა შედარებით

უფრო მსუბუქია. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს დაპრესია შესაძლოა მალე დასრულდეს, - აცხადებს კერნი. ცნობილია, რომ მიმდინარე

წლის 23 იანვარს ბრიტანეთის ხელისუფლება გამოაქვეყნებს სტატისტიკას, რომელიც რეცესიის კონკრეტულ შედეგებს გამოავლენს.

დღეისათვის ბრიტანეთის შერეული ვაჭრობის ასოციაციაში აცხადებენ, რომ 2008 წლის დეკემბრის თვეში გაყიდვების მაჩვენებელი 2007 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3%-ით შემცირდა. მათივე განცხადებით, გასული წელი ბრიტანული კომპანიებისთვის ყველაზე კრიზისული იყო.

2008 წლის მოგებით გაცილება ძალიან ცოტა კომპანიამ შეძლო, მათ შორის ყველაზე მეტად სუპერმარკეტების Sainsbury's-სა და პურპროდუქტების მალაზიების ქსელს - Greggs-ს გაუმართლა.

შერეული ვაჭრობის ასოციაციის ხელმძღვანელი სტივენ რობერტსონი აცხადებს, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ფასდაკლებებისა, გასული წლის დეკემბერი კომპანიებისთვის ვაჭრობის თვალსაზრისით ძალიან ნეგატიური იყო.

ბრიტანეთში პროდუქტზე მოთხოვნა იმდენად შემცირდა, რომ მყიდველი ვერანაირმა ფასდაკლებამ ვერ აიძულა, საახალწლო შენაძინები გაეკეთებინა. არადა, მოგეხსენებათ, რომ ეს სეზონი ბრიტანეთში, ისევე როგორც მთელს ევროპაში, მყიდველობითი თვალსაზრისით ყველაზე ნაყოფიერია, - აღნიშნავს რობერტსონი.

ნავთობის ფასი ნულისკენ მიიწევს

უკანასკნელი ხუთი დღის მანძილზე მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასი ეცემა. ამის მიზეზად ექსპერტები საწვავზე მოთხოვნილების შემცირებასა და ნავთობკარტელის მიერ შავი ოქროს მოპოვების შემცირებას ასახელებენ.

გუშინ დღით ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ბარელი ნავთობის თებერვლის ფიჭურსი 0,75 დოლარით დაეცა და 40,08 დოლარს გაუტოლდა.

ცოტა ხნის წინ OPEK-ში ირანის წარმომადგენელმა ალი ჰატიბიმ განაცხადა, რომ ფასების დაცემის შემთხვევაში კარტელი საწვავის მოპოვებაზე კვოტებს მომავალშიც შეამცირებს. თუ შავი ოქროს ფასის დაცემის ტრენდი შენარჩუნდება, მაშინ OPEK-ის მიერ 2009 წლის მარტში ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ განცხადებაც ნუ გაგიკვირდებათ, - განაცხადა ირანის წარმომადგენელმა და



თან დასძინა, რომ ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია ამ კურსს მანამდე გააგრძელებს, სანამ ბაზარი არ დაწყნარდება და ფასები საჭირო დონემდე არ შენარჩუნდება.

ამასთან, გაზეთი ვედომოსტი იუწყება, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პირველად, 2008 წელს რუსეთმა ნავთობის მოპოვება შეამცირა. არადა, მთელი გასული წლის მანძილზე მალაჩინოსნები იმედოვნებდნენ, რომ ნავთობ-მოპოვებლები მოპოვების მაჩვენებელს გაზრდიდნენ. ენერგეტიკის სამინისტრომ შავი ოქროს მოპოვების შემცირების შესახებ მხოლოდ ნოემბერში აღიარა. ამასთან, მნიშვნელოვნად შემცირდა ნავთობის ექსპორტიც. ფინანსური კრიზისის ფონზე, ნავთობმოპოვებელი კომპანიების უმეტესობამ ინვესტიციების შემცირების შესახებაც არაერთხელ განაცხადა.

"პრესტიჟულობის სიმბოლო"



ბოზა ქიქვაძე

Maserati-ის სპორტული და წარმომადგენლობითი ისტორია

მართალია, უკვე 70 წელია Maserati დამოუკიდებელი კომპანია არ არის, მაგრამ თავის განუყოფელ თვითმყოფადობას მაინც ინარჩუნებს. კომფორტული სპორტული ავტომობილების ეს განთქმული ბრენდი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და პრესტიჟულობის სიმბოლო გახლავთ.

სპორტული წარსული

კომპანიის განვითარებაში თავისი წვლილი ექვსმა ძმამ მასერატომ - კარლომ, ბინდომ, ალფიერომ, მარიომ, ეტორემ და ერნესტომ შეიტანა. მათგან უფროსმა კარლომ შექმნა 1910 წელს Maserati-ის მარკის პირველი ავტომობილი, რომელიც ერთცილინდრიანი ძრავით იყო აღჭურვილი. 29 წლის კარლო უფრო სრულყოფილ მოდელზე მუშაობაც დაიწყო, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა არ დააცადა.

უფროსი ძმის საქმე ალფიერომ გააგრძელა, რომელმაც 1914 წლის 14 დეკემბერს დააარსა კომპანია Officine Alfieri Maserati, რომლის საქმიანობის სფერო ძრავების, აალებების სანთლების და ავტომობილების წარმოება გახლდათ. კომპანიის სათავეს ოფისი ბოლონიაში მდებარეობდა, რომლის ცენტრალურ მოედანზე ჯიამბოლონის ქმნილება - ნეპტუნის სკულპტურა დგას. სწორედ მან შთააგონა მარიო მასერატის, კომპანიის ლოგოტიპში სამკვილა გამოყენებინა.

შემდგომი ათი წლის განმავლობაში კომპანიამ რამდენიმე საინტერესო მოდიფიკაციის ძრავი შექმნა, თუმცა Maserati-ს, როგორც ფირმის და სავაჭრო მარკის ქვეშარტი დაბადება 1926 წლის 25 აპრილს შედგა, როცა ტარგა ფლორიოს ავტორბოლაზე შედგა კომპანიის პირველი სერიული ავტომობილის Maserati Gran Prix 1500-ის დებიუტი.

ერთი წლის შემდეგ გამოვიდა ახალი მოდელი თიპო 26, რომელიც იტალიის ჩემპიონი გახდა. Maserati-ის, როგორც სპორტულ მარკას სახელი მთელს ევროპაში გაუფარდა. ჰოდა, ძმებმა გადაწყვიტეს, აქცენტი სპორტულ ავტომობილებსა და ზემძლავრ ძრავებზე გაეკეთებინათ. 1929 წელს მრბოლელმა ბაკონინ ბორზაჩინიმ Tipo V4-ით მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როცა საათში 246 კმ სისწრაფე განავითარა.

1932 წელს ალფიერის გარდაცვალების შემდეგ კომპანიას სათავეში უმცროსი ძმა ერნესტო მაზერატი ჩაუდგა. სწორედ მან ევროპაში პირველმა შემოიღო სარბოლო ავტომობილებზე მუხრუჭების ჰიდროგამაძლიერებლების გამოყენება. 1938 წელს კი Maserati კომპანია Orsi



Gruppo-ს შემადგენლობაში შევიდა. ეს ფირმის დამოუკიდებლობის და მასერატების მმართველობის დასასრული იყო.

მეორე მსოფლიო ომისას Maserati-ის ავტომობილების წარმოება შეჩერებული იყო. ომისშემდგომი პირველი მოდელი კი GT A6 1500 გახლდათ. მოგვიანებით გამოუშვეს მისი სამოქალაქო ვარიანტი. 1954 წელს Maserati 250F-მა არგენტინაში გამართული ფორმულა 1-ის ეტაპის გამარჯვებული გახდა. ზუსტად 3 წლის შემდეგ კი კომპანიამ სპორტული ავტომობილების წარმოებაზე უარი თქვა.

სწრაფი და ძვირფასი

იმავე, 1957 წელს წარმოდგენილ იქნა კომპანიის ბესტსელერი, პირველი სერიული მოდელი Maserati 3500GT. ოთხი წლის შემდეგ იგი ინჟექტორით აღიჭურვა და ამ მხრივ პირველი იტალიური ავტომობილი გახდა. აღნიშნული მოდელი 1964 წლამდე ინარჩუნებოდა და სულ 2500 ცალამდე იქნა გამოშვებული.



1963 წელი Maserati-ს ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანი და მოვლენებით დატვირთული გახლდათ. გამოშვებული იქნა სპორტული სტილის მოდელი Sebring-ი და ძვირფასი, კომფორტული ორი სედანი - Mistral და Quattroporte. ეს უკანასკნელი კომპანიის მიერ გამოშვებული პირველი წარმომადგენლობითი კლასის მოდელი გახლდათ. ერთი წლის შემდეგ კი გამოუშვეს კიდევ ერთი განთქმული მოდელი Mexico.

1966 წელს გამოშვებულ იქნა შესანიშნავი კუპე Ghibli, რომელმაც წამდვილი სენსაცია მოახდინა და კომპანიის სავიზიტო ბარათად იქცა. ორი წლის შემდეგ Maserati-ის აქციების საკონტროლო პაკეტი ფრანგულმა Citroen-მა შეისყიდა. ფრანგულ-იტალიური ამ პარტნიორობის შედეგი გახლდათ მოდელი Indy, Merak და Khamsin. სხვა მხრივ ორი კომპანიის ალიანსს, რომელიც 1975 წლამდე გაგრძელდა, შედეგი არ მოჰყოლია.

ამ პერიოდში კომპანიას სათავეში ალექსანდრო დე ტომაზო ჩაუდგა, რომელმაც კომპანიის სამოდელო რიგის განახ-

ლება დაიწყო, ახალი მარკეტინგი დაწერა და ბაზარზე ნიშნის ძებნას შეუდგა. თავდაპირველად მან აქცენტი წარმომადგენლობითი კლასის ავტომობილებზე გააკეთა, შემდეგ, 80-იანი წლების დასაწყისში კი კვლავ სპორტულ სტილზე გადაერთო და მოდელი Biturbo გამოუშვა, რომელიც ჰიტად იქცა. მას მოჰყვა მოდელები Shamal და Karif და კომპანიაში დე ტომაზოს ერაც დასრულდა. 1993-1995 წლებში კონცერნმა Fiat-მა Maserati-ის აქციების პატარა-პატარა პაკეტებად შეიძინა და საბოლოოდ, მთლიანად ხელში ჩაიგდო. ორი წლის შემდეგ კონცერნის ხელმძღვანელობამ ორი ქვეგანყოფილების - Maserati-ის და Ferrari-ის გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო.

მეოცე საუკუნის ბოლოს და ახალი ათასწლეულის დასაწყისში განახლდა სამოდელო რიგი და გამოიკვეთა Maserati-ის ძვირფასი, წარმომადგენლობითი კლასის, მაგრამ ამავე დროულად სპორტული, სწრაფი ავტომობილებისაკენ აქცენტი. ეს სტრატეგია ამჟამადც შენარჩუნებულია.

კახეთში შუშის დეფიციტია კახეთში შუშის დეფიციტია. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან გვაცნობეს, დიდ-თოვლობის და ყინვის გამო, კახეთის რეგიონის მოსახლეობა ტყეში შესვლას და შუშის გამოტანას ვერ ახერხებს, რამაც ბაზარზე სათბობი შუშის დეფიციტი გამოიწვია. შუშის მჭრელთა განცხადებით, გასულ კვირას ერთი პირი შუშის ფასი ბაზარზე 100-დან 120 ლარამდე მერყეობდა, მაშინ, როცა ახალ წლამდე იგივე ოდენობის შუშის ღირებულება გურჯაანში, თელავსა და სხვა რაიონებში 80 ლარს არ აღემატებოდა. სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც მუნიციპალიტეტების გაზგამანაწილებელი კომპანიებიდან არის ცნობილი, ბუნებრივი აირით გასათბობად კახეთის მოსახლეობის მხოლოდ 17% სარგებლობს. **პირველი**

გაზის ტრანსპორტირების კომპანიასა და იორის ველს - ნავთობი და გაზი" ახალი ხელმძღვანელები ჰყავს

"ნავთობისა და გაზის კორპორაციის შვილობილ კომპანიებს - გაზის ტრანსპორტირების კომპანიასა და იორის ველს - ნავთობი და გაზი" ახალი ხელმძღვანელები ჰყავთ. ამის შესახებ კორპორაციიდან გვაცნობეს. მისივე ინფორმაციით, გაზის ტრანსპორტირების კომპანიას მამუკა კობახიძე უხელმძღვანელებს, კომპანია "იორის ველს" კი - ლევან გვაზავა. **პირველი**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ქართულ-ამერიკულ ქარტიავ მომუშავე სპეციალური ჯგუფი იქმნება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ქართულ-ამერიკულ ქარტიავ მომუშავე სპეციალური ჯგუფი იქმნება. როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ეკონომიკის სამინისტრომ ქართულ-ამერიკული სტრატეგიული ქარტიის პუნქტების შესრულებაზე მუშაობა უკვე დაიწყო. "დღეიდან ეკონომიკის სამინისტროში სპეციალური სამუშაო ჯგუფი იქმნება, რომელიც ეკონომიკური კუთხით ქართულ-ამერიკულ ქარტიავში განერილი საკითხების შესრულებას უზრუნველყოფს. აღნიშნული ჯგუფი დროში განელიდად იმუშავებს იმისათვის, რომ საფუძვლიანად განვსაზოცილოთ ქარტიავი განერილი ყველა დებულება, რაც დამატებით სამუშაო ადგილების რაოდენობისა და ადგილობრივი წარმოების ზრდის სერიოზული სტიმულია", - განაცხადა ჟვანიამ. **პირველი**

"Mitsubishi Motors"-ი 2 ათასზე მეტი თანამშრომლის გათავისუფლებას აპირებს

კომპანია "Mitsubishi Motors"-ი 2 ათასზე მეტი თანამშრომლის გათავისუფლებას აპირებს. სააგენტო AP -ს ცნობით, სამსახურიდან იმ თანამშრომლების დათხოვნა იგეგმება, რომლებიც კომპანია "Mitsubishi Motors"-ის იაპონიაში განლაგებულ სანარმოებში დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ კომპანიის წარმომადგენლების ადრინდელი განცხადების თანახმად, 2009 წლის გაზაფხულზე 1100 თანამშრომლის დათხოვნა იგეგმებოდა, თუმცა რთული ფინანსური კრიზისის გამო, სავარაუდოდ, მათ კიდევ ათასამდე ადამიანი დაემატება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ეუთო თბილისი-ცხინვალის გაზსადენის შემოწმებაში მონაწილეობას მიიღებს

"13 იანვარს ეუთოს წარმომადგენლები თბილისი-ცხინვალის გაზსადენის მდგომარეობას სამხრეთ ოსეთის სპეციალისტებთან ერთად შეამოწმებენ," - ამის შესახებ სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა განაცხადა. მისი თქმით, შემოწმება იმითომ ჩატარდება, რომ "გაზსადენის ვარგისიანობა და ქართული მხარის განცხადების უსაფუძვლობა, თითქოს რესპუბლიკისთვის რუსული გაზის მიწოდების ბლოკირება მისი გაუმართავობის მიზეზით ხდება, კიდევ ერთხელ დაადასტურონ." საქართველომ სამაჩაბლოს მიმართულებით გაზსადენი აგვისტოში რუსული აგრესიის დროს გადაკეტა, რადგან საომარი მოქმედებების შედეგად ქსელი სერიოზულად დაზიანდა. 2008 წლის ოქტომბერში კი სეპარატისტებმა განაცხადეს, რომ გაზსადენი აღდგენილია და ბუნებრივი აირის მისაღებად მზადაა. **ჯი-ეიჩ-ენი**



ანაბარი "ჩემი სიფი"

- ▲ თანხის თავისუფლად განჯარგვის შესაძლებლობა
- ▲ მაღალი საპროცენტო სარგებელი

☎ 27 27 27 | 📠 * 27 27 | www.tbcbank.ge

 **თიბისი ბანკი**
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

მსოფლიოში უკვე დაიწყო
მედიკამენტების მარაგის
დაზარალება



HIDROMEK
www.hidromek.com

AS TECHNIC LTD. 97.D. AGMASHENBELI, Tbilis, GEORGIA
Phone:+ 995 32 452312 Fax:+ 995 77451815

შ.პ.ს. „თბილქალაქგანათების“ მიერ 2009 წლის 13 იანვრის გაზეთ „24 საათში“ საავტომობილო ბენზინის, დიზელის და ავტო-სამრეცხაო ტალონების სახელმწიფო შესყიდვაზე დაბეჭდილ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნეს შესწორება. განცხადებით გათვალისწინებულ შესასყიდი საქონლის ჩამონათვალს დაემატოს ავტო-სამრეცხაო ტალონები:
„ჯიპი“ - 100 ცალი;
მსუბუქი - 200 ცალი;
დანარჩენი როგორც ტექსტშია;

12 იანვარი, 2009წ.
**მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი“
DRC-ს სასამართლო**

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომადგენელი ს/ს ბანკი „რესპუბლიკა“-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ზაზა ლლონტიისა და ნიკოლოზ გოგოლაძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **5 259.69 ლარის** ანაზღაურების შესახებ.
სხენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 21 იანვარს 15 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში“ შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუხოვის) ქ.№19-ში, მე-6 სართულზე.
სხენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები მახარეები;
- ზაზა ლლონტი მცხ. ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამ. მმე-3კვ., კორპ.№9,ბ.№65.
- ნიკოლოზ გოგოლაძე მცხ. ქ.თბილისი, ვაზისუბანი I მიკ., კორპ.№13, ბ.№124.



„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2008 წლის 29 დეკემბერს დაინიშნა საჯარო ადმინისტრაციული წარმომადგენელი შპს „პროფიუნისთვის“ სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52.
გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა“.



„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2008 წლის 29 დეკემბერს დაინიშნა საჯარო ადმინისტრაციული წარმომადგენელი შპს „პროფიუნისთვის“ უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52.
გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა“.



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 08 იანვრის №07 ბრძანებით, ა(ა)იპ „ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალეების ცენტრისათვის“ გაიცა სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია.

12 იანვარი, 2009წ.
**მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი“
DRC-ს სასამართლო**

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომადგენელი ს/ს ბანკი „რესპუბლიკა“-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ლევან ჭანტურისა და ამხანაგობა „ჯიქია 2005“ს მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **47 127.92 ევროს** ანაზღაურების შესახებ.
სხენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 21 იანვარს 15:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში“ შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუხოვის) ქ.№19-ში, მე-6 სართულზე.
სხენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები მახარეები;
- ლევან ჭანტურია მცხ. ქ.თბილისი, ფონიჭალა მე-3ა მკრ., კორპ.№3, ბ.№35.
- ამხანაგობა „ჯიქია 2005“ მდ. ქ.თბილისი, ჯიქიას ქ.№9.

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 9 იანვარს გაზეთ - „24 საათში“ საავტომობილო სანავის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და განცხადების პირველ პუნქტში IV ლოტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლოტი IV. დიზელის სანავი 10 PPM - 6600 ლიტრი;

სატენდერო კომისია



ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს 26700 ლიტრი ბენზინის და 18700 ლიტრი დიზელის სანავიგაციო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტორს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

მიწოდების ადგილი: დაბა ქედა

მიწოდების ვადა - 2009 წლის 31 დეკემბრამდე

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება სატენდერო მოსაკრებელის 160 (ასსამოცი) ლარის გადახდის შემდეგ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 2 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ. N1. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდის უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში N 200122900, მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკი, მფო 220101222, სახაზინო კოდი 300703092, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი

